



ეზიერთობიანი  
ქიპიანი

2011

არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

# მტიმულტგიშრი ქიეგანო VIII

ექღვნება

გელათის აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ  
მიხეილ ქურდიანის  
ნათელ ხსოვნას



ლექიანა

გამომცემლობა „ლექიანა“  
თბილისი  
2011

UDC(უაკ)81373.6(051.2)

ე-871

გამოჩენილი მეცნიერის, აწ განსვენებული **პროფესორის, მიხეილ ქურდიანის** შემოქმედებაში ეტიმოლოგიურ ძიებებს, როგორც ენათა ისტორიულ-მედარებითი თვალსაზრისით კვლევის უმნიშვნელოვანეს ასპექტს, ცენტრალური ადგილი უჭირავს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტის პერიოდული ეტიმოლოგიური კრებულის მორიგი ტომი მის სსოვნას ეძღვნება.

მიხეილ ქურდიანის ფართო ცოდნა და მეხსიერება, მისი ანალიტიკური უნარი, სწორად სრულიად ახლებურად წარმოადგენდა უკვე ცნობილ მოვლენებსაც კი. ამავე დროს, მისთვის ეტიმოლოგია არ იყო მიზანი, არამედ იყო საშუალება, რომლითაც შეიძლება ისტორიის უხილავი ფურცლები გაიშიფროს. ბევრი ასეთი ფურცლის გამჟღავნება შეძლო მან (თუნდაც თავისი მონოგრაფიის სახით), ბევრი რამ კი ოცნებად დარჩა...

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია გამოკვლევები, რომლებშიც ქართველურ ენათა ლექსიკური მასალის ანალიზისას მოხმობილია როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა სათანადო მასალა.

სარედაქციო კოლეგია:

**ავთანდილ არაბული** (მთავარი რედაქტორი)

**ნანა მაჭავარიანი**

**მურმან სუხიშვილი**

**მედეა ღლონტი** (რედაქტორი)

**ვაჟა შენგელია**

**იზა ჩანტლაძე**

**მერაბ ჩუხუა**

**✚ ალექსი ჭინჭარაული**

**ზურაბ ჭუმბურიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი

**პაატა მამფორიასი**

© არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISSN 1987-9946

## ქველ-ი სიტყვის წარმოგავლობისათვის

სულხან-საბა ორბელიანი **ქველ**-სიტყვას, მათეს თავის 6,1-ზე მითითებით, განმარტავს როგორც – „მოწყალე გინა კეთილი“. **ქველის-საქმე** – მოწყალეების საქმე (Cab: კეთილი საქმე და მოწყალეების ქმნა).

**ქველ**-ი სიტყვიდან რედაქცია გვაგზავნის **ჯომარდ**-ზე, სადაც წერია: **ჯომარდი** – სხვათა ენაა, ქველსაჲ ჰქვიან.

ჯომარდზე მითითება მიგვანიშნებს, რომ **ქველის** სემანტიკა „კეთილის“ შინაარსით არ უნდა ამოიწურებოდეს. **ჯომარდი** დ. ჩუბინაშვილს ასე აქვს განმარტებული: (სპარს.) მხნე, შემმართებელი, храбрый, проворный. **ჯომარდობა** მხნეობა, სიმხნე, храбрость, проворство, ловкость.

თვით **ქველი** სიტყვა დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ასევე ფართო მნიშვნელობითაა წარმოდგენილი და ის უფრო მიახლოებული ჩანს ამ სიტყვის ძველ სემანტიკასთან: კეთილი, სახიერი; მხნე, შემმართებელი; უხვი, ხელ-ფურჩი; добродетельный, доблестный, храбрый; щедрый. **ქველობა** – კეთილობა; მხნეობა, უხვობა; доблесть; щедрость.

ძველ ქართულში **ქველი** საკმაოდ ხშირი გამოყენების სიტყვაა. ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით:

**ქველ**-ი მამაცი, გულადი, მხნე; „კეთილი“: „ქველი გიყოს შენ“ G, – „კეთილი გიყოს შენ“ M II შჯ. 30, 5; „სხუა არს სიზმარი ქველთაა და სხუა არს ჩუკენთა“ გრ. ნოს. კაც. აგებ. 174, 8; „იყო იგი ქველი და შემმართებელი“ ქ. ცხ. 140, 9; „მოკლა ფარსმან მეფე, ქველი“ ქ. ცხ. 59, 4. იხ. გულქველება.

ამ სიტყვისაგან არაერთი სხვა სიტყვა წარმოქმნილა (რაც ასევე მის ენობრივ ხანდაზმულობას მიანიშნებს):

**ქველის-მეტყველება** მეოხება.

**ქველის-მოქმედი** კეთილმოქმედი, მოწყალე.

**ქველის-მოქმედება** კეთილმოქმედება, მოწყალეობა; წყალობა.

**ქველის-საქმარი** „ქველის-საქმე“, წყალობა.

**ქველის-საქმე** „კეთილის საქმე“, კეთილმოქმედება, მოწყალეობა.

**ქველნაბრდღუენი** მსნე. არწივი დიდი, ქველნაბრდღუენი (ეზექ. 17, 3).

**ქველპირობა** კეთილი რჩევა.

**ქველყოფილი** კეთილად ნამოქმედარი.

„ვეფხისტყაოსანი“ ამ სიტყვას, როგორც კონტექსტები აჩვენებს, მხოლოდ „მხნეობის, სიჩაუქის“ მნიშვნელობით გვთავაზობს:

„აწ შევება ხატაელთა, მუნ გამოვჩნდე ლომი ქველად“ (413, 4);

„მათ ლაშქართავან სამასნი კარგნი მოყმენი, ქველანი, თანა წამომყეს“ (425, 1);

„ზღვათა მეფე მოასხენებს: „ხელმწიფეო, ლომო, ქველო ...“ (1436, 1);

„კვლა მოაქვს ერთი ტაბაკი, მძლედ საჭირავი ხელისა, აფანდილისთვის ლომისა ძღვენი ფრიდონის ქველისა“ (1460, 4).

„ებრძანა: „ლომო, არა გჭირს შენ ომთა გამდრეკელობა, აწ მაგა შენსა თათბირსა ჰგავსო შენივე ქველობა“ (144, 3).

მუნ მომეწონნეს ფრიდონის სიქველესი ფიცხენი: იბრძვის ლომი...“ (614, 3).

რომელია **ქველ**- ფუძის ამ ორი მნიშვნელობიდან უფრო ძირითადი და პირვანდელი?

მნიშვნელობის ცვლას, სემანტიკურ გადაწვევებს ახასიათებს გარკვეული კანონზომიერება: „კეთილი“ მნიშვნელობის შეცვლა უფრო ვიწრო და კონკრეტული „ჩაუქობით“ უფრო ნაკლებ არის მოსალოდნელი, ვიდრე „კეთილის“ მნიშვნელობის განვითარება „ძლიერის, ჩაუქისაგან“...

თუ ვიფიქრებთ, რომ დიდებული ქართველი მეფის – ფარსამანის (II ს.) – ზედწოდება (თუ ეპითეტი) ოდინდელი წარმომავლობისაა,<sup>1</sup> მაშინ ეს ყოფილა ამ სიტყვის უადრესი გამოყენება და ის ამ შემთხვევაში, ცხადია, „მხნეს, ძლიერს“ აღნიშნავს.

<sup>1</sup> ოდინდელად უნდა ვივარაუდოთ იმდენად, რამდენადაც შეუძლებელია ქრისტიანულ მწერლობაში შესძენოდა წარმართ მეფეს აღმატებული წოდებრივი სახელი.

ამდენად, **ქველი** თავდაპირველად სწორედ „რაინდის, ძლიერის, ძლევამოსილის“ აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. და რადგანაც, შუასაუკუნეებრივი მსოფლხედვით, რ ა ი ნ დ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი და კ ე თ ი ლ შ ო ბ ლ ი ა , მნიშვნელობის გადაწვევით ბუნებრივად განვითარდა ამ სიტყვის სემანტიკა – „სიკეთე“, „კეთილი“; ანუ მნიშვნელობის ევოლუცია ამგვარია: „რ ა ი ნ დ ი “ → „კ ე თ ი ლ შ ო ბ ლ ი “ → „კ ე თ ი ლ ი “.

რაც შეეხება **ქველ**-ფუძის წარმომავლობას:

საყურადღებოა, რომ ძველ ქართულშიც და სულხან-საბასთანაც ამ ფუძეში დასტურდება **ვ** და არა **ჟ** (უ-ბრჯგუ). ეს უტყუარი საბუთია: **ქ** ხშულის მომდევნო პოზიციაში **ვ** (**ქვ**) მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ეს კომპლექსი მეორეულია, ვთქვით, ხმოვნის ჩავარდნით არის მიღებული. შეადარეთ;

ყავ- (ჰყავს) → ყვან- (ჰყვანან);

შევ- (ვშევ) → შვილი...

სხვა შემთხვევაში იქნებოდა \*ქუელ-ი.

ამგვარად, ეს სიტყვა წარმომავლობით განმოვანებული ძირისა ყოფილა: **ქვ-ელ-**. თუ სავარაუდო შეკუმშულ ხმოვანს აღვადგენთ, შეიძლება ძირის წარმომავლობასაც მივაკვლიოთ.

შეიძლება ორგვარი ვარაუდი:

ა) შესაძლებელია ეს სიტყვა იყოს ერთგვარი სოციალური (ძალაუფლებრივი) ტერმინი და ის უკავშირდებოდეს ციხის მფლობელობას, ანუ მომდინარეობდეს **ქავი** („გალავანი, დამცავი ნაგებობა“) სიტყვისაგან (ანუ – აღდგენით: \***ქავ**-ელ-ი → **ქველ**-ი „ციხიონი, მეომარი, რაინდი“...).

სემანტიკური გადაწვევის თვალსაზრისით, ერთგვარი წარმომავლობითი პარალელი შეიძლება გავილოს სიტყვასთან **დარბასელ**-ი (← დარბაზის-ერი). ხოლო სტრუქტურულ ანალოგიად გამოდგება **ყვ-ელ-** (ყავ- ზმნური ძირისაგან) (მ. შანიძე 1960).

ამგვარი წარმოქმნა რომ შეუძლებელი არ არის, ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიხმოთ „**ცინე**“ სიტყვისაგან მიღებული ანთროპონიმები: **ცინელ**-ი და **ცინელ**-ა, ფსევდონიმი **ცინელ**-ი, გვარები – წარმოქმნილი **ციხელ**- ფუძისაგან: ციხელიძე, ციხელიშვილი, ციხელაშვილი, ციხელაური.

ამ ვარაუდს ახლავს ერთი დაბრკოლება: სიტყვა **ქავი** წყაროებში არ არის დადასტურებული; ის დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებსა და სვანურში. ვ. აბაევი ამ საერთო სიტყვის არსებობას წარმოაჩენს უგრო-ფინური და კავკასიური ენების მასალის შეპირისპირებით; კავკასიურ ენებში ფართოდ არის გამოვლენილი ყველა ჯგუფის ენაში (აბაევი 1958, 573-574). ვ. შენგელიამ ივარაუდა, რომ **ქავი** და **ჩეო** ჩერქეზულთან ქართულის ურთიერთობის ორ ეტაპს ასახავს (შენგელია. 2006, 150-153). არ გამოვრიცხავთ, რომ **ქავ**- ძირთან დაკავშირებული იყოს **ქვა** სიტყვა – ერთ-ერთი უძველესი და, რაც მთავარია, ასევე [ვ] თანხმოვნის შემცველი ფუძე.

ბ) შეიძლება აგრეთვე ამ სიტყვის ამოსავლად წარმოვიდგინოთ ზმნური ძირი **ქავ** (ქავება), რომლის ერთ-ერთ უძველეს მნიშვნელობად ვლინდება – „გამძაფრება, გამწვავება, გაძლიერება“: მაგ.:

ა ქ ა ვ დ ე ს და შეძრწუნდეს წყალნი მათნი (ფს. 45, 4);

შეძრწუნდეს უფსკრულნი დიდძალითა ქ ა ვ ი ლ ი თ ა წყლისათა (ფს. 76, 18).

შესაბამისად, **ქველ**-ი იქნებოდა **ზრქ-ელ**-ი, **გრძ-ელ**-ი, **ყვ-ელ**-ი... ტიპის მიმღეობა, რომლის მნიშვნელობად ვივარაუდებდით: „გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ უ - ლ ი , ძ ლ ი ე რ ი , მ ძ ლ ა ვ რ ი “.

ფორმალურად აქ ნაკლები დაბრკოლებაა, მაგრამ, სამაგიეროდ, სემანტიკური პროცესები ჩანს ნაკლებ ხელშესახები.

### გამოყენებული ლიტერატურა

ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე , ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.

В. И. А б а е в , Историко-этимологический словарь осетинского языка, т. I, М.-Л., 1958.

ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგადი საკითხები, თბ, 2006.

მ. შანძე, ძველი ქართული ენის ლექსიკიდან. – სმა ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბ., 1960.

## **Avtandil Arabuli**

### **Towards the Origin of the Word kveli “kind”**

#### **Summary**

The word kveli is one of the oldest lexeme. In Old Georgian its semantics is “brave, vigorous”, also “kind”. It is attested as an epithet for the Georgian King Parsman (2nd c.) with the first meaning.

I suppose, that the word is derived: kv-el- (-el must be a suffix). For kv and not kû occurs in a root it should be connected with one of these roots:

1. kav-i “hardness, town wall”;
2. kav-eb-a “intensifying, strengthening”.



ქვემოსვანეთის ზოგი ტოპონიმის წარმომავლობისათვის

I

ქვემოსვანეთის ტოპონიმები მეცნიერული თვალსაზრისით თითქმის შეუსწავლელია. ჩვენი სტატია ამ ხარვეზის შევსების ცდას წარმოადგენს.

მე-XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XX საუკუნის ორი ათეული წლის მანძილზე ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის გამორჩეული ფიგურის, სვანეთის ბურჯის, როგორც მას აკაკი შანიძემ უწოდა, ბესარიონ ნიჟარაძის წერილები: სვანეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის, ენისა და სვანეთთან დაკავშირებულ სხვა მრავალ საკითხებზე იბეჭდებოდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში; განსაკუთრებით ხშირად „ივერიასა“ და „დროებაში“.

ეს წერილები შეკრიბა, ვრცელი გამოკვლევა დაუროთო და ორ ტომად გამოსცა ალექსანდრე რობაქიძემ (ბ. ნიჟარაძე „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“, 1962-64 წწ.). ჩვენთვის საინტერესოა მისი წერილი: „ოთხი დღე მდინარე ენგურის, ცხენისწყლის და რიონის სათავეებში“. ავტორი აღწერს თავის მოგზაურობას მდინარეების — ყორულდის, ზესხურისა და ხიდურის ხეობებში. მოგზაურობის აღწერის დროს, განმარტავს უმგულისა და ქვემოსვანეთის საზღვარზე და, საერთოდ, ცხენისწყლის ხეობაში მდებარე ზოგი ტოპონიმის წარმომავლობას. ეს მოგზაურობა დაიწყო 1885 წლის 24 ივლისს, უმგულიდან რაჭის მიმართულებით, ღები-ჭიორას საზოგადოებაში. მოგზაური ასახელებს ღელე-მდინარეს **ქვიშირ**'ს რომელიც უმგულში უერთდება მდინარე ენგურს. **ქვიშირი** მუდამ შავი და ქვიშიანია,

ამის გამო, მიუღია სახელი **ქვიშირ**, ე. ი. „ქვიშიანი“ (ნიჟარაძე, 11). აქვე განმარტავს ერთ-ერთი დიდი საძოვრის სახელწოდებას **ლანქვერ** „საგრილობელი“. ამ ადგილზე მუდამ გრილა, რადგან მზე მხოლოდ შუადღეს ადგებაო, ამიტომაც ჰქვია **ლანქვერ** (სვან. **ლანქჷნერ**) „საგრილობელი“. მართლაც ამ ტოპონიმში გამოიყოფა დანიშნულების პრეფიქსი **ლა-**, ფუძეა **ქჷნერ** (შდრ. ლნტ. < **ქვეირ**) „ცივი, გრილი“. ასევე განმარტავს სათიბისა და ლელე-მდინარის სახელწოდებას **ლასდილ**, „ეს სახელი იმიტომ დარქმევია, რომ დილით უშკულიდან გამოსული მოგზაური სადილობისას მოაწევს აქ და აქ უსათუოდ ისადილებსო“ (ნიჟარაძე, 16). ბზ. **ლან-სდილ**, ლნტ. **ლან-სტილ** „სასადილო“. ბალსზემოურ **დ’ს** ლენტეხურში **-ტ-** შეესაბამება. გამოიყოფა **ლა-** დანიშნულების პრეფიქსი, **-სდილ-** ქართ. < **სადილ** ფორმის რედუცირებული ვარიანტია. ერთ-ერთ ცნობილ ხეობას და მდინარეს **ყორულდ**’ს უწოდებს და არა **ყორულდაშ**’ს, როგორც მას დღეს სვანები მოიხსენებენ. ბ. ნიჟარაძე ამ ფორმას არ იცნობს, ყოველ შემთხვევაში ამ წერილში არ ასახელებს. არსენ ონიანის ლაშხური დიალექტის ტექსტებში **ყორულდაშ / ყორილდაშ** ფორმები გვხვდება, იშვიათად მათ გვერდით **ყორულდი**’ც დასტურდება. ბზ. **ყორილდაშ / ყორულდაშ**, ლშხ. **ყორილდაშ / ყორულდაშ** ტოპონიმში გამოიყოფა ფუძე **ყორ** „კარი“, **-ილდ**, **-ულდ** კნინობითის მაწარმოებელი სუფიქსებია, **-აშ** კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. სვანეთში, განსაკუთრებით ლაშხურში, ხშირად გვხვდება კნინობითის სუფიქსიანი ტოპონიმები. მაგ.: მთა **კალრდარ**, ფუძეა **კალ** „კალო, ეზო“, **-ოლდ** კნინობითის სუფიქსი, **-არ** მრავლობითი რიცხვის ნიშანი. **კალ-რდ-არ** „კალოები“. ასეთივე აგებულების ტოპონიმია **ლა-კაჟ-რლ-ალ** „საკაჟოები“, **ლა-** დანიშნულების პრეფიქსია, ფუძეა **კაჟ** „კაჟი“, **-რლ** კნინ. სუფიქსი, **-ალ** (< **არ**) მრავლობითი რიცხვის ნიშანი. მახე **ლახჷლ** „ახალი მთა“, **მახე** „ახალი“, **ლახ’ჷ** „მთა“, **-ჷლ** კნინ. სუფიქსი. **მოლრდარ** „მოლები, მინდვრები“, შდრ. ქართ. **მოლი**, **-რდ** (< **ილდ**) კნინ. სუფიქსი, **-არ**

მრავლობითი რიცხვის ნიშანი. ცხენისწყლის ხეობაში კინობითის სუფიქსის შემცველი ტოპონიმებია: **ნაქალაქ-ოლ** „ნაქალაქევი“, **აშ-ულდ** ყანისა, და **კუც-ილ** სოფლის სახელებია. ბ. ნიჟარაძე ყორულდის ხეობის შემდეგ ასახელებს **ცანისა** და **ზესხოს** ხეობას. **ცანა** და **ზესხო** ცხენისწყლის სათავეში მდებარე სოფლებია. ამ სოფლებს ჩამოუდის მდინარეები **ცენ-შურ** და **ზესხ-ურა**. როგორც ცნობილია, ჰიდრონიმებში ხშირად დასტურდება იმ სოფლის, თუ ხეობის სახელი, რომლებსაც ეს მდინარეები ჩამოუდით. **ზესხო**, სვან. **ზესხუ** სახელისათვის ი. ჩანტლაძემ აღადგინა საერთოქართველური \***ძაცხუ** > **ზასხუ**+ი > **ზასხუ** „ცაცხვი“, რომლისაგან მომდინარეობს **ზესხუ** სოფლის და **ზესხურა** მდინარის სახელი, სადაც წარმოდგენილია ქართველურ ჰიდრონიმთა **-ურა** სუფიქსი (ჩანტლაძე, 1998, 249-250).

**ცენ-შურ**, **ცენ** იგივე ცანაა, სოფლის სახელი, ხოლო **-შურ** ჰიდრონიმების მაწარმოებელი სუფიქსი. შეადარეთ ამ არიალში არსებული მცირე მდინარეები, რომლებიც ცხენისწყალს უერთდებიან: **ცენ-შურ**, **ღობ-შურ** (სოფელ **ღობს** ჩამოუდის), **ხან-შურ**, **აშხა-შურ**, **მეთხ-შურ**, **სგიმ-რა-შურ/ლ** (გამოიყოფა ფუძე **სგიმ** „ვეძა, მჟავე წყალი“), **ლამანა-შურ** და სხვა. **-შურო** ქველში ასეა განმარტებული: 1. ტყეში სერებს შუა ჩაღრმავებული ადგილი. 2. მორების და მისთანების თავქვე საცურებლად. სვანეთში ჰიდრონიმებში, როგორც ზემოთ ვნახეთ **-შურ** (< **შურო**), აგრეთვე **-ურ**, **-ურა** ბოლოსართები ხშირად გვხვდება.

როგორც ბ. ნიჟარაძის წერილიდან ირკვევა, მისი მოგზაურობის დროს ამ ხეობებში ხალხი არ ცხოვრობდა. „ადრე აქ ხალხი ცხოვრობდაო, დღესაც ჩანს ნასახლარები, რომელიც შამბს დაუფარავს. ერთ-ერთ მინდორს **ნაშალვარე ლარე** „ნაომარი სათიბი“ ეწოდებაო. ეს იგივე **ლიშიაღ** არისო, რაც სვანურად ხელჩართულ ბრძოლას ნიშნავსო. ჩხუბი (ბრძოლა) მომხდარა უშეგულის მახვმის **ბაგაშ რატიანის** და ლაშხეთის ბატონის ბეჟანა, ზოგან **ყანსავ ყიფანს** შორის. ამ მინდორში ყიფიანი

ისრით მოუკლავს რატიანს და ამიტომ დარქმევია **ნაშალვარ ლარე** „ნაომარი სათიბი“ (ნიჟარაძე, 21). ლენტეხის მახლობლად ერთ-ერთ ადგილს **ნაკლაშიწლ** „ვაკე საომარი“ ეწოდება. ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ **ნაშალჭარ** უნდა მომდინარეობდეს \***ნა-შიალ-ჭ-არ** ფორმიდან, შდრ. ბზ. **ლი-შიწლ**, ბქ., ლნტ. **ლი-შიწლ**, ლშხ. **ლი-შიწლ** „ომი, ჩხუბი“. **ნა-შალ-ჭ-არ** ფორმაში ა ხმოვანი წესით გრძელი უნდა იყოს. **ნა-** — **-არ** წინავეითარების აღმნიშვნელი კონფიქსია. **-ჭ-** გაჩენილი ოდენობა, რომელიც ხშირად ჩნდება სვანური სახელების ბოლოკიდურ პოზიციამი და სხვადასხვა ფუნქციის მქონე **-არ** სუფიქსის წინ.

რაც შეეხება **ლარე** „მინდორი, სათიბი“ ფორმას, ა ხმოვანი აქაც გრძელი უნდა იყოს (ბ. ნიჟარაძე სვანურ სპეციფიკურ ბგერებს გრაფიკულად არ აღნიშნავს), შდრ. გრძელხმოვიანი დიალექტების **ლარე**. ხმოვნის სიგრძის არსებობა ამ ლექსემაში საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ **ლა-** პრეფიქსი, ფუძეა **-არე**, შდრ. ბზ. **ჰარი** „ცარიელი“; ლნტ. **ლგ-არე** „დაცლილი, ცარიელი“, შდრ. ქართული **არე**. გ. მაჭავარიანი **ლარე** სახელში აღადგენს **ჭ**'ს და ვარაუდობს, რომ ეს სიტყვა მიღებულია \***ლაჭრე** დან „საჭრელი, სათიბი“. **ჭ**'ს დაკარგვამ განაპირობა წინამავალი ა ხმოვნის დაგრძელება (მაჭავარიანი, 41). ჩვენი ვარაუდით, **ლარე** < \***ლა-არე** < \***ლა-ჰარე** ფორმიდან. **ლარე** შეიძლება ნიშნავდეს ხეების, ბუჩქების და სხვათაგან თავისუფალ, ცარიელ ადგილს.

ბ. ნიჟარაძე აგრძელებს თხრობას: მივალწიეთ მდინარე **ყო-რულდს**, რომელიც მდინარე ზესხურის მარჯვენა შენაკადს შეადგენს და ორივე უერთდება **ხიდურას** (სვანურად **ვიდურ, ვიდრულაჲ**). ამ მდინარეების მიმდებარე ადგილები მოსახლეობით, სახნავ-სათიბებით, სვანებს სისხლის საფასურად მიუციათ ჯაფარიძეებისათვის. ავტორს ხელთ ჰქონია 1868 წლის ჟურნალ ცისკრის ოქტომბრის ნომერი (წიგნი), სადაც დაბეჭდილი იყო: „სასისხლე საბუთი სვანთაგან რაჭველი ჯაფარიძეებისადმი...“ გადასაცემ ადგილებს შორის, ზესხურის ხეობაში,

დასახელებულიაო სოფელი **ზურია**, სწორედ ამ ადგილებში ჩანს სახლების, ციხე-კოშკების და საყდრების ნანგრევებიო, ნასოფლარს დღეს **ლაზრამ**-ი ეწოდება“ (ნიჟარაძე, 44). თუ **ლაზრამ ზურია** სახელიდან არის მიღებული **ლა**- პრეფიქსისა და **-იშ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დართვით, მაშინ ამ სახელში ბოლო **ვ** გრძელი და უმლაუტიანი უნდა იყოს **ლა-ზრ-წშ**, რაც დანამდვილებით არ ვიცით. ზემოვანურის, კერძოდ, უმგულურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების შედეგად **ლა-ზრ-წშ** ფორმა უნდა გვექნოდა. თუ ეს ასეა, მაშინ **ლა-ზრ-წშ < \*ლა-ზურია + იშ** (<იშ) ფორმიდან მივიღეთ. **ლა**- პრეფიქსის დართვამ **ზურია** ფუძიდან **-უ-** ხმოვანი ამოაგდო, ხოლო ფუძის **-ი**'სა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **ი** ხმოვნის შერწყმამ **ა**'სთან **ა** ხმოვანი გააუმლაუტა და დააგრძელა. ბ. ნიჟარაძე ამ მიდამოებში მოიხსენიებს **ლაცლავ დაბ**'ს „საცილობელი ყანა“, იმიტომ დარქმევია, რომ ცენელები და ზესხოელები ერთმანეთს ეცილებოდნენ (ნიჟარაძე, 29). აღნიშნულ ტოპონიმში **ლა**- გამოიყოფა, ძირია **-ცლაჟ** < სვან. **ცილაჟ**, შდრ. ქართული ცილაობა.

ცხენისწყლის შენაკადის **ვიდრულა**'ს სათავეში იყო ადრე მჭიდროდ დასახლებული, დღეს უკვე დიდი ნასოფლარი და საძოვარი **ლაფურ** „საფურე“. ა. ონიანის ტექსტებში ვკითხულობთ: ლაფურიდან მომდინარე წყალი **ვიდურ**, **ვიდრულა** და ცენიდან მომდინარე მცირე მდინარე **ცენშურ** ერთდებიან ლაშხეთის თავში და შეერთების ადგილს ეწოდება **ლა-მეშხე** „საერთო“, რომელშიც **ლა**- დანიშნულების პრეფიქსია, **«მ»** **ეშხე/უ** „ერთი“ რიცხვითი სახელი. ე. ი. **ლა-მეშხე** ნიშნავს „შესაერთებელ“, „გასაერთიანებელ“ ადგილს. სწორედ აქედან უწოდებენ ცხენისწყალს ბალსზემოურად **ლაშხური**, ლაშხურად **ლაშხურ** და ლენტეხურად **ლანური**, **ლაშხირ** სახელს.

მთას, საიდანაც ცხენისწყლის ერთ-ერთი შენაკადი იღებს სათავეს **მაჩხე-არ** „ჩანჩქერები“ ეწოდება. **მაჩხავ** „ჩანჩქერი“, **-არ** მრავლობითი რიცხვის ნიშანი.

პირველი საზოგადოება, დიდი ხეობა, რომელსაც ცხენისწყალი ჩამოუდის, ლაშხეთია, სვან. **ლაშხ**. რადგან ხმოვნის სიგრძე მორფემათა მიჯნაზე სვანურში ხშირად ორი ხმოვნის შერწყმის შედეგია, შეიძლება **ლაშხ** ტოპონიმში გამოვეყოთ **ლა-** პრეფიქსი, **-აშხ** კი ფუძეა. ამ ფუძის მქონე სხვა ტოპონიმებიც არსებობს ლაშხურის (ცხენისწყლის) ხეობაში. მაგ. **ლელაშხა** „სალაშხეთო“ მთის სახელია, რომელიც შეიძლება ასე დაიშალოს **\*ლე-ლა-აშხ-ა**. სოფელ **ჩიხარეშ** გვერდზე ჩამოუდის მოზრდილი მდინარე **აშხაშურ** < **\*აშხ-ა'შუ'-შურ**, აქაც **-აშხ** ძირი გამოიყოფა. **აშხ-** გამოიყოფა ტოპონიმ **აშხ-ან-აშ** „აშხანასი“ ფორმაშიც. არსენ ონიანის ტექსტის ცნობით, ეს ძველი ნასოფლარია, სადაც საცხოვრისის ნანგრევები დღესაც ჩანს.

**ლაშხ** < **\*ლა-აშხ** „ლაშხეთი“, ვფიქრობთ, დასაშვებია დაუტკავშიროთ „მატიანე სვანეთისა კრებისაჲ“-ში ნახსენებ სახელს და გვარს. მატიანეში ორჯერაა დასახელებული საკუთარი სახელი **აშახ-ა**. ბოლო **-ა'ს** მ. ქალდანი კნინობითის საერთოქართულ **-ა'დ** მიიჩნევს (ქალდანი, 1969, 130). აქვე დასტურდება ამ სახელისაგან ნაწარმოები გვარის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტები: **აშეხ-იანი** გვხვდება შვიდჯერ, **აშახ-იანი** ექვსჯერ, ხოლო **აშხ-იანი**, ფუძეში ხმოვნის გარეშე, რვაჯერ. სავარაუდოა, **ლაშხ** ტოპონიმი უკავშირდებოდეს ამ გვარს თუ საკუთარ სახელს. **ლაშხ** შეიძლება განვმარტოთ, როგორც **სა-აშხ-იან-ო** ადგილი, სადაც **აშხ-იანები** ცხოვრობდნენ. ან ეს ტოპონიმი მიუთითებდეს მათ მფლობელობაში არსებულ ხეობაზე. **ლაშხ**'ს უნდა უკავშირდებოდეს გვარები **ლაშხი**, **მოლაშხია** და **ლასხი-შვილი**.

საინტერესოა ბ. ნიჟარაძის მოსაზრება **ლაშხურ**'ის ხეობაში ერთ-ერთი დიდი სოფლის **ჩიხარეშის** წარმომავლობის შესახებ. ამ სოფლის მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი ჯანხოთლები არიან. ჩიხარეში იმიტომ დარქმევია, რომ ახლანდელი **ჯანხოთელი** ადრე **ჩიხლაძე** ყოფილა გვარად (ნიჟარაძე, 30). ე. ი. სვან. **ჩიხრეშ** <

**\*ჩიხლაძე-არ-ემ.** საყურადღებოა, რომ **-ემ** ნათ. ბრუნვის ნიშანი ძირითადად მრავლობითი რიცხვის ფორმებს ერთვის. გვარიდან დაკარგულია **-ლაძე-** და არა მრ. რიცხვის ნიშნისეული **-ა**.

ცენისწყლისა და მისი შენაკადების — **ყორულდაშის, ზესხოს, ვიდურის, ლაფურის** — მცხოვრებლებს და ლაშხელებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონიათ რაჭა-ლეჩხუმთან აქ მდებარე მთებზე იყო გადასასვლელები: ლებთან, ჭიორასთან, სადმელთან, ორბელთან და სხვა სოფლებთან, ხშირი მიმოსვლა და ნაცნობ-მეგობრობა აკავშირებდათ ერთმანეთთან. გადმოცემით, **ლაფურში** მოსახლეობა ქართულად ლაპარაკობდა, **ლებსა** და **ჭიორაში** სვანურად. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლეგიონში სვანური ტოპონიმების გვერდით, ხშირად გვხვდება ქართული ტოპონიმებიც. მაგ.: სოფ. **ახგლშენ**, შდრ. ქართ. „ახალშენი“, სადაც ნემსაძეები და აბაშიძეები სახლობენ. სოფელი **ნაცულ** (შდრ. ქართ. **ნა-ცვალ-ი**), ბაკურაძეებით არის დასახლებული. სოფ. **ღობ-ი** (შდრ. **ლებ-ი**), აქ გაგანიძეები და კანდელაკები ცხოვრობდნენ. სოფ. **მახანში** (შდრ. სვან **მახე** „ახალი“ **\*მა-ხე-აშ** „ახლის“), ძირითადად, ჭელიძეები ცხოვრობენ. ერთ-ერთ მთას **საყიფიანო** ჰქვია. ცნობილია, რომ ლაშხეთის ბატონებად ყიფიანები მოიხსენებიან. ყიფიანები შემდეგ გელოვანებს შეუტყვლიათ, გელოვანები კი დადიანს და მთელ ქვემოსვანეთს ლაშხეთის თავიდან მურის ხიდანვე **სადად შვან**ს „სადადიანო სვანეთს“ უწოდებდნენ. რაჭისაკენ ერთ გადასასვლელზე ვიწრო ადგილს, კლდეებს შუა, **ყელიდ** ჰქვია, შდრ. ქართ. **ყელი**, **-იდ** კნინობითის სუფიქსია. ლაფურის თავზე მდებარე მთას **გორა**, ხოლო მის გაგრძელებას **გორიბოლო** ეწოდება. სოფელ ნაცულს ესაზღვრება მთა **სა-ცილ-ო**. ეს ადგილი სვანებს და რაჭველებს შორის ყოფილა **საცილო**. აქვე მთის კალთას **როყალ** ჰქვია, რომელიც დიდ ქვიანბალახიანი ადგილია, შდრ. რაჭული **როყნარი // ლოყნარი** — „დიდი ლოდების ჩამონაზვავი“ (კობახიძე 1987). ამ მიდამოებში ერთ ადგილს **გიორგიანი** ეწოდება, ნაცულელების (სოფელია) ცნობით,

ეს მთა გიორგობიანს ეკუთვნოდა. შდრ. ქართ. **გიორგობიანი** > სვან. **გიორგინი**. აქვეა ტოპონიმი **ქვასაკუნჭელა ბეჩ**, ამ სახელში ქართულია **ქვა**, ხოლო **ბეჩ** სვან. „ქვა“, **საკუნჭულა** შეიძლება იგივე იყოს, რაც რაჭული **საკუნიჭილო** — „მოწყობილობა, რითაც ქანაობენ, საქანელა“, შდრ. **კვინჭილო**, რაჭ. „ქანაობა“ **კვინჭილობს** „ქანაობს“. საქიანოზე კვინჭილობდით (კობახიძე, იქვე) **ქვა საკუნჭელა** — ქვა საქანელას (ქვა, რომელიც ქანაობს) უნდა ნიშნავდეს. **-ჟი** კომპლექსი ხშირად ლაშხურ დიალექტში, შერწყმის შედეგად **-ჟ**- ხმოვანს გვაძლევს. სოფელ **მახაშ**ში ყანებს შორის მიმავალ გზას **ორლობ** „ორლობე“ ეწოდება.

ლაშხეთში: ახალშენი, მახაში, ნაცული, ლაშხრაში შარა გზიდან მალლობზე დასახლებული სოფლებია. გზას, აღმართს ამ სოფლებისაკენ მიმავალს **კაჩ-არ** „აღმართებს“ უწოდებენ. **-არ** მრავლობითი რიცხვის ნიშანია. გამოიყოფა **კაჩ-** „აღმართი“, ზმნს. „ზეზე, ფეხზე ზეზეულად, მალლა, აღმართ-აღმართ“ (თოფურია, ქალდანი, 2000). **კაჩმერდე** „ფეხზე მდგომი“, გადატ. სუფრის მომსახურე. **ალარ სვა ხეგნის ტაბაგს კაჩუმ** (ბქ. 79) „ესენი ფეხზე (ფეხით) დადგებიან ტაბლასთან“. შდრ. **კაჩ-ა** (ლეჩხ., მოხ., ფშ., მთიულ.) „წვივი, კანჭი, ბარძაყი... საქონლის ადამიანის ფეხი“ (ლონტი 1984).

სოფელ ნაცულის მხარეს ნასოფლარს ალპიურ ზონაში **იწლაკაჩ** „იწის აღმართი“ ეწოდება, რაჭაშია სოფელი **იწი**. ის შეიძლება დაეუკავშიროთ სვან. **ჟიწ**ს „გორაკი, ბორცვი, მალლობი“ (**იწ < ჟიწ**). **ჟიწჟი იზგეხ** (ლნტ.) „გორაკზე ცხოვრობენ“. შეიძლება სვანურში **-ჟი**- თავკიდურ პოზიციაში გაჩენილი იყოს.

საინტერესოა ტოპონიმი **ულიშ**, რომელიც მდებარეობს ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს სოფელ **მახაში**ს თავზე. აქ დგას უძველესი ეკლესია **ულშა თარგზელ** „ულიშის მთავარანგელოზი“, სადაც იმართება რელიგიური დღესასწაული **ულიშობ** „ულიშობა“. ბ. ნიჟარაძესთან აღნიშნულია, რომ **ჰულიშ**, **ჟილიშ** დღესასწაული იციან მესტიის, ლაშხეთის



და ლენტეხის საზოგადოებაში. ეს დღე ქართული საეკლესიო კალენდრით ემთხვევა სულთა შაბათს, სულთაობას. მეორე დღეს, კვირას, სულთმოფენობაა. ამასთან დაკავშირებით ბ. ნიჟარაძე მოგვითხრობს ძველი სიმღერის ტექსტის შესახებ. ძალიან ადრე ენგურის სათავეში მთას მოსწყდა დიდი მყინვარი, რომელსაც ენგური დაუტუბებია. სულთა შაბათს დაუტუბებულ წყალს ყინული დაუძრავს, იმდენად დიდი ყინულიან-ქვიანი მეწყერი წამოსულა თავქვე, რომ მთელი ზემოსვანეთის სოფლები წაულეკავს. ეს მოვლენა აღწერილია მერი გუჯეჯიანის, აკაკი შანიძის და ვარლამ თოფურის მიერ შედგენილ სვანურ პოეზიაში. აქ ორი ვარიანტია შეტანილი, ორივეს ჰქვია **ჰგლშა საფტინ** „სულის შაბათი“. ამავე დღეს იხდიან ამ დღეობას, ლენტეხში სოფელ **ლეკუდარეშ**ში, პატარა ეკლესიაში, რომელსაც **ჟილიში ჯგვრანგილ** ჰქვია „სულის წმინდა გიორგი“. საინტერესოა, რომ ამ ეკლესიის სიმცირის გამო, წმინდა გიორგის მოიხენიებენ კნინობითი ფორმით **ჯგვრანგილ-ილ**. იქნებ სულთა შაბათს მართლაც მოხდა აქ აღწერილი საშინელი სტიქია, ამიტომ ამ დღეს, გარდაცვლილთა სულების მოხსენიების გარდა, ევედრებიან უფალს, წმინდა გიორგის, მთავარანგელოზს, წყალდიდობის, მეწყერისა, მიწისძვრისაგან და, საერთოდ, სტიქიისაგან დაცვას. რაც შეეხება ბზ. **ჰგლიშ**, ლშხ. **ჟილიშ**, ლნტ. **ჟილიშ**ს, უკავშირდება ქართულ **სულს**, **სულის** ფორმას. ქართ. -ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის შესატყვისია სვან. -**იშ**. თავკიდური **ს-** დაკარგულია მთელ სვანურში. ლაშხურ დიალექტში მივიღეთ **ჟილიშ**, ლენტეხურში შესაბამისად — უმლაუტიანი **ჟილიშ**, ხოლო ბალსზემოურში — რამდენადმე განსხვავებული **ჰგლიშ** ფშვინვიერი შემართვით და **ჟ**ს ნაწილობრივი რედუქციით; შდრ: ქართ. უნაგირი, სვან., ზს. **ჰინგირ/ჰვნგირ**, ლშხ. **უნგირ**. **ჰგლიშ**, **ჟილიშ**, **ჟილიშ** ნიშნავს „სულის“, ეს ფორმები იქცა როგორც ეკლესიის, ასევე სულთაობის, მიცვალებულთა ხსენების დღის, სულთა შაბათის აღსანიშნავ ტერმინად. ხოლო **ჟლშა თარიგზელ** ეტიმოლოგიურად იქნება „სულის მთავარანგელოზი“.

სოფელ სასასში საუკეთესო წყაროდ ითვლება **ლეკესარიელ ლიც** „საკეისრო წყალი“. ლენტეხის მახლობლად მდებარეობს მთა, საძოვარი **ტუიბლჳკესზრ** „ხეობა საკეისრო“. მთაც და წყაროც ითვლება საუკეთესოდ, იმდენად კარგია, რომ კეისრის საკადრისიანო, ალბათ ამან განაპირობა ამგვარი სახელების დარქმევა.

დაბა ლენტეხს ჩამოუდის ორი მოზრდილი მდინარე **ველეღ-ურა** და **ლასკად-ურა**, ორივე მდინარის სახელში გამოიყოფა ჰიდრონიმების მაწარმოებელი საერთო ქართველური **-ურა** სუფიქსი. **ველღურის** ზემო დინება ჩამოუდის სოფ. **ველეღ-ს**, ამიტომ ეწოდება ამ მდინარეს **ველეღურა**.

მდინარე **ლასკად-ურ-ა**ს ხეობა ძალიან ვიწრო და ციცაბო-კლდიანია. აქ სოფლები არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით ლენტეხთან ახლოს შედარებით ფართო ადგილზე, ამავე სახელწოდების სოფლის **ლასკადურა**ს, სვან. **ლასკადარ**ის არსებობას.

სოფლის და მდინარის სახელწოდების წარმომავლობის დასადგენად არსენ ონიანის ტექსტებში, ვიწრო, კლდოვანი ხეობის აღსანიშნავად, საინტერესო ტერმინია დადასტურებული. ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის საზღვრის შესახებ ნათქვამია: **გასკად ვევ ლი ი ძერუ კოჯა ნესგა ლაშხური ლიც, ველშვ ხასკდა, ეშ ნახვწი ლი** (ონიანი, 1979, 216) „ვიწრო (ძლივს გასატევი) ხევია და ორ კლდეს შორის ლაშხურის (ცხენისწყლის) წყალი, ძლივს ეტევა ისე ვიწროა“. აქვე სოფელ ხოფურთან გადებული ხიდის შესახებ წერს: **მეჟარ გასკად აგიქა ხაზ ბოგ, ოღო იშგნაგ ძჟირღ გარ ემე ლი ხოჩა ლაბოგ ლაშხური ლიცქა** (ონიანი, იქვე, 201). „საკმაოდ ვიწრო (გასატევ) ადგილზეა გადებული ხიდი, თორემ, სხვაგან იშვიათად (ძვირად) არის ხიდის გასადები ადგილი (სახიდე) ლაშხურის (ცხენისწყლის) წყალზე“. ჩვენთვის საინტერესოა **გასკად** „ვიწრო, ძლივს გასატევი კლდოვანი ხეობა“.

აღნიშნული ტერმინის **-სკად-** ფუძე უნდა უკავშირდებოდეს სვანურ **ლი-სკედ** „დატევა“, **ლა-სკედ** „დასატევი“, **ხ-ა-სკედ-ა** „ეტევა“ ფორმებში არსებულ რედუცირებულ (**სკედ** → **სკად**)

ფუძეს. საინტერესოა ლაშხელ მონადირეებთან დადასტურებული ტერმინი, **სკედგრალ** (< **სკედ-გრ-ალ**) „ვიწრო კლდოვანი ხეობები“. **ნათხუიარელ არიხ სკედგრალისა** (ლშხ.) „ნანადირეები (არჩვი, ჯიხვი) არიან ვიწრო, კლდოვან ხეობებში“. საკითხავია, რატომ არ მოხდა რედუქცია ჰიდრონიმ **ლა-სკად-ურა**’სა და სოფლის **ლა-სკად-არ** სახელში? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რედუქცია ამ პოზიციასში არ ხდებოდა მაშინ, როცა ეს ტოპონიმები შეიქმნა. ლაშხური დიალექტის **გა-სკად** ტერმინშიც რედუქცია არ მომხდარა. „ზოგად ენათმეცნიერული დებულების მიხედვით, ურედუქციობა, სრულხმოვნაინობა პირველადი და ამოსავალი ვითარების ამსახველი ჩანს ქართველურ ენებში, ხოლო რედუქციებული ფორმები — მეორეულისა“ (ქალდანი, 1969, 130).

როგორც ვნახეთ, ქვემოხვანურ ტოპონიმებში ხშირად დასტურდება **ლა-**, **ლე-**, **ნა-** პრეფიქსები, რომელთაც ზოგჯერ სუფიქსიც ერთვის.

**ლა-** დანიშნულების მაწარმოებელი პრეფიქსია, რომელსაც შეიძლება **-ა** სუფიქსიც ახლდეს. მაგ.: ტოპონიმები **ლა-ფურ** — „სა-ფურ-ე“, **ლა-ხილ** „სა-ხილ-ე; **ლა-სლოა** სა-სილ-ე“; **ლა-გურიკ-ა** „სა-კვირიკ-ო“ (მთაა, სადაც წმინდა კვირიკეს სახელობის ეკლესია დგას); **ლა-კა-ა** „სა-ფიქალ-ე“ (ადგილი, სადაც ფიქალი ჭვა მოიპოვება).

**ლა-ლია-არ** „სადუცე“; **ლა-** — **-არ** დანიშნულების კონფიქსი, ფუძეა **ლე/ლეა** „დუცი“; **ლა-ტფ-არ**, ფუძეა **ტფ-**, შდრ. ქართ. **ტაფობი** „სატაფოები, ტაფობიანი მთა“. **ლალცნირილ**, ფუძეა **-ცნირ-**, **ლე-ცნირ-ი** „გასაფცქენელი“; **ლი-ცნირ-ე** „გაფცქენა“. **ლეცნირი** ერთგვარი ბალახია, რომელიც გაფცქენის შემდეგ იჭმევა. **ალ ბალახს აცნირებს ი იზბიხ** (ონიანი, 1979, 12) „ამ ბალახს ფცქენიან და ჭამენ“.

სოფელ სასაშთან ახლოს მდებარეობს ადგილი **ლა-წყალ-იერი**, გამოიყოფა **ლა-** — **-იერ** კონფიქსი და **-წყალ-** ფუძე, რომელიც იგივეა, რაც **ოყალ** „აყალო (მიწა)“. **ლა-** პრეფიქსის

დართვით **ო** ხმოვანმა ნაწილობივი რედუქცია განიცადა **ო>ჟ**'დ. **ლა-ჟყალ-იერ** „საყალოე“ (ადგილი). სასაშლეს თონეებისათვის საჭირო აყალო მიწა აქედან მიაქვთ.

აღნიშნული რეგიონის, ე. ი. მთელი ცხენისწყლის (ლაშხურის) ხეობის 77 ტოპონიმი აქვს თავმოყრილი არსენ ონიანს. თავისი ადგილ-მდებარეობის აღწერით, საზღვრებით, ვიზუალური დახასიათებით, ამ ტოპონიმების სახელწოდებები ცალ-ცალკე შევიდა სვანური პროზაული ტექსტების (ლაშხური დიალექტი — IV ტომში). აქ ჩამოთვლილ ტოპონიმებში დომინირებს ნაგენიტივარი ფორმები. გვხვდება სვანურის ნათესაობითი ბრუნვის ყველა ალომორფი: **-აშ**, **-იშ**, **-ეშ**. მაგ.: **წგრნ-აშ** „წითლისა“ შდრ. **წგრნი** „წითელი“; **დწჟ-აშ** „დევისა“, **დადი-აშ** „დადიანისა“, **ჭვედ-აშ** „კედლისა“, შეიძლება გამოიყოს **ჭვედ** „კედელი“; **ლა-ღარჟ-აშ** „სა-ღარო-სი“ შდრ. ძირი **ღარ** [ჟ] „ღარი“; **ლა-ცჟუ-აშ** ტოპონიმს არსენ ონიანი უკავშირებს **ლა-ცჟალ-აშ** „სახხუბარი ადგილი“. სათიბს, რომელიც **ვიდრულაჟ-ს** მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ეწოდება **მეწერი-აშ**, რომლის შესახებ არსენ ონიანი წერს, აქ არის წიწვოვანი ტყე და ბევრი სამეწყრე ადგილიო (ონიანი, იქვე, 221). **მეწერი-აშ** შესაძლებელია მოდიოდეს **\*მეწყერი-აშ** „მეწყერისა“ ფორმიდან.

სოფელ ჟაჯუნდერში ერთ წყაროს წყალს **ლალჟლ-აშ**'ს უწოდებენ. გამოიყოფა **-ღჟლ-** ფუძე, **ლა-** პრეფიქსია, **-ღ** ← **-ჟლდ** კნინობითის სუფიქსის ნაწილი, **-აშ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. **ღჟლ** გრძელხმოვნიანი ფუძე უკავშირდება ქართულ **ღმუილ-ს**. მ'ს დაკარგვამ და **ჟ+ი** ხმოვანთა შერწყმამ განაპირობა **ჟ** ხმოვნის დაგრძელება. **ლა-ღჟლ-ღ-აშ** „ღმუილა'ს“ უნდა ნიშნავდეს. ხშირად სვანურში ხმოვანობის გადმომცემი ზმნები საერთოა ქართულთან. მაგ.: კვილი > სვან. **ლი-კილ-ი**; ბღავილი > სვან. **ლი-ბღჟლ-ი**; ჭყავილი > სვან. **ლი-ჭყჟლ-ი** და სხვა. სამეცნიერო ლიტერატურაში სოფლის სახელი **ჟახუნდერი**, სვან. **ჟაჯუნდერ**, სახელში გამოყოფილია **ჟაჯჟ** „არყის ხე“, **-უნდ**

კინოზოგრაფიის სუფიქსია. -ერ ქართული -იან სუფიქსის შესატყვისია. **უახუნდერი**, სვან. **უაჯუნდერ** ნიშნავს ნორჩ (პატარა) არყნარს“ (ჭუმბურიძე, 2007, 31).

სოფლის სახელია **დგრ-აშ**, რომელშიც გამოიყოფა ფუძე **დგრ-** „დვრიტა, კვეთი“. აღსანიშნავია, რომ ეს სოფელი ცნობილია ნაყოფიერი სახნავ-სათესით, გამოირჩევა უხვმოსავლიანობით და კარგი სათიბებით. შეიძლება ამან განაპირობა მისი სახელი **დგრ-აშ** „დვრიტისა“. **გუიმბრალ-ა** ამ სახელით იხსენიებს ა. ონიანი ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელს. გამოიყოფა **გუიმბრ** „გვიმრა“, -**ალ** მრ. რიცხვის ნიშანია დისიმილაციით -**არ**’ისაგან მიღებული, დღეს ამ სოფლის სახელს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ჩამოცილებული აქვს და **გუიმბრ-წლ** „გვიმბრები“ ფორმით დასტურდება. **ლა-წლანდ-აშ**, ლშხ. **ლა-წლანდ-აშ**, ლნტ. დღევანდელი მურის ხიდის მიდამოების ძველი სახელია. გამოიყოფა **ლა-** დანიშნულების პრეფიქსი, -**აშ/-აშ** ნათესაობით ბრუნვის ნიშანია. ფუძეა -**წლანდ**, მისი მნიშვნელობა ჩვენთვის ბუნდოვანია.

როგორც ვნახეთ, გამორჩეულად ხშირად გვხვდება -**აშ/-აშ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშნიანი ტოპონიმები. ზოგი მათგანი გზადაგზა განვიხილეთ. შეიძლება დამატებით დავასახელოთ: **ქალნად-აშ**, **გორაშ-აშ**, **ლანთლდ-აშ**, **კვედრ-აშ**, **ფხაჭ-აშ**, **დერგ-აშ**, **მუ-აშ**, **ბეყენდ-აშ**, **სას-აშ**, **ლამფალ-აშ**, **დადი-აშ**, **ჭური-აშ**, **ლარ-აშ**, **ლაცუ-აშ**... -**იშ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშნიანები: **მარგაშ-იშ**, **უღ-იშ**, **ყარ-იშ**, **კუდ-იშ**, **ქაშ-იშ**, **დნბ-იშ**, **კარკ-იშ**, **სტარუნ-იშ**, **ნალ-იშ**, **ლაყბელდ-იშ**, **ქუნ-იშ**... -**ეშ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშნიანი: **ჩიხრ-ეშ**, **ღეჭუდარ-ეშ**, **ყვედრ-ეშ**, **ბგლ-ეშ**, **უკაშლ-ეშ**, **ვაჩ-ეშ**...

## გამოყენებული ლიტერატურა

**ნიჟარაძე ბ.**, „ისტორიულ ეთნოგრაფიული წერილები II, თბილისი, 1964.

**ქალდანი მ.**, სვანური ენის ფონეტიკა, თბილისი, 1969.

**კობახიძე ა.**, რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბილისი, 1987.

**დლონტი ა.**, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984.

**თოფურია ვ., ქალდანი მ.**, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

**ონიანი ა.**, ლაშხური კილო IV, თბილისი, 1979.

**ჭუმბურიძე ზ., ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე,** სვანური ენა, თბილისი, 2007.

**ჩანტლაძე ი.**, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1998.

**მაჭავარიანი გ.**, საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965.

ელისაბედ გაზდელიანი

## ქვემოსვანეთის ზოგი ტოპონიმის წარმომავლობისათვის

სტატიაში წარმოდგენილია უმეტესისა და ქვემოსვანეთის საზღვარზე და, საერთოდ, ცხენისწყლის ხეობაში მდებარე ზოგი ტოპონიმის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი.

**Elisabed Gazdeliani**

**On the Subjects of the Origin of Some Toponyms in  
Lower Svaneti  
Summary**

The article deals with the structural-semantic analysis of some toponyms on the border between Ushguli and Lower Svaneti and generally, in Tskhenistskali valley.

მტკიცებით-გამაძლიერებელი ნაწილაკები ქართულურ  
ენებში და მათი წარმოშობა

მტკიცებითი ნაწილაკი — ესაა ისეთი ნაწილაკი, რომელიც წინადა-  
დებაში ჩაერთვება რაიმეს გამოსაკვეთად, დასადასტურებლად, მტკიცების  
გასაძლიერებლად. მთავარია, რომ ეს არაა მიგებითი ნაწილაკი, ესე იგი,  
იხმარება არა პასუხის დროს, არამედ თავისთავადაც.

ქართულ კი ნაწილაკს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, რომელთაგან  
ერთ-ერთი სწორედ მტკიცებით-გამაძლიერებელია [4]:

I. ჩვეულებრივი მიგებით-დადასტურებითი — იგივე, რაც **ჰო = დიას**  
(განსხვავება მხოლოდ სტილისტიკურია), მაგ.: **მოიტანე? — კი. ან: მოი-  
ტანე? — კი, მოვიტანე.**

II. **მაპირისპირებელი** — დაახლოებით იგივე, რაც **ხოლო** კავშირისა,  
მაგ.: „**თავი რძეს იპარავდა, კატა კი — ძეხვსაო.**“ = „**თავი რძეს იპარავ-  
და, ხოლო კატა — ძეხვსაო.**“

მე ამდენს ვშრომობ, ის კი მთელ დღეს კოტრიალობს.

III. **გამაძლიერებელი** ნაწილაკისა, -ც ნაწილაკთან ერთად (რუსული  
даже-ს შესატყვისად), მაგ.: „**მშიერს ხმელი პურიც კი ვეგმრიელებაო**“;  
**ყვავილებიც კი აღელდნენ.**

IV. **მტკიცებით-გამაძლიერებელი**, იგივე, რაც კუთხური ქე, მაგ.: **მე კი  
ვიცი, რატომაც ადგა; რომ წასულიყო, კი მიეწოდა; მე კი მოვიტან, მაგ-  
რამ მაინც არ გამოგადგება; „მე კი ვიყივლებ და თუნდ გათენდეს, თუნდ  
არაო“; კი გითხარი; არ კი მოუტანია; ერთი კი იყო დარჩენილი; ასევე:  
მოიტანე? — კი მოვიტანე. ან: მოიტანე? — მე კი მოვიტანე, მაგრამ...  
მაშასადამე, როგორც სინტაქსურად, ისე სემანტიკურად, არსობრივად,  
განსხვავებულია წინადადებები: **კი, მოვიტანე და კი მოვიტანე.****

IV\*. გამოკვეთილია ამ ნაწილაკის კიდევ ერთი მნიშვნელობა — და=  
ეჭვებითი [4]: **გააკეთებს კი?** ჩვენი აზრით, ეს არაა ცალკე მნიშვნელობა



მას IV მოიცავს. ოლონდ, როდესაც მტკიცებითი კი ნაწილაკი კითხვით წინადადებაშია, მას თავისთავად ექნება დაეჭვებითი ელფერი, რადგან დაეჭვების გარეშე შეკითხვა ხომ არც დაისმებოდა. ესე იგი, წინადადება **გააკეთებს კი?** ისეთივეა, როგორცაა თხრობით-მტკიცებითი **გააკეთებს კი = კი გააკეთებს**. მთელი წინადადების მოდალობა კითხვითი, ხოლო კი ნაწილაკის მნიშვნელობა ზუსტად ერთი და იგივეა. მაშასადამე, მტკიცებითი კი ნაწილაკი იხმარება კითხვით წინადადებაშიც, ამგვარ კონტექსტში კი მას დაეჭვებითი მნიშვნელობა აქვს, მაგ.: *მართლაც უეჭველად გააკეთებს?*

IV\*\*. არსებითად, იმავე IV სახისაა კი ნაწილაკის კიდევ ერთი, დამაზუსტებელი მნიშვნელობა. იგი თავს იჩენს მიმართებით მაკავშირებლებთან გაერთიანებით, მაგ.: **ყველაფერი გაახსენდა, რაც კი მასზე გაეგონა**. ასევე: **სადაც კი, რომელიც კი, როდესაც კი...** ამგვარ წინადადებებშიც შეიძლებოდა კი ნაწილაკის გამოტოვება: **ყველაფერი გაახსენდა, რაც მასზე გაეგონა**. წინადადებას მოაკლდა მხოლოდ მაკავშირებელზე დასმული აზრობრივ-დამაზუსტებელი მახვილი.

IV მაგალითებში სამწერლობო კი ნაწილაკის სრული ტოლფასია კუთხური ქე (მაგ. რაჭ.-იმერ. მე ქვე (ქე) ვიცი, რატომაც ადგა); გარდა ამისა, შეიძლებოდა ამ ნაწილაკის გამოტოვებაც. ამით არ ეცვლება არც წინადადების სინტაქსური აგებულება და არც კი ნაწილაკის ძირითადი სემანტიკური შინაარსი — მხოლოდ თავისებური აზრობრივი მახვილი, გაძლიერებითი მტკიცება ეკარგება შდრ.: **მე ვიცი, რატომაც ადგა; რომ წასულიყო, დაეწეოდა. მოიტანე? — მოვიტანე**.

საყურადღებოა, რომ სხვა ენებზე თარგმნისას ეს აზრობრივი მახვილი თითქმის სულ იკარგება (მაგ.: **რომ წასულიყო, კი (ქე) დაეწეოდა**), ეს ქართველური ენების თავისებურებაა.

ბუნებრივია, რომ დადასტურება (ოლონდ მიგებისგან დამოუკიდებელი) ახლოსაა მტკიცებით-გაძლიერებასთან. ამას თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ან.ქართ. **დიახ** = სამ.ქართ. **დიად II დია** დია ბევრი [1].

მტკიცებით-დადასტურებით-გამაძლიერებელი მნიშვნელობა საწესო ცნობიერებისთვის ლუთაებრიობასთანაა დაკავშირებული. ა. შანიძის თანახმად, მაგ., **დიად** სავარაუდოდ წარმომდგარია შესიტყვებისგან **დია**

**ღმერთო** – „მოვასხენე: „ღია ღმერთო, ბრძანება ვქმნა მეცა თქვენი“ [რუსთველი] [14]. ეს ბუნებრივია, რადგან უეჭველი, ჭეშმარიტი სიძარტლე თუ გაძლიერებული მტკიცება – სწორედ ღვთაებრივი თვისებებია. ამასვე გვიჩვენებს, მაგალითად, ქრისტიანულ ტექსტებში ჩართული სიტყვა – მტკიცებით-დადასტურებით-გამაძლიერებელი „**ჭეშმარიტად**“ (სპარსული წარმოშობისა) [14], იგივე, რაც ებრაული „**ამინ**“ ნამდვილად, ჭეშმარიტად, უეჭველად. დაახლოებით ამავე მნიშვნელობის იყო ძველ ქართულში **დასტურ**: **დასტური ჭეშმარიტი, ნამდვილი, სანდო; დასტურად** ნამდვილად; **სიდასტურე** სინამდვილე, სისწორე, სანდობა... თანაც არ გვხვდება **დადასტურება** [2][3]. ასევე ყოფილა სულხან-საბას ხანაშიც [1]. ესე იგი, ძველ ქართულშიც და საშუალ ქართულშიც **დასტურ** ფუძეს ჰქონია მხოლოდ მტკიცებით-გამაძლიერებელი, მაგრამ არა დადასტურებითი მნიშვნელობა, რომელიც მხოლოდ ზოლოხანს განვითარდა. საყურადღებოა ის, რომ ამ სპარსული წარმოშობის სიტყვის პირველადი მნიშვნელობა საწყისა: **დასტური ზოროასტრიზმის უზენაესი ქურუმი** [21] ( ფშავ-ხევეს. **დასტური სამლოცველოს, ჯვარ-ხატის მსახური** [5].

სხვათა შორის, თანამედროვე ქართულში დაახლოებით ამავე დანიშნულებით გავრცელებულია არსებითად ბარბარისტული სიტყვა **აბსოლუტურად სრულიად** (რომელსაც უფრო ხშირად ექსპრესიულად, გაძლიერებულად წარმოთქვამენ!) – **აბსოლუტი** ხომ იგივე ღმერთია, ისევე, როგორც **სრულიად** – სრულიც მხოლოდ ღმერთია. თანაც ყოველ ასეთ ფრაზას ახასიათებს თანდათანობითი ცვეთა – ჩვევად ქცეულ ფრაზას (მაგ., წამოძახილი „ღმერთო ჩემო!“), ეკარგება გამორჩეულობა, ექსპრესიულობა, „ღვთიურობა“, ამიტომ მის ნაცვლად სხვა „ღვთიურ-გამაძლიერებელი“ ფრაზის ხმარებას იწყებენ. ამან შეუწყო ხელი თავდაპირველი მტკიცებით-დადასტურებით-გამაძლიერებელი ნაწილაკების სემანტიკურ ცვლილებას და ძველის ახლით ჩანაცვლებასაც.

ცნობილია საერთოქართველური მტკიცებითი (გამაძლიერებელ-დადასტურებითი) ნაწილაკი **ქუე**; რაჭ. ხევეს. **ქვე**; იმერ. **ქე**; ლეჩხ. გურ. **ქე** || **ქი**; მეგრ.ლაზ. **ქო** || **ქუ** || **ქ** || **ქა** || **ქე**, სვან. **ჩუ** [11][4]. ამასთან, როგორც სვანურში, ისე ზანურში, ეს ნაწილაკები ზოგჯერ ზმნისწინის დანიშნუ-

ლებითაა, ზმნისწინებთანაა შეზრდილი, იშვიათად კი რთული ზმნისწინის შემადგენელ ორ მარტივ ზმნისწინს შორისაც კია მოქცეული [12] (სხვათა შორის, ამ უკანასკნელ წინადადებაში ერთად გამოვიყენეთ **კი** ნაწილაკი II და III მნიშვნელობებით).

საყურადღებოა, რომ ეს ნაწილაკები ძირითადად მხოლოდ დასავლურ-ქართულ ენა-კილოებში გვხვდება, აღმოსავლეთში კი მხოლოდ – ინგილოურში: **ქო** [6] (**ქვე** (ინგილოურში კანონზომიერია **ვე** (ო).

სულხან-საბა მიუთითებს: „**კი, მი, ყე, ქუე, ქე, წენ, კენ** – ესენი სიტყვათა გემოთა ართრონნი არიან, ხოლო რომელნიმე იმერელნი ამათდა ნაცვლად სიტყვათა შინა ატანენ: **ქე, წენ**. ცუდი არს და ამაო“ [1]. ესე იგი, სულხან-საბას ისინი კუთხუერ ნაწილაკებად მიაჩნია.

თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება: „ყმა ნავის თავსა უშიშრად **ქვე** დგა, არ თურე კრთებოდა“ – ამ წინადადებაში სრულებით არაა საჭირო ზმნიზედა **ქვე / ქვევით / ქვეშ...**, ნაწილაკი **ქვე** აქ მტკიცებითია: „ყმა ნავის თავსა **კი** იდგა (მიუხედავად იმისა, რომ საშიში იყო), არ კრთებოდა“.

ჩამოთვლილ ნაწილაკათაგან **ყე/ყენ/კენ** ნაწილაკებს ქართულ კილოებში მრავალი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მათ შორის არ დასტურდება მტკიცობითობა; ხოლო **მი** ნაწილაკი ძველ ქართულში სახელურ ფუძეებს დაერთოდა და აძლიერებდა მიწვევითობას [4]. დარჩა უცნობი ნაწილაკი **წენ**, რომელზეც სულხან-საბა პირდაპირ მიუთითებს, რომ მას რომელიღაც დასავლურ კილოში **ქე** ნაწილაკის პარალელურად ხმარობენ.

თავისთავად **წ** თანხმოვნის გამოჩენა მტკიცებით ნაწილაკებთან არაა შემთხვევითი. საქმე ისაა, რომ მესხურში იხმარება ნაწილაკი **წვე II მწვე** ძალიან, მაგალითად: „როსტომ **წვე** გულჩქარობდა“ [5:700]. ეს წინადადება აზრობრივადაც და სინტაქსურადაც ძალიან ახლოსაა რაჭულ წინადადებასთან „როსტომი **ქვე** ჩქარობდა“; ოღონდ მესხურში გამაძლიერებელ-მტკიცებით ნაწილაკს მნიშვნელობა ოდნავ შეუცვლია: **კი**, ნამდვილად (ძალიან, მამასადამე, მესხური **წვე** წარმოშობით ისეთივე მტკიცებითი ნაწილაკია, როგორიცაა რაჭული **ქვე**.

კლარჯულში სხვა მტკიცებითი ნაწილაკიცაა – **ზე**: „ის **ზე** დამწყვედი ული დარჩა.“ [13:585]. საყურადღებოა, რომ არც ესაა შემთხვევითი და მოიძებნება ამ ნაწილაკის კანონზომიერი სვანური შესატყვისი – **ჟი**.

აქამდე არ ყოფილა შემჩნეული, რომ სვანურში, გარდა ჩვეულებრივი გამაძლიერებელ-მტკიცებითი ჩუ ნაწილაკისა, ამავე დანიშნულებით ის-მარება აგრეთვე ნაწილაკი ჟი, მაგ. (ბალსქვემოური): „ლანაკ ჟი მეშთხე ჰასჷიმ ლამუარამ ნამხ ოტსოვ ეჯღნა ლწხნაკ“ მამისიანებს კი მოკლე-ბული (მთლად მოკლებული) ასული მამისეულ ნასახლარს მინც მიეყრდნოს; „დაგრა ამსოლდამ ჟიუკიდა ბეგარ ლი“ სიკვდილი ადამიანის კი გადაუდებელი ბეგარაა; „ვოკრიმ მგრდიდ კომურ ნესყოვი ჟქსნაკჷ“ ობლის გამზრდელი უყურო ნემსისთვისაც კი დაიხაროს; „თხუმემ ლაფმდის ჟი ლწპელი ხარ“ თავის ქება კი მოესწრება; „ლფეკელობ გლექს ლწპელი ე, ჟი ეჯღნი დემ იკმპრი“ ქალბატონობა გლექს თუნდ მიეცეს, კი მინც ვერ გამოიყენებს; „მინდ მპრემ ბწკს ჟი ხეთირი“ შიმშილი კაცის ნაბიჯს კი ეტყობა; „მამდმპრჷიმ ნადგარ მახმპრჷი ჟი დწს ხოგნა“ სიმთვრალეში მოკლული სიფხიზლეში კი არაფის აუყენებია; „მეკედს ჟი ვობწმ ლახგენა“ მომვლელს კი მრავალი წამოსდგომია; „ჟი ლუც ქაფ ლეისგ ლი“ კი აკიდებული ტვირთი წასადებია; „ჟი ლუშხვინ მარა ჟი ხეხელი“ კი შენახული კაცს კი დახვდება; „უშხვარ ჟი დწრ იცჷემ“ ერთმანეთს კი არაფინ აიკიდებს; „ხოჩა ი ხოლა ნწლზიგალ ქორს ხეთნი ჟი“ კარგი და აფი ნაქნარი სახლს დაეტყობა კი. [17:29,49,42,50,65,72,190].

არც ერთ ამ წინადადებაში ჟი ნაწილაკს არა აქვს ზმნისწინის დანიშნულება, შეიძლება მისი გამოტოვება. ამით წინადადებას დაეკარგება თავისებური აზრობრივი (ლოგიკური) მახვილი, სხვა არაფერი. ზოგჯერ კი შეიძლება ჟი ნაწილაკის შეცვლა ჩუ მტკიცებითი ნაწილაკით, რითაც წინადადება არც სინტაქსურად და არც სემანტიკურად ოდნავადაც შეიცვლება, მაგ.: „უშხვარ დწრ იცჷემ“ / „უშხვარ ჩუ დწრ იცჷემ“; ასევე: „ლანაკ ჩუ მეშთხე ჰასჷიმ ლამუარამ ნამხჷიტსოვ ეჯღნი ლწხნაკჷ“; „ვოკრიმ მგრდიდ კომურ ნესყოვი ჟქსნაკჷ“ ობლის გამზრდელი უყურო ნემსისთვისაც კი დაიხაროს; „თხუმემ ლაფმდის (ჟი) (ჩუ) ლწპელი ხარ“ თავის ქება (კი) მოესწრება; „ლფეკელობ გლექს ლწპელი ე, (ჟი) (ჩუ) ეჯღნი დემ იკმპრი“ ქალბატონობა გლექს თუნდ მიეცეს, (კი) მინც ვერ გამოიყენებს; მინდ მპრემ ბწკს (ჟი) (ჩუ) ხეთირი“ შიმშილი კაცის ნაბიჯს

(კი) ეტყობა; „მამდმანრჟიმ ნადგარჲ მანმანრჟი (ჟი) (ჩუ) დანს ხოგნა“ სიმ-თვრალეში მოკლული სიფხიზლეში (კი) არავის აუყენება [27].

როგორც ცნობილია, სვანური ჟი ნაწილაკის ძირითადი მნიშვნელო-ბა სივრცითია – ქართული ზე ნაწილაკის კანონზომიერი შესატყვისი. ასევე, სვანური ჩუ ნაწილაკის ძირითადი მნიშვნელობაც სივრცითია – ქართული ქვე ნაწილაკის კანონზომიერი შესატყვისი [8]. თანაც, ზემორე განხილულ წინადადებებში ჟი იცვლება მისი საპირისპირო ჩუ ნაწილაკით, წინადადებას კი არაფერი ემართება. მაშასადამე, ცხადია, რომ განხილულ კონტექსტებში ჟი – არა სივრცითი, არამედ ჩვეულებრივი მტკიცებითი ნაწილაკია. გარდა ამისა, ჩანს, რომ წინადადებაში ჟი მტკიცებითი ნაწი-ლაკის ადგილი ნებისმიერია: ის შეიძლება იყოს უშუალოდ ზმნის წინ, ან სხვაგან, წინადადების ბოლოშიც კი, ანდა სულაც შეერწყას სხვა სიტყვას, მაგ.: **ჟიუჟიდა II უჟიდა** გადაუდებელი.

ჟი მტკიცებითი ნაწილაკი ჯერჯერობით მხოლოდ ბალსქვემოურ კი-ლოში ჩანს, რომელშიც იგი საკმაოდ ხშირად გვხვდება. ხოლო ჩუ მტკი-ცებითი ნაწილაკი ასევე ძალიან ხშირად იხმარება სვანურის ოთხივე კი-ლოში.

სვანურში, ბალსქვემოურშივე, გვხვდება, თუმცა იშვიათად, კიდევ ერთი მტკიცებითი ნაწილაკი აშ, მაგ.: „ლამარგ ლაჩომთე აშ ლეგჷე ლი ი მამ-ჭირან – აშ ლეჯვირი“ ბეჯითი საქმისაგან ქე დასაკავებელია და ზარმაცი – ქე საჯიკავებელი; „ლეთრე აშ დემეგ ასზჷიბ“ სასმელი ქე არ დის წყა-როსავით; „ლეშედს ლანხმედურალოჲ, შომალე აშ ახხელი“ მისაშველს მიეშველე, ოდესჲ ქე წინ დაგხვდება; „რაგანდ ჩი აშ ხოშიდ“ ლაპარაკი ყველასთვის ქე ნებადართულია; „ქჷინ აშ ნაყიდჲ დანს ხარ“ სული ქე ნაყიდი არავის აქვს; „შდგმთე მოგ აშ ესჷდე ი მოგ აშ ოთყუნე“ ყურში ზოგი ქე ჩაუდევნი და ზოგი ქე ჩაუკაყუნე. [17:49,54,56,130,149,161].

ამავე ნაწილაკისაგან ჩანს წარმოქმნილი:

სვან. აშგარ ყოველთვის < აშ ქე + გარ მხოლოდ, მარტო;

სვან. აშოლჲ ნეტამც < აშ ქე + ოლჲ -მც.

(წყევლა: „ბარბოლს აშოლჲ ოთბიჭჷა!“ ბარბალესამც ვაეხეთქო!) [18:21];

სვან. ეში მაინც: „ღებ ცხუ ჟი ხედგარი ი ამახვს ეში ქა ხატყცი“ ფუტკარი ისარს ზედ აკვდება და მტერს მაინც ისრავს [17:115]. ხოლო ჟი ამ წინადადებაში არის უკვე არა მტკიცებითი ნაწილაკი, არამედ ჩვეულებრივი ზმნისწინი: **ხედგარი უკვდება (ჟი ხედგარი ზედ აკვდება, მიაკვდება** [27].

სვანურში მტკიცებითობის დანიშნულებით კიდევ ერთი სივრცითი ნაწილაკი გვხვდება – **სგა**, რომელიც ქართული **ში**- ნაწილაკის კანონზომიერი შესატყვისია [8], მაგ. (ბალსზემოურში): „ახფხიჭეს **სგა** დედბერს“ *სტაცეს „ში“ დედაბერს*; „სემი მარე **სგა** ხონკერის“ *სამი კაცი „ში“ ახლავს*. კ. გაბუნის აზრით, ეს ნაწილაკები სივრცით მიმართებას გამოხატავს. მართლაც, სვანურში **სგა** უფრო ხშირად სწორედ „ადგილობით“ ზმნისწინის დანიშნულებითაა და შიგა სივრცეს შეესატყვისება, უპირისპირდება **ქა** ნაწილაკს, რომელიც გარე სივრცეს შეესატყვისება [16:140]. მაგრამ განხილულ ორ წინადადებაში შიგა სივრცე არაფერ შუაშია, რის გამოც თვითონ მთარგმნელმა ქართული „ში“ ნაწილაკი ბრჭყალებში ჩასვა. ჩვენი აზრით, ამ წინადადებებში **სგა** – მტკიცებითი ნაწილაკია. მის ნაცვლად შეიძლებოდა ყოფილიყო **ჩუ** ან **ჟი**, ანუ ქართული **კი** ან იძერული **ქე**, ან შეიძლებოდა ამ ნაწილაკის გამოტოვებაც: „სემი მარე (**სგა**) (**ჩუ**) ხონკერის“ *სამი კაცი (კი) ახლავს* [27].

ამრიგად, ორი საერთოქართველური მტკიცებითი ნაწილაკი **ქვე** და **ზე** ზუსტად ემთხვევა შესაბამის სივრცით ნაწილაკებს და მათგან წარმოქმნილ ზმნისწინ-თანდებულებს. გარდა ამისა, რამდენიმე სხვა მტკიცებითი ნაწილაკის ძირითადი მნიშვნელობაც სივრცითია (მათ შორისაა აგრეთვე სულხან-საბას მიერ მოხსენიებული **კენ**). ამიტომ ეჭვს აღარ იწვევს, რომ ეს მტკიცებითი ნაწილაკები შესაბამისი სივრცითი ნაწილაკებისგანაა წარმოქმნილი: წარმოუდგენელია ერთდროულად ამდენი შემთხვევითი დამთხვევა, მით უმეტეს, რომ მტკიცებითი ნაწილაკებისა და სივრცითი ნაწილაკების კავშირი ნახურ-დაღესტნურ ენებშიც ჩანს [11]. მასასადამე, უსაფუძლოა **ქუე** სივრცითი ნაწილაკის მოწყვეტა მტკიცებითი ნაწილაკისაგან [8].

სამწერლობო ქართულ ენაში მტკიცებითი ნაწილაკი **ქვე** გამოიყენებოდა იშვიათად, ისიც მხოლოდ XII-XVIII საუკუნეებში [4]. ჩვენი აზრით, ესეც კილოების გავლენით უნდა აიხსნას. ხოლო ახალ ქართულში (და ქართლურ კილოშიც) მტკიცებითი ნაწილაკია იგივე დადასტურებითი ნაწილაკი **კი** [იხ. ზემორე]. ქართულშიც და მეგრულშიც ერთმანეთს ემთხვევა მტკიცებითი და დადასტურებითი ნაწილაკები, მაგ.: „მა **ქო** მიჩქუმ, მუშენი ედირთუ“ *მე კი ვიცი, რატომაც ადგა;* „მიდურთუშუტკონი, **ქე** გიოჭიშუანდუ“ *რომ წასულიყო, კი დაეწოდა.* ესე იგი, მეგრულში მტკიცებითი ნაწილაკია ხან ჩვეულებრივი დადასტურებითი ნაწილაკი **ქო** (როგორც ქართულში), ხან კი – **ქე**.

სამწერლობო ქართულში მტკიცებითი ნაწილაკი **კი** ფართოდ ვრცელდება XVII-XVIII საუკუნეებიდან („სამართლის ძეგლები“ და სხვა, მაგ.: „სარგებელი **კი** აიღოს“, 1800 წ.) [9], მანამდე კი ძალიან იშვიათია: „თაგსა გადაჰკრა მათრახნი, ვნახეთ სისხლისა **კი** დენით“ [„ვეფხისტყაოსანი“ 208]; „ინილეს ყოველთა **კი**“ [„უძველესი იადგარი“ 67:29], (VII-IX ს) [9]. ახალ სამწერლობო ქართულში **კი** ნაწილაკი, ალბათ, ქართლური კილოს, ანდა ქართლ-კახური კილოების გავლენით გავრცელდა. ძველ წერილობით ძეგლებში **კი** ნაწილაკი იმთავითვე მიჩნეული იყო კუთხურ, სოფლურ სიტყვად და მის გამოყენებას ერიდებოდნენ – გავიხსენოთ სულხან-საბასეული „ცული არს და ამო“, რაც **კი** ნაწილაკსაც ეხება, ასევე **ჟე ქვე** და სხვა ნაწილაკებს. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ უძველეს ხელნაწერებში, ანუ უცხო ენებიდან ნათარგმნ ქრისტიანულ წიგნებში, ამ ნაწილაკების საჭიროება არ არსებობდა, ვინაიდან წინადადებები აგებული იყო ბერძნული, სირიული თუ სხვა ენების ლოგიკურ წყობაზე, ხოლო ამ უცხო ენებში ამგვარი მტკიცებითი ნაწილაკები არ არსებობს (ამიტომაც ჭირს ამ ნაწილაკებიანი წინადადების სრულფასოვანი თარგმნა უცხო ენებზე, მაგ.: *რომ წასულიყო, კი დაეწოდა*). ამიტომ იქნა მიჩნეული არაწიგნიერ სიტყვად ნაწილაკი **კი**.

საყურადღებოა ვითარება გურულ დიალექტში. მტკიცებით ნაწილაკად თითქმის არ იხმარება არც **კი** და არც **ქე/ქვე**, იხმარება მხოლოდ **ქი** (ყოველ შემთხვევაში, ოზურგეთში):

რაცა ჭკვიანური ქი მეიგონა; ქი ვნახე, მარა არ მომეწონა; არ დუუ-  
ჯერა და ქი მეიტება ფეხი; ქია სუფთა; ხვალ ქი მოვალთ; ადრე ქია, მარა...

ხოლო ზოგჯერ გაკვირვებასაც გამოხატავს: **ქი არ მომატყუა?!**

(მეგრულ-ლაზურშიც მტკიცებით ნაწილაკი ზოგჯერ ამავე ქი ფორ-  
მითაა). ცხადია, ეს გურული ქი ზედმიწევნით შეესატყვისება ქართულ  
ნაწილაკს კი.

მაშასადამე, ნაწილაკი კი — წარმომოებით მტკიცებითი ნაწი-  
ლაკია, ხოლო დადასტურებითი ნაწილაკის დანიშნულება მან გვიან  
(ყოველ შემთხვევაში, სულხან საბას შემდეგ) შეიძინა და ისიც — მხოლოდ  
ნაწილობრივ. ძველ და საშუალო ქართულში დადასტურებითი ნაწილაკია  
ჰო, და ახალ ქართულშიც უპირატესად ასეა (ან თავაზიანი დიას).

რაკი სივრცითი ნაწილაკის საერთოქართველური ფორმაა ქჷე, ამი-  
ტომ ეგვეე იქნებოდა შესაბამისი მტკიცებითი ნაწილაკის თავდაპირველი  
ფორმაც. მაშასადამე:

**ქჷე > ქვე > ქე > ქი.**

როგორც ვნახეთ, ქართულ კილოებში, გარდა ქვე და ზე ნაწილაკები-  
სა, ჩანს კიდევ ორი სხვადასხვა მტკიცებითი ნაწილაკი: ერთი კ- ძირით (კი  
და კენ), მეორე კი წ- ძირით (წენ და წვე). ეს ორი ძირი ზუსტად ემთხვევა  
ქართველური ენების ძირითადი ნ სივრცითი ნაწილაკიდან დანარჩენთა  
ძირებს, შდრ: უ-კუ / კუ-ალ (თავდაპირველი ფუძეა კჷე) [10:17-24][8] და  
წ-ინ (თავდაპირველი ძირია წ- [8]); სვან. მ- / სვა = ქართ. ში / შინ / შე  
(თავდაპირველი ძირია მ- [8]). მესხ. წვე, როგორც ჩანს, მიღებულია აწ  
დაკარგული \*წინ / წენ და ქვე ნაწილაკების შერევით, კონტამინაციით;  
ხოლო ქართული კი ნაწილაკი — კჷე / კჷე ნაწილაკისგან — ისევე, რო-  
გორც გურ. ქი < ქჷე.

აღმოსავლურ ქართულ კილოებში მტკიცებით ნაწილაკად სწორედ კი  
ფორმის დაპყვიდრებას ხელი შეუწყო არა მარტო კჷე > ქე > კი პრო-  
ცესმა, არამედ დასავლური ქი ნაწილაკის გავლენამაც. ამას ბგერწერული  
საფუძველიც აქვს — მტკიცებითი ნაწილაკი „მტკიცდე“ უნდა ჟღერდეს,  
საამისოდ კი ფშვინვიერი ქ შეუფერებელია, იგი უნდა გამკვეთრდეს, ვინა-  
იდან „მქროლაფი“ თანხმოვანი მტკიცე ვერ იქნება; ხოლო კ თანხმოვანი



ქართულ ენაში მართლაც ხშირად გამოხატავს სიმაგრეს, მაგ.: **მტკიცე, მკვრივი, კერკეტი, კირკიტი, კერკი, კურკა, კაკალი, კაკუნი, კეტი, კირი, კაყი, კოყრი, კორძი, კუნძი, კვანძი, ნასკვი...**

ლაზ. **ქო || ჰო ჰო** [7] სვამს საკითხს: ქართ. **ჰო || ხო** ნაწილაკებიც ხომ არაა წარმოქმნილი **ქო / ქუე** ნაწილაკისაგან (ამჟამად ამაზე ვერაფერს ვიტყვი).

მტკიცებითი **კჷე** ნაწილაკის მონათესავეა ძვ.ქართ. **უკჷე ნუუკჷე უკჷეთუ თუკი** და სხვა. კანონზომიერია, რომ ყველა ლოგიკური სემანტიკისაა. ასევე ლოგიკური სემანტიკისაა სამწერლობო ქართულის **კი** ნაწილაკის II და III მნიშვნელობანი [იხ. ზემორე]. ასევე წმინდად ლოგიკური კავშირია ახ. ქართ. **თუკი < თუ+კი**, რომელშიც მტკიცებით-გამაძლიერებელი **კი** ნაწილაკი დაერთო პირობითობის კავშირს **თუ**, რითაც გამოკვეთა და გააძლიერა იგი, შდრ. „**თუ მოხვალ**“ / „**თუკი მოხვალ**“. და ასევე ლოგიკურია მტკიცებითი ნაწილაკის ერთი დამატებითი მნიშვნელობა ლაზურში: **ჰემჷშენი იმისთვის, იმიტომ (ჰემჷშენი ქი იმიტომ რომ** [7].

თავისთავად სივრცითი მნიშვნელობის ნაწილაკისგან ლოგიკური (კერძოდ, მტკიცებითი თუ პირობითი) ნაწილაკის სემანტიკური განვითარება – ჩვეულებრივი პროცესია: ლოგიკურ ნაწილაკთა უმრავლესობა წარმოშობით სივრცითი მნიშვნელობის ნაწილაკებია [22:§1]. მაგრამ ძალიან საინტერესოა წინაუკმობა: დადებითი, მტკიცებითი შინაარსის გამომხატველთა ორივე ურთიერთსაპირისპირო ნაწილაკთა წყვილი – **ქჷე** და **ზე. \*წენ** და **\*კჷ**. ჩვენი აზრით, ეს წინაუკმობა უძველესი ქართველური ტომების საწვესო ცნობიერების თავისებურებით აიხსნება (საწესო, მითორიტუალური ცნობიერების მნიშვნელობა ეტიმოლოგიური კვლევებისთვის კონკრეტული მაგალითებითაა ნაჩვენები ჩვენ მიერ [24]).

ცნობილია, რომ უძველესი და საყოველთაოდ გავრცელებული მსოფლხედვა და საზოგადოებრივი წყობილება – ესაა ორადული (დუა-ლური) წყობილება, როდესაც საზოგადოება იყოფა ორ საპირისპირო ნახევრად. ამ ნახევრების ან მათი მოგვიანო გართულებული წარმონაქმნების მთავარი და ყველაზე გავრცელებული საწესო ნიშანთვისებაა სივრცით მიმართებათა მიხედვით დაპირისპირება, როდესაც, მაგ., ერთი

ნახევარია „ზედა“, ხოლო მეორე – „ქვედა“; ანდა – „წინა“ და „უკანა“. პირველი ნახევრის ტოტემია „ზენა ცხოველი“, მაგ., ქორი, ხოლო მეორისა – „ქვენა ცხოველი“, მაგ., გველი [20][15:485-491,776-786] [21:ტ.1:408-409]. მითოსში უპირველესი და უზენაესი მნიშვნელობა სწორედ სივრცით მიმართებებს აქვს: ზესკნელ-ქვესკნელი, წინასკნელ-უკანასკნელი, შინასკნელ-გარესკნელი და მარჯვენა-მარცხენა [21:ტ.1:233-234; ტ.2:43-44]. ხატონად ამას ძელიცხოველი განასახიერებს და იგია მთელი სამყაროს შუაგული ლერძი, მთელი სამყარო ძელიცხოველზე, ანუ სივრცით მიმართებებზეა აგებული [21:ტ.1:398-406]. ამითვე აიხსნება ის, რომ ქართველურ ტოპონიმიკაში ძალიან გავრცელებულია დაპირისპირება ზემო-ქვემო (ზემო სვანეთი – ქვემო სვანეთი, ზემო მაჩხაანი – ქვემო მაჩხაანი) და წინა-უკანა (წინა ფშავი – უკანა ფშავი); გვხვდება შიგა-გარეც (შიდა ქართლი, გარე კახეთი). თუმცა არ გვხვდება მარჯვენა-მარცხენა. ამ სივრცით დაპირისპირებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს უძველეს ქართველურ წეს-ჩვეულებებსა და მითებში [19].

მტკიცებით-დადასტურებით-გამაძლიერებელ, დადებით ნაწილაკად სწორედ „ზედა“ ქართველური ტომების მეტყველებაში დამკვიდრდებოდა სივრცითი ნაწილაკი **ზე**, ხოლო „ქვედა“ ტომებისა – **ქვე**. ასევე, სხვაგან – **\*წენ** და **\*კვენ**.

საუკუნეთა განმავლობაში, როდესაც შიორყა ორადული წყობილება და ქართველური ტომები, ერთი მხრივ, დაიშალა და განიტოტა, ხოლო მეორე მხრივ, ზოგიერთი მათგანი ერთმანეთს შეერწყა (მაგ., მესხებისა და ზანების შერწყმით წამოიშვა გურიის ტომი) – აირია მტკიცებითი ნაწილაკების გავრცელების სურათიც. ამას ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებებიც დაერთო, რისი შედეგიცაა გავრცელების თანამედროვე ვითარება.

მტკიცებითი ნაწილაკების ძირითადი და ალბათ თითქმის ერთადერთი დანიშნულება – ესაა აზრობრივ-ექსპრესიული მახვილის დასმა. მათგან წარმოებული ნაწილაკებიც ძირითადად ლოგიკური სემანტიკისაა. მამასა-დამე მტკიცებითი ნაწილაკები, არსებითად, რიტორიკული ნაწილაკებია. ამიტომ ქართველურ ენა-კილოებში მტკიცებითი ნაწილაკების ესოდენი

სიჭარბე (რაც უცხო ენებში ფრიად იშვიათია) ქართველური ენების მეტად მნიშვნელოვან თავისებურებას გვიჩვენებს – მიდრეკილებას ძლიერი რიტორიკული გამომსახველობისკენ. ამგვარი მიდრეკილება, განსხვავებით უცხო ენებისგან, აშკარად ეტყობა ქართული ენის სინტაქსსაც, კერძოდ – სიტყვათრიგს [23:§2,3,6,8]. ზოგადად კი ეს, კონოტაციებისა [25] და ბგერწერის გამორჩეულ სიუხვესთან ერთად [26:§7], ქართველური ენების განსაკუთრებულად ძლიერ ექსპრესიულობაზე გვითითებს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **სულხან-საბა ორბელიანი**. ლექსიკონი ქართული, ტ. I-II. თბ., მერანი-1991.
2. **ილ. აბულაძე**. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ.-1973.
3. **ზ. სარჯველაძე**. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ.-1995.
4. **ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე**. ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბ.-1988.
5. **ალ. ღლონტი**. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბ.-1984.
6. **რ. ლამბაშიძე**. ინგილოური კილოს ლექსიკონი. თბ.-1988.
7. **ს. ჟღენტი**. ჭანური ტექსტები – ლექსიკონი. თბ.-1938.
8. **ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი**. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბ.-2001.
9. ქართული ენის ისტორიული ლექსიკონის მასალები - შ. რუსთაველის კომისიის არქივში.
10. **არნ. ჩიქობავა**. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბ.-1942.
11. **დ. იმნაიშვილი**. მტკიცებითი ნაწილაკები ქართველურ ენებში. - საქ. მეცნ. აკად. მოამბე. ტ. 11/6, 1950.
12. **მ. ხუბუა**. მტკიცებითი ქო ნაწილაკი მეგრულში. - საქ. მეცნ. აკად. მოამბე. ტ. 3/6, 1942.
13. **ბ. ჯორბენაძე**. ქართული დიალექტოლოგია. თბ.-1989.

14. აკ. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. თბ.-1953.
15. Т.В. Гамкрелидзе и В.В. Иванов. Индоевропейский язык и индоевропейцы, т. 2. Тб.-1984.
16. კ. გაბუნია. ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში. თბ.-1993.
17. ა. დავითიანი. სვანური ანდაზები. თბ.-1973.
18. ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბაბარ). თბ. -1941.
19. ი. სურგულაძე. ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბ.-1980.
20. А.И. Золотарев. Родовой строй и первобытная мифология. М.-1971.
21. Мифы народов мира, т. 1,2. М.-1980-1982.
22. ზ. ვახანია. ძირითად მიმართებათა გააზრების კანონზომიერებანი – მეცნ. აკად. დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტ. „მაცნე“, 2004, №1.
23. ზ. ვახანია. გამორჩევადობა და მისი ენობრივი გამოხატვა. – კრებ. „ფსიქოლოგია“, ტ. XXI, თბ.-2009.
24. ზ. ვახანია. საწესო ცნობიერება და სიტყვების წარმომავლობა. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1993, № 2.
25. ნ. ვახანია. კონოტაცია და მისი ეთნოფსიქოლოგიური მხარე. – საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, 2007, № 1.
26. ზ. ვახანია, კ. გაბუნია, თ. მასარაძე. ქართული ფილოლოგია, ტ. 1. თბ.-2009.
27. ეთერ ვიბლიანი, თსუ კავკასიური ენების კათედრის თანამშრომელი – ზეპირი საუბარი, 1990 წ. (რისთვისაც მას მადლობას მოვაცხენებ).

**Zurab Vakhania**

## **Affirmative-Amplifying Particles in Kartvelian Languages and their Origin**

### **Summary**

Kartvelian languages and dialects are characterized by abundance of affirmative-amplifying particles. Their function is a logical-expressive stress, because their removal doesn't affect not syntactical structure, nor semantical content of the sentence. This stress is almost disappearing when translating the sentence into foreign languages. All these facts (together with our research of syntax and phonology) shows the especial tendency of Kartvelian languages towards intensive rhetorical and general expressiveness.

Affirmative-amplifying particles, with regular correspondence, are reconstructed up to common-kartvelian level. It was known: Georgian **kwe** = Zanian **ko** || **ku** || **ke** = Svanian **u**. We discovered also Georgian dialectical **ze** = Svanian **ġi**, Georgian **ḵi** = Georgian dialectical **ki** and some other particles.

In general, most part of logical conjunctions and particles are descended from spatial particles. The concerned particles have the same origin - they coincide with 5 spatial particles from main 6: **up-down, front-behind, in** (we can't see **out**; the most widespread are derivatives of **kwe down**). Their origin is connected with the myth-ritual consciousness of ancient Kartvelian tribes, in particular, with dualistic worldview and dualistic social order.

**მარტივ რიცხვით სახელთა ფონეტიკური ვარიანტები  
სვანურ დიალექტებში და მათი  
ურთიერთმიმართება**

ქართველურ ენათა რიცხვითი სახელების შესწავლას ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ეთმობოდა დიდი ყურადღება საენათმეცნიერო ლიტერატურაში, რაც შემთხვევითი ნამდვილად არ იყო, ვინაიდან: 1. რიცხვითი სახელები მიეკუთვნებიან ენობრივ უნივერსალიებს, ე. ი. შეადგენენ ნებისმიერი ენის, მათ შორის ქართველურ ენათა, ლექსიკის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს; 2. ისევე, როგორც თანამედროვე მაღალგანვითარებულ ხალხთა რიცხვით სისტემებს, ქართველურ ენათა რიცხვით სახელებსაც აქვს ციკლური ბუნება, ანუ წარმოდგენენ უაღრესად სტრუქტურირებად მასალას; 3. ქართველურ ენათა რიცხვითი სახელები უძველესი ენობრივი ფონდის კუთვნილებაა. ამ ენათა რიცხვითი სახელები კი საერთოქართველური ენის დიალექტური დიფერენციაციის მწყობრ სურათს აღვადგენინებენ.

ქართველურ ენათა რიცხვითი სახელები არაერთი ცნობილი ქართველი თუ უცხოელი მეცნიერის (გ. როზენი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, გ. კლიმოვი, ვ. თოფურია, მ. კვებერელი-კობახიძე, ზ. ჭუმბურიძე, მ. ჩუხუა...) ნაშრომებშია განხილული.

რა შეიძლება ითქვას სვანური რიცხვითი სახელების წარმომავლობის შესახებ?

საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სვანურში წარმოდგენილი ყველა მარტივი რიცხვითი სახელის ფუძე სავსებით შეესატყვისება სხვა ქართველურ ენათა შესაბამის ფორმებს, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული

რიცხვითი სახელები ქართველურ ენათა ლექსიკის უძველეს ფენას განეკუთვნება (ჭუმბურიძე 2007, 111). რა თქმა უნდა, გამონაკლისები აქაც გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ენაში რიცხვითი სახელები სწორედ შედარებით მყარი ლექსიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

წინამდებარე წერილში შევეცდებით საენათმეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ჩვენეული ინტერპრეტაციებით წარმოვადგინოთ სვანურ რიცხვით სახელთა ეტიმოლოგიური ანალიზი.

1. რიცხვითი სახელი **ეშხუ/ეშხო/ეშხუ** „ერთი“. როგორც ცნობილია, სვანურ მარტივ რიცხვით სახელთაგან გამონაკლისს წარმოადგენს **ეშხუ** „ერთი“ (შდრ. ასევე სვან. უ-**შხუ**-**არ**/**არ** „ერთმანეთს“, **ეშხუ-ნაარ**<sup>1</sup> „ერთნაირი“ და სხვ.), რომელიც ბგერითი შედგენილობით ქართულ **ერთს** და მეგრულ-ლაზურ **ართს** ვერ დაუკავშირდება, მაგრამ, მეცნიერთა ვარაუდით, შესაძლოა უკავშირდებოდეს ახ. ქართ. **სხვა**, ძვ. ქართ. **სხუა**-**ე** „მეორე, სხვა, ერთი“, ზან. (მეგრ.) **შხვა** „სხვა; უცხო“, **შხვა**-ში „სხვისი“, **შხვა**-დ-ო „სხვაგან“, **შხვა**-ნ-ერ-ი „სხვაგვარი“, ლაზ. **ჩქვა** ← **შქვა** ← **შხვა** „სხვა; დანარჩენი“, არ-**ჩქვა** „კიდევ ერთხელ“ ფუძეს (ცაგარელი 1880, 41; ჩიქობავა 1938, 246; ერთელიშვილი 1950, 211-219). ამ დაკავშირების შედეგად საერთოქართველურ არქეტიპად აღდგენილია **სხუა**- „ერთი; სხვა“ ძირი (ჩუხუა 2008, 488).

საანალიზო სვანური ფუძის (**ე-შხუ**) თავკიდური **ე** კი, საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, შეიძლება დეიქტური ხმოვანი იყოს, რომელსაც ისევე ენაცვლება **უ**, როგორც ქართულში [ერთ-ურთი, ურთი-ერთი;

<sup>1</sup> **ეშხუ** „ერთი“ ფუძის შემცველია, აგრეთვე, ბზ., ლშხ. **ლამეშხუა**, ბქ., ლნტ. **ლამეშხუა** „ცალუღელა (ზედმიწ. — სამეერთე)“ და ბქ. **ლიმშხუალ**, ლშხ. **ლიშხუნალ** „ერთობა, გაერთიანება, ერთად ყოფნა“ და ა. შ.

შდრ. სვან. **უ-შხჷ-წარ** — „ერთმანეთს“ (ჭუმბურიძე 2007, 111)].

აღნიშნულ ქართველურ ძირთა (**სხვა||სხჷა-ჲ, შხვა, ჩქვა, ეშხუ**) სტრუქტურულ-სემანტიკური ერთგვარობა თვალსაჩინოა, თუმცა ქართული **ერთ**-ის სვანური შესატყვისი დღემდე არ არის გამოვლენილი.

**შენიშვნა:** ქვემოთხსენებულ დიალექტებში დაფიქსირებული ფორმები — (ლშხ.) **დამორდ** და (ლნტ.) **დამგრ<sup>რ</sup>თ<sup>1</sup>** 1. ლშხ. „თანაბრად“, 2. ლნტ. „ერთიანად; ერთად“ შესაძლოა ქართული **ერთ**-ფუძის შემცველიც იყოს, თუმცა ანლაუტისეული **და**-ს წარმოშობა უნდა იქნეს მოძიებული.

იქიდან გამომდინარე, რომ რიცხვით სახელებად თავდაპირველად ადამიანის სხეულის ნაწილებს იყენებდნენ, ვფიქრობთ, რომ ქართული „ერთ“-ის კვალი უნდა ვეძებოთ სვანურ **ლერთენ||მურთჷენ||მერთენ** (ზს.), **ლერთენ||ლერთან** (ბქ.), **ლერთან** (ლნტ.) „მარცხენა ხელი“ ფორმებში. იგივე ფუძე მეორდება ცაცის აღმნიშვნელ ფორმაშიც, მაგ.: **ლერთონჲ** (ბზ.), **ლერთნჲ** (ბქ.), **ლერთნაჲ** (ლშხ.), **მღღერთენ** (ლნტ.) და, ჩვენი აზრით, ლაშხური **მართინ** „ხეზე ჩამოკონწიალებული, ნახევრად მოტეხილი ტოტი“, ასევე შეიძლება დაუკავშირდეს საანალიზო ძირს. სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა აშკარად თვალში საცემია (შდრ. ქართ. **ერთი** და სვან. **ლერთენ** ანუ ცალი ხელი, ერთადერთი, რომელიც მარტო ვერაფერს აკეთებს და ლშხ. **მართინ**, რომელიც ასევე სემანტიკურად აღიქმება, როგორც „მარტომყოფი“, „უძლური“, ანუ „ტოტი, რომელიც მყარად არ არის მიმაგრებული ხეზე“). საინტერესოა, აგრეთვე, სვანური მასდარი **ლიღღერთენი** „გათვალვა, დამარცხება, დანავსება...“, და მისგან ნაწარმოები ზმნის პირიანი და მიმღეობური ფორმები: **ხჷიღღერთენი** „საქმე არ გამომდის, ვითარსები, ვმარცხდები“, **ჩ'ოთღღერთენენ** „დავმარცხდი, გავითვალე...“, **ჩ'ოლღღერთენეხჷი** „დავმარცხებულვარ, გავთვალულვარ, დავთარსულვარ“; **ჩუ ლღღღერთენე** „დათარსული, გათვალული“, **ჩუ ლელღღერთენი**



„დასათარსი, გასათვალი“ და ა. შ. ჩვენ მიერ საანალიზოდ წარმოდგენილ ფორმებში ძირად ყველგან **-რთ-** გამოიყოფა, რომელიც იგივე უნდა იყოს, რაც ქართულ რაოდენობით რიცხვით სახელში „ერთ“-ში გამოვლენილი **-რთ-** ძირი.

სვანური **ლერთენ** წარმოების თვალსაზრისით ქართული მარჯვენა და მარცხენა-ს იდენტურია.

რაც შეეხება სვანურ საანალიზო ფორმებში წარმოდგენილ **-ენ** სუფიქსს, რომელიც არსად არ იკარგება, როგორც ჩანს, ქართულიდან არის გადმოყოლილი (შდრ. ქართ. მარჯვენა||მარცხენა ფორმებში გამოვლენილი **-ენ**, რომელიც სვანურ **ლერსგუენ**-შიც ფიქსირდება).

რაც შეეხება სვანურ, კერძოდ, ბალსქვემოურ, იდიომატურ გამონათქვამში **წართუდ ლირდე** „ცალკე, კენტად, თავისუფლად, მოწვებულად ყოფნა“ დაფიქსირებულ პირველ კომპონენტს **წართვ-**ს, იგი, ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა, ქართული **ერთ-**ისა და ზანური **ართ-**ის ფონეტიკური შესატყვისი იყოს. სვანური **წართუ** ← **\*ერთუ** უკანა მიმართულების (ე + უ პოზიციისეული) უმლაუტის საშუალებით (შდრ. სვან. **წაჭუარ** < ქართ. მწვევარი, სვან. **ძაჭულ** < ქართ. ძევალი „ცომის ხაში“, სვან. **ტაჭუნ** < ქართ. მტევანი და ა. შ. — იხ. მ. ქალდანი, სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბ., 1969, გვ. ). აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა აუსლაუტისეული **ჭ** სონორის შესახებ. როგორც ცნობილია, **ჭ** სონორი, რომელიც წინამავალ **ე**-ს აუმლაუტებს, ისტორიულად შეიძლება სხვადასხვა წარმოშობის იყოს, რის მიხედვითაც, სამეცნიერო ლიტერატურაში, გამოყოფენ რამდენიმე ქვეტიპს: 1. მეუმლაუტე **ჭ** სონანტი, რომელიც **ო** ხმოვნის ნარედუქციალია; 2. **ჭ** სონანტი აუსლაუტისეული **უ**-ს ნარედუქციალია; 3. **ჭ** სონანტი **უ** ხმოვნის ნაუმლაუტარია; 4. **ჭ** სონანტი **ო** ხმოვნის ნაუმლაუტარია; 5. **ჭ** სონანტი **უ** ხმოვნის პოზიციურ ვარიანტს წარმოადგენს. აქვე აერთიანებენ აგრეთვე **ჭ**-ს, რომელიც ა) ქართ. **-ალ** სუფიქსისეული **ლ**-ს ფონეტიკურ ეკვივალენტს წარმოადგენს

სვანურში და ბ) მიცემითი ბრუნვის -**ჟ** სუფიქსია ერთი ტიპის სახელებთან (იხ. იქვე, 71). ჩვენი თვალსაზრისით, **პართუ** ფორმის აუსლაუტისეული **ჟ** მიცემითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც სვანურის მეორე ტიპის ბრუნებისთვისაა დამახასიათებელი (იხ. თ. შარაძენიძე, ორფუძიანობის ერთი ტიპის შესახებ სვანურ სახელთა ბრუნებაში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, 221). ფუძეში **ე** ხმოვნის შემცველი რიცხვითი სახელები: **ეშხუ**, **დერუ**, **სემი** სწორედ **ჟ**-იან მიცემითს იყენებენ ფუძედ მომდევნო ბრუნვათათვის (მაგ.: სახ. **ეშხუ**, მიც. **აშხუ**, მოთხრ. **აშხუ-ემ**, ნათ. **აშხუ-მ-იშ**, მოქ. **აშხუ-შუ**, ვით. **აშხუ-დ** და ა. შ.), რაც ჩვენს ვარაუდს მხარს უჭერს.

2. რიცხვითი სახელი **დორი/დორი/დორუ/დორუ/დერუ/დერუ/დერუ/დერბი/ერბი** „ორი“. რაც შეეხება **ორის** აღმნიშვნელ რიცხვით სახელს, იგი სამივე ქართველურ ენაში, როგორც ვარაუდობენ, საერთო ფუძიდან მოდის, მაგრამ ამ საერთო ფუძის აღდგენა მეცნიერებაში რთულად არის მიჩნეული (ჭუმბურიძე 2007, 111). ამ სირთულის მიზეზი, ცხადია, მეგრულ-ლაზურის ანლაუტში გამოვლენილი **ჟ-/ჯ-** უნდა იყოს (შდრ. ქართ. **ორ-ი**, მეგრ. **ჟირი||ჟგრი**, ლაზ. **ჟურ||ჯურ**).

სწორედ **ჟურ** ფორმა ივარაუდება ჭანური და მეგრული ვარიანტებისათვის ამოსავლად, რისგანაც არის მიღებული მეგრული **ჟირ-ი** უ-ს ი-თ შეცვლით, ხოლო ათინურსა და ართაშნულში ხმარებული **ჯურ** უნდა მოეცა **ჟ → ჯ**. ამ ფონზე სვანურ დიალექტებში დაცული ვარიანტები (**დორი||დორუ||დერუ**, **დორი**, **დერბი**, **დერუ**, **ერჟი||ერბი**) ადრეულ საფეხურზე **დორ** ფუძის აღდგენის საშუალებას იძლევა, საიდანაც უნდა იყოს მიღებული მეგრულ-ლაზური \***ჟორ → ჟურ → ჟირ||ჯურ** (ჯავახიშვილი 1937, 389-404; ჩიქობავა 1938, 213).

ზ. ჭუმბურიძის ვარაუდით, თუ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ აღნიშნული რიცხვითი სახელის პირველადი ფორმა ქართველურ

ენებში არის **ფორ-**, მაშინ ის სვანურში უმლაუტის გზით მოგვცემდა **იჟერ-**ს, შემდეგ საფეხურზე კი მეტათეზისით — **ფერჟ|ფერუ** ფორმას (ჭუმბურიძე 2007, 111-112; შარაძენიძე 1961, 222). **ფერუ** ფორმა, რამდენადაც ცნობილია, დღესაც დასტურდება სვანურის გრძელხმოვნიან დიალექტებში ბალსზემოურსა და ლაშხურში და, აგრეთვე, ჩოლურულ მეტყველებაში.

მეცნიერის აზრით, არც ის არის გამორიცხული, რომ ბოლოკიდური **უ (ფორუ/ფერუ)** გარკვეული ფუნქციის ფორმანტი იყოს (შდრ. **ემხუ, ჟომოხჷ**), რისგანაც უნდა იყოს მიღებული **ბ** ლენტეხურში (**ერბი**), **მ** კი რიგობით რიცხვით სახელში **მერმე** „მეორე“ (ჭუმბურიძე 2007, 112).

ქართველურ ენათა ბგერათფარდობის საფუძველზე საერთო-ქართველურ არქეტიპად აღდგენილია **\*ფორ-**.

**ფორი** რიცხვით სახელში, ისევე როგორც **სემი-**ში, დაცულია სახელობითი ბრუნვის ნიშანი **ი**, რომელიც სვანურში იშვიათი გამონაკლისის გარდა ჩვეულებრივ მოკვეცილია.

სვანურ სახელებს, როგორც ეს საენათმეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი (შანიძე 1957, 364; თოფურია 1927, 285), წრფელობითისა და სახელობით ბრუნვათა განსასხვავებლად არავითარი ფორმალური ელემენტი არ გააჩნიათ, ორივე ბრუნვის ნიშანი ნულითაა წარმოდგენილი (მსგავსი ვითარებაა ქართული ენის ხევსურულსა და ინგილოურ დიალექტებშიც) და, ამდენად, სახელთა უმრავლესობა თანხმოვნიანი ფუძეებით გვხვდება. **ფორი, სემი, ზანდ...** ფორმების გარდა ბალსქვემოურში ჩვენ დავაფიქსირეთ კიდევ ერთი ლექსემა **ბურთი** სახელობითი ბრუნვის ნიშნით წარმოდგენილი, რომელიც სვანური ენის სხვა დიალექტებში განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს, შდრ. ბზ. **ბჷლთ** რჷ/ზირთჷ, ლშხ. **ბჷლთ**, ლნტ. **ბულთ** (სალლიანი 2005, 245). უნდა ითქვას ისიც, რომ ქართულიდან ნასესხები **ა** ხმოვანფუძიანი სახელები ბალსზემოურში (იშვიათად ლენტეხურში) დაირთავენ სახელობითი ბრუნვის მორფემას **-ფ** ალოფონს [მაგ.: ბზ. **აბზინდანფ**

„აბზინდა“, **ასაბიწა** „ასაბია“, **ბამბწა**||**ბანბწა** „ბამბა“, **დიხსწა** „დიასახლისი“, **დაშწა** „დაშნა“, **კარდალწა** „კარდალა“, ბზ., ლნტ. **ფერბწა** „პირფერი, პირმოთნე, ფარისეველი; მომფერებელი“, ლნტ. **ქალაკოლწა** „ქალაკოლა“ და ა. შ. (იქვე, 67-69)].

3. რიცხვითი სახელი **სემი/სემი** „სამი“. რაც შეეხება მარტივ რიცხვით სახელს **სემი**-ს, მასში სახელობითი ბრუნვის ნიშნის გავლენით **ა** გაუმლაუტებელია და **ე**-დ არის ქცეული: **სამი** → **სწმი** → **სემი**. მეგრულ-ლაზურში **ა**-ს შესატყვისად, როგორც ივარაუდება, **ო** უნდა გვქონოდა, მაგრამ მომდევნო ბაგისმიერი ბგერის გავლენით ის **უ**-დ არის ქცეული. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ქართული **ს** არც სვანურში და არც კოლხურში არ ქცეულა **შ**-დ (ჭუმბურიძე 2007, 112).

საინტერესოა, რომ გრძელხმოვნიანი **სემი** ჩოლურულის გარდა სვანური ენის არცერთ დიალექტსა და კილოკავში არ დადასტურებულა. ჩვენ სადისერტაციო ნაშრომში „ნასესხობანი სვანურ ენაში“ (2005, 99-102), ხმოვანთა სიგრძის მოვლენების განხილვისას, ცალკე პარაგრაფად წარმოვადგინეთ ბალსხემოურ და ლაშხურ დიალექტებში ჩვენ მიერ დაფიქსირებული ქართულიდან ნასესხები მასალა, სადაც აღნიშნულ სიტყვათა ხმოვნების სიგრძის გამომწვევი მიზეზი არ ჩანს [მაგ.: ბზ., ლშხ. **ამენ** „ამინ“, ბზ. **გუნწლი** „გვალვა“, ბზ., ლშხ. **ნაჭა** „ჯაჭვი, ნაჭა“, ბზ., ლშხ. **სირმა** „სირმა“, ბზ. **ფარა** „ფარა (ფული საერთოდ)“, ბზ., ლშხ. **ჩერი** „ჩერი (თითისტარი)“, ბზ. **ჩუნნი** „სპილენძის ან თუჯის ქვაბი, დიდი კარდალა“ (შდრ. რაჭ. **ჩოინა** „თუჯის პატარა ქვაბი“) და ა. შ. )], თუმცა შეიძლება ვარაუდის სახით დავუშვათ, რომ ფუძისეული ხმოვნის სიგრძეს დასახელებულ ფორმებში სწორედ მომდევნო, აუსლაუტისეული ხმოვანი იწვევს, ვინაიდან არც ერთი ფონეტიკური პროცესი, ჩვენი აზრით, უმიზეზოდ არ ხდება ენაში. საკითხი უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს.

**შევნიშნავთ:** ჩოლურულში **სემი**-ს გარდა გრძელხმოვნიანია,

აგრეთვე, **ფერუ** „ორი“ ფორმაც. არც ერთი მათგანი ჩოლურულის მოსაზღვრე ლაშხურ დიალექტში არ დასტურდება.

4. რიცხვითი სახელი **ჟოშთხჟ**/**ჟოშთხჟ** „ოთხი“. **ჟოშთხჟ**, როგორც ცნობილია, ქართული **ოთხ**-ის კანონზომიერ ფონემატურ შესატყვისად არის მიჩნეული: **თ** → **შდ**, მაგრამ ყრუ ბგერათა შორის მოქცეულ **დ**-ს ასიმილაციით ისევ **თ** მოუცია (თოფურია 1979, 12). პროფ. ზ. ჭუმბურიძის აზრით, „იქმნება ილუზია, თითქოს **თ**-ს წინ **შ** უბრალოდ იყოს გაჩენილი“ (2007, 112).

რა შეიძლება ითქვას სვანური რაოდენობითი რიცხვითი სახელების: **ჟოშთხჟ**, **ჟოხჟშდ** და **ჟუსგჟა** ანლაუტში გაჩენილი **ჟ** ბგერის შესახებ?

სვანური ვოკალიზმისთვის, როგორც ცნობილია, დამახასიათებელია ხმოვანთა შემართვის ორი სახე — **ფშვინვიერი და ძლიერი შემართვა**, თუმცა, ვარდა ამისა, სვანურს ახასიათებს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც **ო** და **უ** ხმოვნების წინ ბილაბიალური **ჟ** თანხმოვანი ვითარდება, ხოლო **ჟ**'ს წინ **ლ** თანხმოვანი (ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებად არის გავრცელებული).

სვანურში არაერთი ნასეხები თუ საკუთრივ სვანური სიტყვა ფიქსირდება, სადაც თავკიდური **ო**'სა და **უ**'ს წინ ბილაბიალური **ჟ** ვითარდება (შდრ. ქართული დიალექტური ფორმები: **ჟორი**, **ჟოთხი**, **ჟოცი**...), რაც ს. ჟღენტის აზრით, **ო**'ს სივიწროვეზე მიაწინებს (1949, 125). მისივე მოსაზრებით, „ანლაუტში მოქცეულ ხმოვნებს ზემოსვანურში (ბალსზემოურსა და ბალსქვემოურში) უვითარდება **ჟ** ბგერა ფშვინვიერი შემართვის გამო, ხოლო ქვემოსვანურში (ლაშხურსა და ლენტეხურში) **იოტი** და **ო**'ს წინ **ჟ** თანხმოვანი“ (იქვე). ჩვენ თავის დროზე გამოვიკვლიეთ ხმოვანთა შემართვის სახეები სვანური ნასესხები მასალის საფუძველზე და აღმოჩნდა, რომ რამდენიმე შემთხვევაში პარალელურად ზემოსვანურ დიალექტებშიც, განსაკუთრებით ლახამულურ კილოკავში, სიტყვის ანლაუტში ფშვინვიერშემართვიანი ფორმების

გვერდით დასტურდება იგივე იოტირებული ხმოვნები (მაგ.: ბზ. **ალონ** „ალიონი“, ბქ. **აეშმა|აეშმა** „გრძნეული, ეშმაკი, ეშმა“, ბქ. **აეჭუ** „ეჭვი“, ლხმ. **აექიმ** „ექიმი“ და ა. შ.) და, ბუნებრივია, შეგვხვდა უამრავი ისეთი მაგალითი, სადაც **ო**'სა და **უ**'ს წინ წყვილბაგისმიერი ანუ ბილაბიალური **უ** არის განვითარებული (მაგ.: ზს., ლნტ. **უობელ**, ლშხ. **უობოლ** „ობოლი“, ზს. **უორაგულ** „ორაგული“, ჩოლ. **უორლაუიან** „ეშმაკი, გაიძვერა, დაუნდობელი (შდრ. ქართ. (რაჭ.) **ორღავი**)“, ზს. **უონერ** „ონერი“, ზს., ლნტ. **უონრანხუმ**, ლშხ., ჩოლ. **უონრანხუმ** „ონრანხუმი“...; ბქ. **უუბანდუ** „უბედური (შდრ. ქართ. **უბედო**)“, ზს. **უურემ** „ურემი“, უშგ. **უულუფ** „ულუფა“, ბქ. **უურჯულ** „ურჯულო“, ზს. **უუხემ** „უხემი“ და მრავ. სხვ.) და ამ მოვლენას, ე. ი. **ო**'სა და **უ**'ს წინ **უ**'ს განვითარებას, პირობითად ვუწოდეთ **ბილაბიალური შემართვა** (სალლიანი 2008, 196-211).

რაც შეეხება საანალიზო სვანური ლექსემის **უოშთხუ**-ის აუსლაუტისეულ **უ**'ს, იგი ისტორიულად **ო** სრული ხმოვნის რედუქციის მომდევნო საფეხურს ასახავს (**უო-შთხუ** ← \***ო-შთხო** — შდრ. ზან. (მეგრ.) **ო-თხ**-ი „ოთხი“, მაგრამ **ო-თხო-ნ-ეჩ**-ი „ოთხმოცი“, ლაზ. **ო-თხო||ო-ნთხო||ო-თხუ** „ოთხი“). საერთო-ქართველური ენობრივი ერთობისათვის კი, მ. ჩუხუას აზრით, აღსადგენია \***ო-თხო**- არქეტიპი (2008, 450; როზენი 1845, 11; ჩიქობავა 1938, 215).

პროფ. ზურაბ ჭუმბურიძის აზრით, აღნიშნულ **უ**'ს შესაძლოა მორფოლოგიური ფუნქცია ჰქონოდა, — შდრ. ლაზ. **ოთხო** „ოთხი“ (2007, 112).

5. რიცხვითი სახელი **უონხუშდ/უონხუშდ/უონხუშდ/უონხუშტ** „ხუთი“. იმ ფონეტიკური კანონზომიერების საფუძველზე კი, რომლის მიხედვითაც ქართ. **თ** სვანურში **შდ**-ს იძლევა ქართული **ხუთ**-ისაგან უნდა მიგვეღო სვანური \***ხუშდ**, გაუმღუტებით კი — **ხუშდ**. აღნიშნული ფუძის ანლაუტში **უოშთხუ**-ის ანალოგიით

ჟო უნდა განვითარებულიყო, რის შედეგადაც საბოლოოდ მივიღეთ ბალსწემოური **ჟოხჟიშდ** (თოფურია 1979, 202). საენათმეცნიერო ლიტერატურაში ბოლოდროინდელ ნაშრომებში საერთოქართველურ არქეტიპად აღადგენენ **\*ხჟი**-თ ძირს (ჩუხუა 2008, 654), რომლის ბოლოკიდური **-თ** აფიქსად ადრე მოიაზრებოდა, შდრ. ერ-თ-ი : ლაზ. არ- „ერთი“ (ჩიქობავა 1938, 215-216; ფენრიხი-სარჯველაძე 2000, 704).

ბალსწემოურის გარდა უმლაუტიანი ფუძე (**ჟოხჟიშტ**) ლენტეხურსა და ჩოლურულშიც დასტურდება, სხვა დიალექტებში კი (ბალსქვემოურსა და ლაშხურში) უუმლაუტო ფორმები (**ჟოხჟშდ**) გვაქვს. ბალსქვემოურში **ჟოხჟშდ**-ის პარალელურად **ჟოხჟჟშდ** ფორმაც დასტურდება, რაც სვანური ენის არც ერთი დიალექტისთვის არ არის დამახასიათებელი. ჩვენი აზრით, აუსლაუტში ბაგისმიერი **ჟ**-ს წინ განვითარებული წყვილბაგისმიერი ანუ ბილიბიალური **ჟ** ამ ხმოვნის სივიწროვეზე მიუთითებს.

6. რიცხვითი სახელი **ჟუსგჟა/ჟსკჟა/ესკჟა** „ექვსი“. სვანური მარტივი რიცხვითი სახელი **ჟსგჟა** ფონეტიკური მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, ერთადერთი გამონაკლისია ლენტეხური **ჟსკჟა** და ბალსქვემოური **ჟუსგჟა**, რომელიც **ჟსგჟა**-ს პარალელურად დასტურდება. რა თქმა უნდა, ბალსქვემოური **ჟუსგჟა**-ში გამოვლენილი თავკიდური წყვილბაგისმიერი **ჟ** ფონეტიკური დანართია ისევე, როგორც **ჟოხჟჟშდ**-ში.

ქართული **ექვსი|ექუს**-ის შესატყვისად მიჩნეულია სვანური **ჟსკჟა||ჟსგჟა** ← **\*ეჟსკჟ**-ა, ზანური (მეგრული) **ამშვ**-ი და ლაზური **ანშ**-ი → **||ანშ**-ი „ექვსი“. საენათმეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველური ენობრივი ერთობისათვის ივარაუდება **\*ემსჟ**- არქეტიპის აღდგენა, რომლის ზუსტ შესატყვისს წარმოადგენს ზანური **ამშჟ**- → **||ანშ**-ი (ჩიქობავა 1938, 216; თოფურია 1979, 60; ჩუხუა 2008, 322). ზოგი მეცნიერის თვალსაზრისით, სვანურისათვის ამოსავლად ივარაუდება **\*ჟქსჟ** ფორმა, რომელიც

თავისი თავკიდური უ ხმოვნით შესაძლოა ისევე განსხვავდებოდეს ექსჲ-ისაგან, როგორც ემხუ და უშხუ (შდრ. სვან. უშხუდ „ერთად“, უშხუწარ „ერთმანეთს“) ანდა ქართული ერთ-ურთი||ურთი-ერთი. მეორე შესაძლებლობის მიხედვით კი შესაძლოა, რომ თავკიდური უ ხმოვნის გაჩენა ე-ს ნაცვლად სვანურში მომდევნო ბაგისმიერი ჲ-ს გავლენის შედეგი იყოს (გამყრელიძე 2000, 30-31).

თ. გამყრელიძის აზრით, ამოსავალი \*უქსჲ- ფორმისგან უნდა მიგვედო \*უქშჲ-, ხოლო -ქშ- კომპლექსში მომხდარი მეტათეზისის შედეგად კი მივიღეთ სვანურისათვის მეტად ბუნებრივი დეცესიური რიგის შქ → შგ კომპლექსი: \*უქშჲ- > \*უშგჲ-ა. -შგ- კომპლექსის გასისინების შედეგად მომდევნო ბაგისმიერი ჲ-ს გავლენით უნდა ჩამოყალიბებულიყო სვანურში ისტორიულად დამოწმებული უსგჲ-ა ფორმა (იქვე, 31).

7. რიცხვითი სახელი იშგჲიდ/იშკჲიდ „შვიდი“. სვანური მარტივი რიცხვითი სახელი იშგჲიდ (შდრ. ლნტ. იშკჲიდ), მეგრული შქჲით-ი და ჭანური შქჲით-ი||შქით-ი კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია ქართული შვიდ-ისა. მეცნიერებაში ცნობილი თვალსაზრისით, სვანური შგჲ (ზან. შქვ) კომპლექსს კანონზომიერად უნდა მოეცა სგჲ (ზან. სქვ), მაგრამ შიშინა კომპლექსი აქ არ შეცვლილა მოსალოდნელი სისინა კომპლექსით, რათა ერთმანეთს არ დამსგავსებოდა „ექვსისა“ და „შვიდის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები. რაც შეეხება სვანურის ანლაუტი-სეულ ი ხმოვანს, იგი პროთეტულ ხმოვნადაა მიჩნეული (ჟღენტი 1949, 190), ხოლო სხვაგვარი ვარაუდით, შეიძლება გარკვეული ფორმანტი იყოს, ისევე როგორც ფორ-ის ი (ჩიქობავა 1938, 217).

შესაძლოა, სვანურის ანლაუტში გაჩენილი ი მომდევნო ი-სთან ასიმილაციის შედეგიც იყოს.

8. რიცხვითი სახელი არა „რვა“. როგორც ცნობილია, ზოგჯერ ძირეული მასალის გარჩევა ნასესხები ლექსიკისაგან საკმაოდ



რთულია, „განსაკუთრებით კი მაშინ რთულდება ძირეული და ნასესხები ლექსიკის გამიჯვნა, როდესაც ესა თუ ის ლექსემა საერთოქართველური ფუძეენის დონეზეა ნასესხები სხვა ენ-იდან, დიფერენცირების შემდეგ კი სრულიად ბუნებრივია, რომ ფონემათშესატყვისობები გაჩნდა“ (სალლიანი 2004-2005, 130). სწორედ ერთ-ერთი მათგანია რიცხვითი სახელი **რვა**, რომელიც ჯერ კიდევ ფ. ბოპმა (1846, 295) **\*არჷა** არქეტიპის სახით აღადგინა, ხოლო მოგვიანებით გ. კლიმოვმა იგი ფუძეენის ეპოქა-შივე სემიტური **არბა** „ოთხი“-დან ნასესხებად მიიჩნია (1965, 308-309), მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ენაში რიცხვითი სახელი სწორედ შედარებით მყარი ლექსიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

აკად. ნ. მარის ვარაუდით, **რუა||რვა** პირველადი **რუან**-ისაგან არის წარმომდგარი, რომელსაც საფუძვლად **\*რუნ** ძირი უდევს (1925, 75).

ქართველურ ენათა მონაცემების შედარების საფუძველზე აღდგენილ **არჷა**-სგან უმარცვლო **უ**-ს დაკარგვით უნდა მიგველო სვანური **არა** და ზანურში **ა:ო** ხმოვანთა შესატყვისობის საფუძველზე **ორვო**, რომელიც ზანურში მეტათეზისის შედეგად **ოვრო**-ს ფორმითაა დაცული. რაც შეეხება მეგრულს, იქ თავ-კიდური **ო** დაკარგულია, ხოლო **უ** მახვილიანია და ცალკე მარცვალს ქმნის — **რუო**. პარალელურად მეგრულში **ბრუო** ფორმაც დასტურდება, სადაც **ბ** ფონეტიკურ დანართადაა მიჩნეული (ჩიქობავა 1938, 217-218; გამყრელიძე 1959, 52, 72; კლიმოვი 1964, 44-45).

თავკიდური **ა-** და **ო-**, რომლებიც საანალიზო ფუძის ანლა-უტში გვხვდება სვანურსა და ზანურში, პროფ. ზ. ჭუმბურიძის აზრით, რაღაც აფიქსი უნდა იყოს, რომლის ფუნქციაც დღემდე გაურკვეველია (2007, 114). ჩვენი აზრით, თუკი ზემოთწარმოდგენილი ვარაუდი, აღნიშნული რიცხვითი სახელის სემიტურ **არბა**-სგან სესხების შესახებ, სწორია, მაშინ უნდა

ვივარაუდოთ, რომ სვანური რიცხვითი სახელის **არა**-ს თავკიდური **ა** თავდაპირველია და არა რალაც გაურკვეველი აფიქსი, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სემიტურ **არბა**-სთან ყველაზე მეტ ფონეტიკურ სიახლოვეს სვანური **არა** ამჟღავნებს.

მოგვიანებით კი ცნობილ ენათმეცნიერთა რეკონსტრუირებული ფუძის **\*არჷა**-ს გვერდით გაჩნდა **\*ჷარჷა** არქეტიპის რეკონსტრუქცია (ჩუხუა 2008, 457).

სვანურში ბავშვების მეტყველებაში **ჷრუა||რუა** „რვა“ ფორმაც დასტურდება; უკანასკნელი შედარებით ახალ ნასესხობად უნდა მივიჩნიოთ ქართული **რვა**-დან. საანალიზო ფუძის ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ქართ. **რვა** → სვან. **რუა** → **ჷრუა**.

9. რიცხვითი სახელი **ჩხარა/ჩხწარა** „ცხრა“. სვანური მარტივი რიცხვითი სახელებიდან ფონეტიკური ვარიანტების უქონლობით მხოლოდ **არა** „რვა“, **ჩხარა** „ცხრა“ და **აშირ** „ასი“ გამოირჩევა. დანარჩენი რიცხვითი სახელები, როგორც უკვე ვნახეთ, ფონეტიკურ ვარიანტთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც საერთო-ქართველური ფუძის აღდგენას, ასე თუ ისე, აფერხებს.

სვანური **ჩხარა** „ცხრა“, როგორც უკვე ითქვა, ფონეტიკურ ვარიანტთა უქონლობით გამოირჩევა და ქართული **ცხრა**-ს კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს წარმოადგენს (**ც**→**ჩ**), სადაც **ჩ** დაცულია დეზაფრიკატიზაციის გარეშე. ქართულისაგან განსხვავებით, სვანურში შენახულია პირველი მარცვლის ხმოვანი **წ**, რომელსაც კოლხურში **ო** შესატყვისება [შდრ. **ჩხორო||ჭან. ჩხოვრო** (ჩიქობავა 1938, 218)].

**შევნიშნავთ: ჩხწარა** ფორმა სვანურში დღესდღეობით ვერც ტექსტებში და ვერც ცოცხალ მეტყველებაში ვერ დავადასტურეთ. თუმცა „სვანური ენის ქრესტომათიაში“ (1978, 74:5) აღმოჩნდა გრძელხმოვნიანი **ჩხწარა**, რომელიც შესაძლოა კორექტურული შეცდომაც იყოს.

10. რიცხვითი სახელი **ეშდ/ეშდ/ეშტ/ეშტ** „ათი“. ქართ. **ათ**-ი, ზან. **ვით**-ი და სვან. **ეშდ||ეშდ**, საენათმეცნიერო ლიტერატურაში, რეგულარული ფონეტიკური შესატყვისობითაა ცნობილი. ქართულ **ათ**-ს **თ:შდ** შესატყვისობის საფუძველზე სვანურში უნდა მოეცა **აშდ**, უმლაუტის შედეგად — **აშდ**, მაგრამ უმლაუტის პროცესი ბოლომდე განვითარებულა და შედეგად მივიღეთ **ეშდ** (შდრ. **სამი > სემი**), **ეშდ**-ის პარალელურად კი — **ეშდ** (ხმოვნის წინ იოტაციის შედეგად, ისევე, როგორც **აორი**-ში), რომელიც უფრო ხშირად გამოიყენება სვანურში. ლენტეხურსა და ჩოლურულში საანალიზო ლექსემის **შდ** იცვლება **შტ** კომპლექსით და გვაქვს **ეშტ** (ჩოლურულში არაიოტიზირებული **ეშტ**<sup>2</sup>-იც დასტურდება). **ათი**-ს ზანური შესატყვისი კი უნდა ყოფილიყო **ოთი** (**ა > ო**), მაგრამ **ო** ხმოვანი უ-დ ქცეულა, ამ უკანასკნელს კი **ჟი** კომპლექსი მოუცია და საბოლოოდ მივიღეთ დღეს გავრცელებული **ვითი** (ჩიქობავა, იქვე; თოფურია 1979, 135-136).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში საერთოქართველურისათვის რეკონსტრუირდება **\*ასთ**- არქეტიპი (ჩუხუა 2008, 262).

11. რიცხვითი სახელი **აშირ** „ასი“. სვანურ **აშირ**-ში ქართული **ს**-ს კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია **შ**, ისევე როგორც კოლხურში: **ოში**. საერთოქართველურ არქეტიპად **\*ას-ირ** ძირის აღდგენის შესაძლებლობაზე მიუთითებს მ. ჩუხუა (2008, 268). რაც შეეხება სვანურ **აშირ**-ში გამოვლენილ ბოლოკიდურ **ირ**

<sup>2</sup> მ. ქურდიანმა სვანური ენის დიალექტების საკვალფიკაციოდ ა. შანიძის მიერ გამოყოფილ 3 ფონეტიკურად რელევანტურ ნიშანს: ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი, რედუქცია, დაამატა მის მიერ შედგენილი მეოთხე რელევანტური ნიშანი: ფშვინვიერი სპირანტისა და ფშვინვიერი ხშულის შემცველი კომპლექსის ხშული შემადგენელი დეზასპირირების ხასიათი (გამჟღერება, გამკვეთრება, მაგ.: **შდ/შტ**, **სგ/სკ** და **შკ**), რის საფუძველზეც სვანურ ენაში გამოყო ხუთი დიალექტი — ბალსშემოური, ბალსქვემოური, ლაშხური, ლენტეხური და ჩოლურული.

მარცვალს, იგი, ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, ფუძისეული უნდა იყოს, რომელიც ქართულსა და ზანურში აღრევე დაკარგულა (ჰუმბურტიჲე 2007, 115).

ჩვენი აზრით, **ირ** მარცვლის ფუძისეულობაზე მეტყველებს **აშირ** ფუძისგან სიტყვაწარმოებისას გამოვლენილი ვარიანტების სიმრავლეც, მაგ.: მე-**აშირ**-ე „მეასე“, ა-**შირ**-გნ||**აშრ**-ინ „ასჯერ, ასწილად“, ლი-**შირ** (უშგ.) „გა<sup>1</sup>ასება (შდრ. ბქ. **აშირ**-დ ლიგნე)“, სა-**ლ-შირ**||**აშირ**-იან (უშგ.) „ასიანი“, **აშირ**-კეც (უშგ.) „ასკეცი“ და ა. შ.

ჰანურში, როგორც ცნობილია, რიცხვითი სახელის „ათას“-ის აღსანიშნავად გამოყენებულია ბერძნულიდან ნასესხები **შილია**, საკუთარი (ანუ ქართველური) ფუძე კი დაკარგული აქვს (ჯავახიშვილი 1937, 415). საინტერესოა, იგივე ბერძნული ფუძე ხომ არ არის სვანურშიც შემოსული?

ვინაიდან სვანურ **აშირ** „ას“-ი ფორმაში გამოვლენილი ბოლო-კიდური **ირ** მარცვლის წარმომავლობა დღემდე გაურკვეველია და მას სხვა ქართველურ ენებში შესატყვისი არ ეძებნება, ვფიქრობთ, რომ მისი კვალი სწორედ სხვა რომელიმე ენაში უნდა ვეძებოთ. ვინ იცის, იქნებ სვანური **აშირ** ლექსემაც სწორედ ბერძნული **შილია**-დან მოდის? მით უმეტეს, რომ ბერძნულიდან ნასესხები ლექსიკა საკმაოდ მოიპოვება სვანურში.

12. რიცხვითი სახელი **მილიონ/მილჲენ/მილოჲან/მილჲან/მლეჲან/მილიენ** „მილიონი“. ქართულიდან ნასესხები **მილიონი** სვანურის ყველა დიალექტში, ბალსქვემოურის გარდა, ფონეტიკურად უცვლელი სახითაა შესული — **მილიონ**, სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვას ფუძისეული ხმოვნის უმლაუტი არ გამოუწვევია. ბალსქვემოურში აღნიშნული ლექსემის რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი დასტურდება: **მილიონ||მილჲენ||მილოჲან||მილჲან||მილიენ**.

საინტერესოა, რა ფონეტიკური პროცესები განვითარდა ბალსქვემოურში სესხების პროცესში?

ქართულიდან სესხების პროცესში სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვას, როგორც წესი, უნდა გამოეწვია წინამავალი (ანუ ფუძისეული) **ო** ხმოვნის უმლუტი. როგორც მოსალოდნელი იყო, ბალსქვემოურში პროცესი კანონზომიერად განვითარდა და ქართ. **მილიონ**-ი → \***მილიჟენ** → **მილჟენ**, შემდგომ კი უმლაუტის პროცესის ბოლომდე გატარების შედეგად მივიღეთ ბალსქვემოურში დღეს დადასტურებული **მილჟან** ფორმა. ლახამულური **მილიენ** ← \***მილიჟენ** დელაბიალიზაციის შედეგად. რაც შეეხება **მილეჟან** და **მილოჟან** ფორმებს, მათში განვითარებული ფონეტიკური პროცესები ასახსნელია (?).

ამრიგად, წინამდებარე წერილში შევეცადეთ, საენათმეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ჩვენეული ინტერპრეტაციებით, განგვეხილა მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელების ეტიმოლოგიური ანალიზი სვანურში სხვა ქართველურ ენებთან შეპირისპირებით. რამდენადაც მოსალოდნელი იყო, გამონაკლისებმა აქაც იჩინა თავი, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ენაში რიცხვითი სახელები სწორედ შედარებით მყარი ლექსიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

## გამოყენებული ლიტერატურა

**ბობი** 1846 — Fr. Bopp, Über das Georgische in sprachverwandschaftlicher Beziehung, Berlin, 1846

**გამყრელიძე** 1959 — თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი, 1959

**გამყრელიძე** 2000 — თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური ნაშრომები, თბილისი, 2000

**ერთელიშვილი** 1950 — ფ. ერთელიშვილი, „სხვა“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: თსუ სტუდენტთა შრომები, V, თბილისი, 1950

**თოფურია** 1927 — ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, თბილისი, 1927

**თოფურია** 1979 — ვ. თოფურია, შრომები, III, თბილისი, 1979

**კლიმოვი** 1964 — Г. А. Климов, Этимологический словарь Картвельских языков, Москва, 1964

**კლიმოვი** 1965 — Г. А. Климов, Заимствованные числительные в общекартвельском, Этимология, Москва, 1965

**მარი** 1925 — Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка. \_ Л.: Изд. Российской Академии Наук, 1925

**ჟღენტი** 1949 — ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1949

**როზენი** 1845 — G. Rozen, Über die Sprache der Lasen. \_ Philologische und historische Abhandlungen, Berlin, 1845

**საღლიანი** 2004-2005 — მ. საღლიანი, ქართულის გზით ნასესხები ლექსიკა სვანურ ენაში, ივერია, XII-XIII, პარიზი, 2004-2005

**საღლიანი** 2005 — მ. საღლიანი, ფონეტიკურად უცვლელი ნასესხები ფუძეები სვანურ ენაში, იკე, XXXV, თბილისი, 2005

**საღლიანი** 2008 — მ. საღლიანი, ხმოვანთა შემართვა და მისი სახეები სვანური ენის ნასესხებ ფუძეებში, თბილისი, 2008

**ფენრიხი-სარჯველაძე** 2000 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000

**შანიძე** 1957 — ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1957

**შარაძენიძე** 1961 — თ. შარაძენიძე, ორფუძიანობის ერთი ტიპის შესახებ სვანურ სახელთა ბრუნებაში: ქესს, II, თბილისი, 1961

**ჩიქობავა** 1938 — არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938

**ჩუხუა** 2008 — მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, 2008 თბილისი, 2008

**ცაგარელი** 1880 — А. Цагарели, Мингрельские этюды, вып. II, Опыт фонетики мингрельского языка, С.-Петербург, 1880

**ჭუმბურიძე** 2007 — ზ. ჭუმბურიძე, სვანური ენა (გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი), თბილისი, 2007

**ჯავახიშვილი** 1937 — ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937

### ლექსიკონები:

**დონდუა** 2001 — კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2001

**თოფურია, ქალდანი** 2000 — ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000

**ლიპარტელიანი** 1994 — ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1994

**ნიჟარაძე** 2007 — ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2007.

## წყაროები:

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1939 — სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1957 — სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1957

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1967 — სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი, 1967

**სვან. პროზ. ტექსტ.** 1979 — სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, თბილისი, 1979

**სვან. ენის ქრესტ.** 1978 — სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი, 1978.



**Medea Saghiani**

**On the Subject of the Structural-semantic and  
Etymological Analysis of Numerals in Svan  
Summary**

In the previous article we have tried to discuss on the etymological analysis of the simple cardinal numbers („eSxu” – one, „ori” – two, „semi“ – three, „woStxw“ – four, „woxuSd“ – five, „wusgwa“ – six, „iSgwid“ – seven, „ara“ – eight, „Cxara“ – nine, „ieSd“ – ten, „aSir“ – hundred, „milion“ – million) in Svan by the confrontation with other Kartvelian languages. We conducted the research with our interpretations and also on the basis of the scientific literature.

As expected, we found some exceptions in spite of the fact that numerals are the part of the comparatively solid vocabulary almost in all languages.

## 2. სუსიფილი

### ქართ. გუელის ნაცემი: მებრ. გვერიშ ნაჩაინა

ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნის“ 1978 წ. გამოცემას ერთვის დაავადებათა საძიებელი, რომელიც პროფ. მ. შენგელიას ეკუთვნის. ამ საძიებელში სხვა დაავადებებთან ერთად დასახელებულია აგრეთვე გუელ ნაკბენი || გუელ ნაცემი. უჩვეულო ამ ფაქტში არაფერია: საქართველოში გველის 21 სახეობაა გავრცელებული და მათგან ოთხი სახეობა შხამიანია (ველის, ცხვირრქოსანი, კავკასიური გველგესლა და გიურზა). აქედან, კავკასიური გველგესლა კავკასიის ენდემია (ქე I, 1997, 606). ჩვენში გველის სახეობათა მრავალგვარობას და შხამიანი გველების არსებობას ზაზა ფანასკერტელიც ადასტურებს:

„და ფერნი გუელთანი || მრ[ა]ვ[ა]ლნი არიან და უძნელესი ყოვლისა ორი არის, რომელსა ქუიან ასლა, და ესე რომელსაცა უკბინოს მოკლავს მსწრაფლ. და სხუაგუარი არის აფი ქუიან და ისიცა ფიცხლა მოკლავს კაცსა, უკბენს.“ (669,3-6).

სხვათა შორის, ამასვე აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს ტერიტორიაზე მობინადრე მძრომთა დახასიათებისას:

„ხოლო არიან მძრომნი მაწყინარნი: გუელნი მკბენელნი, ღრიანკელნი გესლიანნი, გუელ-ხოკრა, ჯოჯო, ფსუენი, ხულიკი, კუ, თაგვ და სხუანი-ცა“ (ვახუშტი, 1973, 43).

„სამკურნალო წიგნში“ ჩამოთვლილია ის რთული წამლნაერთები, რომლებიც გველისა და სხვა მძრომთა ნაკბენს შველის. ეს წამლები დასალევიცაა და საცხებიც, მაგ.:

„თრიაყის ხასიათი“... (მდრ., საბა: თერიაყი „სამსალის მკურნებელი“) არგებს ყოველსა მოწამლულსა, ღრიანკალ ნაკბენსა უშუელის, გუელნაკბენსა უშუელის, მორიელნაკბენსა უშუელის და ცოფ ნაკბენსა ძაღლისა უშუელის და ყოველსა ცოფ ნაკბენსა და ბრაზიანსა უშუელის“ (ფანასკერტელი, 1978, 93, 13-16).

ამის შემდეგ წარმოდგენილია ამ რთული წამლის შედგენილობა (ნახევარ გვერდზე მეტი მოცულობის ტექსტი) და ახლავს რჩევა:

„შესუან პერულმოხდლითა თაფლითა“ (ფანასკერტელი, 1978, 94,6).

„თერია, რომელ იქმნების ოთხითა წამლითა სარგო || ღრიაკლისა ნაკუნისა და გუელისა და ტყირბის ტკივილისა“ 94, 36-37

„არგებს გუელ ნაკუნსა და ღრიაკალ ნაკუნსა“ 102,2

„და ერგების ღრიანკლისა ნაკუნსა, გუელისა და ძალლისასა“ 674, 5.

კომპოზიციის **გუელნაკუნის** პარალელურად „სამკურნალო წიგნში“ გუელკბენილი, გუელნაცემი (გუელის ნაცემი, ნაცემი) და გუელცემულიც (გუელის ცემული, ცემული გუელისა) დასტურდება:

„და ესეცა იქნების რომე ტანი და თუალნი გაუყვითლდნე კაცსა მას გუელ-კბენილსა“ 670,2.

„გუელნაცემსა და ღრიანკლისა და მორიელნაცემსა უშველის“ 99,14

„და ვისდა გუელსა ეკბინოს ანუ მორიელსა, წონა ნახევარ დრამისაღვინითა ძუელითა და იცხოს ნაცემსა სიმენასა ზეთითა და აკრას ზედა ვითა მარამა.“ 126,6-9.

„თუ მოიღო ნაკუეთი თხისა ტყავისა, ანუ თიქნისა, რაჟამს გაიჯადოს და დასდვა ნაკუნსა გუელისასა: გამოილოს შხამი.“ 752,3.

„ქათამი რომე გააპოს და ცხელსა ზედა დაიდებდეს, გუელი[ს] ნაცემსა არგებს“... 769

„მოწამლულთა სასიკუდინედ და გუელცემულთა“ 133,28

„...ერგების, რომელსა სასიკუდინე წამალი ესუას და გუელცემულთა და ღრიანკალთა“ 133,30

„და ცემულსა გუელისასა“ 130,14...

„ახალი ერბო გუელ[ი]ს ცემულსა არგებს“ 772, 25.

„სამკურნალო წიგნში“ გარკვევით იკითხება ის ცოდნა-გამოცდილება, რაც ჩვენში გველისა და ქვემძრომთა ნაკუნების დიაგნოსტიკა-მკურნალობასთან დაკავშირებით იყო დაგროვილი: სამკურნალო საშუალებად გამოყენებული მცენარეული, ცხოველური თუ მინერალური ნედლეული, ნაკუნის პირველადი დამუშავებისთვის საჭირო მეთოდები, ქირურგიული

ჩარევისათვის აუცილებელი სათანადო რეკომენდაციები და სხვ. შდრ.:

„და ოდეს უკბინოს გუელმან კაცსა, ასრე კურნე – შეკარ ნაკბენსა ზეით კერძო ახლოს, რომე წამალი არ დაიფანტოს ტუინსა და გულსა შიგან და ძარღუთა ტანისათა“. 669, 22-24

„ასრე გააძებს თერია იმას გესლსა გულისაგან და არა მოარჩობს გულსა და არა მოკლავს კაცსა“ 669, 37-38.

„და რა თერიასა შეასუამ, გაააურვებს გულსა, და მერმე იმა შხამსა გამოსწმედს“ 869, 35.

„და შეასუი თერია დიდი, რომელი იქნების ჯორცისაგან გუელისა“ 669, 29.

„და თუ ადგილი იგი გამოსაკუეთელი იყოს, გამოკუეთე. ასრე თქუეს, ვითა: თუ თითსა იყოს ნაკბენი, ანუ სხუასა ადგილსა, გამოკუეთინ, სადამდი ავიდოდეს წამალი იგი ასოთა შიგან მთავართა“ 669, 25-27.

კიდევ უფრო მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი **გველნაკბენის (გველნაცემის)** თუ სხვათა მძრომთა ნაკბენის სამკურნალო საშუალებები (როგორც მცენარეული, ასევე ცხოველური) დავით ბაგრატიონის „იადი-გარ დაუღში“:

„თუ გველმა ან მორიელმა უკბინოს ადამიანს შარდში ბანბეული ას-ველეთ და აფარეთ, წამსვე უშველის“ (548, 31-32).

მცენარეული ნედლეულისაგან ნაკბენის საცხებად რეკომენდებულია: დანაყილი ნესვის თესლი ან გული (549, 8-9). ლიმოს წყალი (549, 25-26), ღვინოში დამბალი მისხაკი (552, 10-11), ახალი ლედვის რძე (552, 17-18), დანაყილი ნიორი (550, 39), დანაყილი მარწყვი (550, 22) და ა.შ. სასმელად – დანაყილი ნიორი ღვინით (550, 99), ნიასურის წვენი (551, 14-15), ეგირის ძირის ნახარში (551, 30), გარეული პიტნის წვენი (552, 34) და ა.შ.

ცხოველური ნედლეულიდან – გამოწლილი გველი:

„და თუ ვითმე ამავე გველს მოჰკულებ და ისივ გველი რომე გამოსწლან და თავისავე ნაკბენზედა დაიდვან, მაშინვე ულხენს და უშველის“ (550, 16-17);

გამოწლილი სამამლე ვარია ან სამი დღის გოჭი:

„...შავი სამამლე ვარია და ან სამის დღის გოჭი გაჭყაპურტონ და და-  
იდვან მანკსა და შხამსა ყუელასა გამოსწოვს და გამოიღებს“ (550, 18-20);

„ირმისა და ძროხის ნესვი“ (551, 10-11) და სხვ.

მინერალური ნედლეულიდან – გამთბარი მარილი:

„ვინცა მარილი გაათბოს და გველისა და მორიელის ნაკბენზედა და-  
იდვას და ისი ნაკბენი ცეცხლსა მიუშვიროს რომე გაუთბეს, მწოვედ კარგი  
არის“ (549, 11-13).

შხამის გამოსალეზად დაკბენილს აყიროს კოტოშსა ც მოჰკიდებ-  
დნენ:

„თუ გველმან და ან მორიელმან კაცსა უკბინოს, მოიტანე ერთი მომ-  
ცრო პირ მოჭრილი აყირო და ამა აყიროშივა ცოტა დაწეწილი ზამბა ჩა-  
დევ და ამა ზამბასა სანთლითა ცეცხლი მოუკიდე და ნაკბენზედა დადევ,  
კოტოშსა ვით მოუჭირებს და მოეკიდების, და როდისცა მწოვედ მოეკიდოს,  
ძალად უნდა მოგლიჯონ და შხამსა უკმოაბრუნვებს და გამოიღებს“ (549,  
14-19).

შხამიანი და ავი გველის ნაკბენის შემთხვევაში ქირურგიული ჩარევა-  
ცაა საჭირო:

„და თუ კაცსა ავმან და აფი გველმან უცეს, თუ მოსაკუეთელსა ალაგსა  
იყოს, ნაცემსა ალაგსა ზემო და ქვემო ორგანვე ირმის თასმა მოუჭირონ,  
და თუ ირმის თასმა არ იყოს სხვა თასმა მოუჭირონ და სადამდისი გუ-  
ელსა ეცეს და ან დაღურჯებოდეს, ისი დაღურჯებული ალაგი სამართებ-  
ლით ამოსჭრან და ამას ეცადნენ, და ამას ეშურნონ და ასრე ფიცხლად  
უნდა ამოსჭრან, რომე ჯერ შხამი ასოსა და ძარღუშივა არ დაფანტული-  
ყოს“ (549, 27-32).

შესიტყვებები – გუელის ნაკბენი, გუელის ნაცემი ძველი  
ქართულის ტექსტებშიც დასტურდება:

„მინედვით დააცხრობს მკბენელთა გუელთა ნაკბენსა“ [A=162,  
8v, 8-96];

„ნაკბენსა ასპიტთასა განჰკურნებენ“ [Jer.=24 195v; 31-196 r,  
1] (სარჯველაძე, 1995).

„ვითარცა გუელისა ნაცემი განეზავოს“ O. – „ვითარცა გუელი-საგან მოწყლული განირთსა“ pb., იგ. სოლ. 23,32 (აბულაძე, 1973).

„ბერსა უმრავლეს ათისა ზედაესხნეს ნაცემნი გუელისანი“ [A=689 253r, 18-20a] (სარჯველაძე, 1995).

ძველ ქართულში დასტურდება ასეთივე შინაარსის თხზული სახელი გუელცემულ - „გველის ნაკბენი“.

„ვინმცა შეიწყალა მსახრვალი გუელცემული“ [Jer=12 114r, 25-26] (სარჯველაძე, 1995).

გუელცემული წარმოშობით მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტი, ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტის სრული ჩამოცილების შედეგად მიღებული: გუელისა ცემული > გუელისცემული > გუელცემული; ასეა მიღებული გუელნაკბენი (<გუელისნაკბენი) და გუელნაცემი (<გუელისნაცემი).

გველნაკბენი, გველნაცემი და გველცემული ახალ ქართულშიც იხმარება:

გველნაკბენი... ვისაც, რასაც გველმა უკბინა. ატუზული ობოლი ბავშვივით, ან როგორც ევა, გველნაკბენი, დედამობილა („ლიტ.“).

გველნაკბენივით ზმნს. თითქოს გველმა უკბინაო, – სწრაფად, უეცრად...

გველნაცემივით ზმნს. იგივეა, რაც გველცემულივით.

გველცემული... იგივეა, რაც გველნაკბენი. [ჯარა ექიმი] გველცემულს დანაყულ ლოკოკინას გაუგზავნიდა (ნ. წულეისკ.). გველცემულივით ზმნს. იგივეა, რაც გველნაკბენივით. უკანასკნელმა სიტყვებმა გველცემულივით გააფითრა რუსუდანი (კ. გამს.). „ნეფე“ გველცემულივით შეკრთა და ფერფურმა გადაჰკრა (ნ. შაბან.). (ქეგლ-ის ახ. ფონდი).

ასე რომ, ქართული ენის ისტორიის (ძველი, საშუალო, ახალი) ყველა ეტაპზე „გველნაკბენის“ ცნება, როგორც დაავადების სახელი, ცნობილია და ის აღინიშნება როგორც შესიტყვების (გუელის ნაკბენი, გუელის ნაცემი, გუელის კბენილი), ასევე კომპოზიტების (გუელნაკბენი, გუელნაცემი, გუელცემული) საშუალებით, რომელთა

პირველი ნაწილი **გუელ-** სიტყვაა, ხოლო მეორე ნაწილი – მიმღობური ფორმა კბენა და ცემა ზმნებისა.

ჩვენში გველის ნაკბენის (ზოგადად, ქვემძრომთა ნაკბენის) მკურნალობის დიდ ტრადიციასზე მიუთითებს არა მარტო სამკურნალო წიგნებში დამოწმებული სათანადო ცნობები, არამედ ქართულ ფოლკლორში დაფიქსირებული გველნაკბენის სამკურნალო შელოცვებიც. ამ შელოცვების ფუნქცია ძირითადად ნაკბენის შედეგად დაავადებული შინაური ცხოველების გაჯანსაღებაა; არსებობს გველის ნაკბენის შელოცვა, მორიელის ნაკბენის შელოცვა... (გაგულაშვილი, 1986, 68).

გველის შელოცვის ტექსტები, რიტუალები, მკურნალობის საშუალებები ქართულ ლიტერატურაშიც აისახა (ნ. ლორთქიფანიძე, დ. შენგელაია, კ. გამსახურდია, ნ. წულუისკირი...) (გაგულაშვილი, 1986, 32-37.):

„გველისფერ ჩოხა-ახალუხში“ გამოწყობილი სოფლის მკურნალის ტოჩი კონჯარას ძალიან დამახასიათებელი მხატვრული სახე შექმნა დ. შენგელაიამ „მორდუში“:

„ყველა მის წყველა-კრულვაში იყო, ყველას იმისი ეშინოდა, მაგრამ უიმისოდ რომ ვერ გაეძღებოდათ!

გველნაკბენის მოარჩენდა, წელკავს ის აუშვებდა, გათვალულს ის გამოულოცავდა...“ (შენგელაია III, 1970, 17).

გველის ნაკბენის აღნიშვნისათვის გამოყენებული ენობრივი ფორმულები – შესიტყვებები თუ კომპოზიტები (გუელისა ნაკბენი, გუელის ნაცემი, გუელნაცემი, გუელცემული...) სხვა დაავადებათა სახელებისთვისაც გამოიყენება და ეს ჩანს იმ შელოცვათა დასახელებებშიც, რომელთა ხელნაწერები XIV-XIX საუკუნეებით თარიღდება. შდრ.: სხვაა ლოცუაჲ სახლ მტერ დაცემულისავე, ეშმაკისა და ქაჯისა...

ფუტკრის თვალნაცემის და ადამიანის თვალნაცემის ლოცვა...

თვალნაცემის ლოცვა სიზმრად ნასწავლი... (გაგულაშვილი, 1986, 71).

ლოცვა აღდაცემულისა...

ლოცვა თვალცემულისა... (გაგულაშვილი, 1986, 73).

თუ გავითვალისწინებთ გველის მოტივის ხვედრით წონას ქართულ (ქართველურ) მითოლოგიასა და ფოლკლორში, გველის ნაკბენისა და მასთან დაკავშირებული სამედიცინო ცოდნის არქაულობის საკითხი ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

გველნაკბენის, როგორც დაავადების, ცნება ნიშანდობლივია სხვა ქართველური ენებისთვისაც. შდრ.:

სვანური: ჟიჯი ნაკეფ „გველის ნაკბენი“ : – ჟიჯი ნაკეფს შიშდ უახჩოჟი ამშა წჷჷნე (ლშხ.) – გველის ნაკბენს სწრაფად არჩენს ამის წვენი (სვან. ლ., 2000).

მეგრული: გვერიში ნაჩამინა „გველის ნაკბენი“, გვერიში ნაჩამინაშორო „გველის ნაკბენით“ (ქაჯაია I, 2001, 321).

მეგრულ მაგიურ პოეზიაში სხვადასხვა ვარიანტებით დაფიქსირებულია გველის ნაკბენის შელოცვის (გვერიშ ნაჩამინაში შელოცვა) ტექსტები.

ეს ტექსტები წარმოადგენს როგორც უშინაარსო და გაუგებარი სიტყვების, ასევე მნიშვნელობის მქონე სიტყვათა შეწყობას:

- (46) არე-მარე, სარე-მარე; არე-მარე, სარე-მარე  
საისაკურელი მარე, საი საკვირველი მალე,  
დუდი შხუ დო კუდეი ჭიფე, თავდიდი და კუდი წვრილი,  
ნინა გაბარზალებური, ენა გაბზინგებული (გასაგსავებული),  
გვერს დუდი მესოფი, გველს თავი წააწყვიტე  
ბერწული დო ლაკარტია, ბროწეული და ლაკარტია,  
აჟა, ფაჟა, კაჟა, აჟა, ფაჟა, კაჟა,  
ურგებელი სარგებელი ურგებელი სარგებელი  
ლაკარტია მომწამალე ლაკარტიათი მიწამლე.

ამ შელოცვას ახლავს მკურნალობის რეკომენდაციებიც: ნაკბენზე უნდა დაიდოს ბროწეულისა და ლაკარტიას დანაყული ფოთოლი.

ბროწეული და ლაკარტია სხვა შელოცვაშიცაა ნახსენები, ოღონდ მკურნალობის რეკომენდაცია სხვაგვარია: დაფშენილ ნახშირს წაუსვამენ დანის პირს და მერე ნაკბენ ადგილს:

- (47) აჟონა, ფაჟონა, კაპიტომონა, აჟონა, ფაჟონა, კაპიტომონა,  
ბერწული დო ლაკარტია, ბროწეული და ლაკარტია,



გვერს ოჭიში მეტახია,  
ფუი, თეში გააქარი.

გველს ზურგი გაუტეხე,  
ფუი, ისე გააქარე.

გველის შელოცვათა ვარიანტებში ზოგჯერ გაუგებარი სიტყვები ფონეტიკურადაც სახეცვლილია:

(48) ალა, გალა, სალა, მაკუდელაია...

**შდრ.:**

(49) ალე, მალე, სალე, მალე,

სალე მაკუდელაია (მეგრული ტექსტები II, 1991, 485-487).

გავრცელებულია მორიელის ნაკბენის შელოცვაც (მორიელეში ნაჩამინაში შელოცვა):

(52) მორიალე, მორი სქუა,  
ჩხორო დიდა, ჩხორო სქუა,  
ვართ აჩა, ვართი კვათა,  
ვართ გურიშა მიაკათა  
მორიალეში ოკოპუსკორუა,  
ფუჲ, თაში გააქარი  
მორიალეში ნაჩამინა

მორიელი, მორის შვილი,  
ცხრა დედა, ცხრა შვილი,  
არც უკბინო, არც გაკვეთო,  
არც გულზე შემოეყარო  
მორიელეშის გაწყვეტა  
ფუჲ, ისე გააქარე  
მორიელის ნაკბენი...

და ა.შ.

საყურადღებოდ გვეჩვენება, რომ „გველნაკბენის“ ცნების გადმოსაცემად ქართულსა და მეგრულში სინტაქსურად იდენტური შესიტყვებები (ნათესაობითი დასმული მსაზღვრელი + ვნებითი გვარის წარსული დროის ან, სხვაგვარად, საობიექტო მიმღეობა) დასტურდება (ქართ. გუელის ნაცემი: მეგრ. გვერიშ ნაჩამინა). თავისთავად მართულმსაზღვრელიანი (ნათესაობითბრუნვიანი) სინტაგმები საერთოქართველურიდან მომდინარე სინტაქსური კონსტრუქციაა: ქართ. გუელის ნაცემი: მეგრ. გვერიშ ნაჩამინა: სვან. ჟიჯი(შ) ნაჯეფჟი... ამ რიგის შესიტყვებების საერთოქართველური წარმომავლობის წარმოსაჩენად არა მარტო შესიტყვებით გამოხატული ცნების არქაულობის მტკიცება (მითოლოგიის, ზეპირსიტყვიერების, წერილობითი წყაროების არქეოლოგიური მონაცემების და ა.შ. ჩართვით), არამედ შესიტყვების შემადგენელი ლექსიკური ერთეულების (ფუძეების, მორფოლოგიური ელემენტების) კანონზომიერი

შესიტყვებების ჩვენებაა საჭირო. მაგ., ქართ. გუელის ნაცემი, მეგრ. გვერიშ ნაჩამინა, სვან. ჟიჯი ნაკეფჟ სინტაქსურ შესიტყვებათა შედარება აჩვენებს, რომ სვანურში განსახილველი ცნება ქართულისაგან და მეგრულისაგან განსხვავებით სხვა ლექსიკურ ერთეულთა შეწყობით გამოიხატება, შესაბამისად, ფუძეენის ღონეზე საერთო, ამოსავალი შესიტყვება ამ შეპირისპირებით არ აღდგება.

ქართული და ზანური მონაცემები (ქართ. გუელის ნაცემი და მეგრ. გვერიშ ნაჩამინა) შეიძლება ქართულ-ზანური ერთიანობის ღონეს მიეკუთვნებოდეს. ამ შესიტყვების შემადგენელი ნაწილები ქართულსა და მეგრულ-ლაზურში კანონზომიერი შესატყვისებია: ქართ. გუელ-ი : მეგრ. გვერ-ი || ნ-გვერ-ი, ლაზ. მგვერ-ი; მეგრული და ლაზური ფუძეების ე- გახმოვანება უმლაუტის შედეგია: საერთოზანური \*გუარ- > გვერ- (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000); შესიტყვების მიმღებური ნაწილის ამოსავალია ქართულ-ზანური პოლისემიური ზმნური ფუძე \*ცემ-; ქართული და ზანური ფორმები კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისობას გვიჩვენებს – ქართ. ცემ- „დარტყმა“, „მიცემა“, „კბენა“, „დაჯახება“ : მეგრ. ჩამ- „მიცემა“, „ჭმევა“; ჩამ-ინ-ი „კბენა“; ლაზ. ჩამ- „ჭმევა“, „მიცემა“, „დარტყმა“: ო-ჩამ-უ „ჭმევა“; მე-ჩამ-უ „მიცემა“, გა-მო-ჩამ-უ „გაყიდვა“; გე-ჩამ-უ „დარტყმა“ (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000); ო-ჩამინ-უ „ფხანა“, „ქავილი“ (მარი), იხ. ქაჯაია III, 2002.

რაც შეეხება ცემ- ფუძის მნიშვნელობებს, ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთისგან გამომდინარე მნიშვნელობებია. ამას ძველი ქართულის მასალაც ამოწმებს, შდრ.:

„დარტყმა“ : „სცა კლდესა მას კუერთხითა მით ორგზის“ G რიცხვ. 20, 11

- „მიცემა“ : „უკუეთუ სცე მშიერსა პური შენი“ მ. სწ. 25, 10
- „კბენა“ : „უკუეთუ შეეახლო (გუელსა) გცეს შენ“ O ზირ. 21, 2
- „ცემამან გუელისამან ყვის წყლულებაჲ“ O ზირ. 28, 21
- „დაჯახება“ : „აღდგეს მდინარენი და ქრიოდეს ქარნი და ეცნეს სახლსა მას“ C მთ. 7, 27 (აბულაძე, 1973).

განსხვავებები გვაქვს ქართულისა და მეგრულის მიმღეობათა მორფოლოგიაში: ქართულში მიმღეობის **ნა-** პრეფიქსიანი წარმოება გვაქვს (ნა-ცემი), მეგრულში – **ნა-** – **ა** პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება (ნაჩამი-ნა); ე.ი. ქართ. **ნა-** პრეფიქსის კანონზომიერი **ნო-** შესატყვისის ნაცვლად მეგრულში ქართულიდან ნასესები **ნა-** პრეფიქსია წარმოდგენილი, რომელმაც თითქმის მთლიანად გამოდევნა მეგრულიდან **ნო-** პრეფიქსი (დეტერსი, 1930, 227; ნადარეიშვილი, 1962, 182; 188). შენაცვლების ფაქტს პარალელური **ნო-** და **ნა-** პრეფიქსიანი მიმღეობის (თუ გასუბსტანტივებული მიმღეობის) პარალელური წარმოებები ადასტურებს: ნო რ თ ი > || ნარ თ ი „განაყოფი“, ნარ ტ ყ - ი „ერთმანეთში გადახლართული“ || ნორ ტ ყ ი „ცოცხალი ღობე“, „ერთმანეთზე გადახლართული ეკალ-ბარდი“, ნორ გ - ი || > ნარ გ - ი „ნარგავი“, ნორ დ - ი || > ნარ დ - ი „ნაზარდი, ახალგაზრდა“...

ერთი და იმავე მნიშვნელობის **ნო-** და **ნა-** პრეფიქსიანი მიმღეობების გვერდით დასტურდება აგრეთვე ოდენ **ნო-** პრეფიქსიანი (შეზღუდულად) და **ნა-** – **ა** პრეფიქს-სუფიქსიან მიმღეობათა პარალელური წარმოებაც: ნო-თირ-ი, ნო-თერ-ი || ნა-თირ-ა „ნაცვალი, გამონაცვალი...“

ნოკვეთ-ი, ნო-კვეთე || ნა-კვათ-ა „[და]ნაჭერი“,

ნო-სოფ-ი || ნა-სოფ-ა „ნაგლეჯი, ნაწეწი“... (ქაჯაია II, 2002).

**ნო-** – **ა** წარმოების ტიპის მიმღეობა მეგრულში არ ფიქსირდება (ნადარეიშვილი, 1962, 189); ზემოთ დასახელებული **ნო-** **კვეთ-** ე ლაზურის გავლენა უნდა იყოს, სადაც მიმღეობის **ნა-** – **ე** წარმოებაც დასტურდება. მეგრულში ამოსავალში ოდენ **ნო-** პრეფიქსი გვქონდა. ამას ამოწმებს ნამყოს მიმღეობა **ნო-კვეთ-ი** (კვათუნს ზმნისა) და მისთ. ამოსავალი ვითარება ზმნაშია დაცული: შდრ.: ქართ. კუეთს – ზან. კვათუნს. ანალოგიური შეფარდება (სახელის ფუძეში ე : ზმნის ფუძეში ა ) გვიჩვენებს სახელური ე გახმოვანების მერმინდელ საფეხურს. სახელური ე გახმოვანება ზანურში უმლაუტის შედეგია: \*ნოკვათი > ნოკვეთი, \*ნოტახი > ნოტეხი..., რომელიც თავდაპირველად განხორციელდა მაპალატალიზებულ ხმოვანთა შემცველ ბრუნვებში (ნათესაობითი, მიმართულები-

თი, დაშორებითი, მოქმედებითი, დანიშნულებითი) და შემდეგ განზოგადდა (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 161, 162).

**ნო-** პრეფიქსის ქართ. **ნა-** — **ა** პრეფიქს-სუფიქსური წარმოებით შენაცვლების შემდეგ მიმღობის ფუძეში აღდგა კანონზომიერი **ა** გახმოვანება (ნო კვეთ-ი > ნაკვათ-ა), რადგან საუმლაუტო პირობები აღარ არსებობდა.

**ნა-** — **ა** პრეფიქს-სუფიქსიანი მიმღობები მეგრულში **ნო-** პრეფიქსის ქართული **ნა-** პრეფიქსით ჩანაცვლების შემდეგ ჩანს გაჩენილი. შდრ., ნაკვალ-ი || ნაკვალ-ა „ნაკვალევი“ კვალ უნს ზმნისა.

ამდენად, შესიტყვების გვერდში ნაჩამინა ისტორიული გზა ასე გვესახება: \*გვერდში **ნო-ჩამ-ინ-ი** < \*გვერდში ნა-ჩამ-ინ-ი (**ნო-**ს შეენაცვლა ქართ. **ნა-**) < **გვერდში ნა-ჩამ-ინ-ა**.

ამ დაშვებაში არსებითი წინააღმდეგობა ის იქნება, რომ როგორც რეალურ (ნა-ჩამ-ინ-ა), ასევე აღდგენილ ფორმებში გვაქვს საუმლაუტო პოზიცია — ჩამ- ფუძეს ერთვის **-ინ** ელემენტი, ხოლო უმლაუტი არ განხორციელებულა, ე.ი. მოსალოდნელი ფონეტიკური პროცესი ჩამ-ინ-ა > \*ჩემ-ინ-ა არ შედგა. აქ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ:

1) პარადიგმის გათანაბრება მოხდა არა პალატალური ხმოვნების შემცველ ბრუნვისნიშნისანი ფორმების (ნათესაობითი, მოქმედებითი და ა.შ.), არამედ იმ ბრუნვათა მიხედვით, რომლებიც პალატალურ ხმოვნებს არ შეიცავენ და, შესაბამისად, ფუძის **ა** გახმოვანება (ნაჩამ-ინ-ა) შენარჩუნდა (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 163-164);

2) **ინ-** ელემენტის დართვა უმლაუტის მოქმედების შემდეგ დროინდელი პერიოდის ფაქტია და, შესაბამისად, ფუძეში **ა>უ** პროცესი (ნა-ჩამ-ინ-ა > \*ნა-ჩემ-ინ-ა) აღარ განხორციელდა.

ქართ. **ნა-** ცემ მიმღობურ ფუძესთან მიმართებით მეგრულის სახელზმნურ წარმოებებს: ჩამ-ინ-ი „კბენა“, ნა-ჩამ-ინ-ა „ნაკბები“, ჩამ-ინ-ელ-ი „ნაკბენი“, ო-ჩამ-ინ-ალ-ი „საკბენი“ და უღვლილების ზოგიერთ (კერძოდ, III და IV სერიის ფორმებში ქინო-ჩამ-ინ-უ-ე „ნაკბენა“, ქუუ-ჩამ-ინ-უ „უკბენა“ წარმოჩენილ **-ინ** სუფიქსის მეტობასთან ერთად მისი მერმინდელობის საკითხიც დგება.

„კბენის“ მნიშვნელობა I და II სერიის ფორმებში **-ინ** ელემენტის გარეშეც გამოიხატება:

გვერქ თქუ: დიო დუს ქუაჩამუქ დო უკულ შხვასია „გველმა თქვა: ჯერ თავს ვუკბენ და მერე სხვასაო“ (ხალხ. სიბრძნ. I, 1994).

გვერქ აჩამუ... „გველმა უკბინა“.

ასეთი **ინ**- მეტობა სხვაგანაც დასტურდება – როგორც მკვიდრ ზანურ, ასევე ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში:

ტყობუა „დამალვა“	ტყობინი, ტყობინაფა „დამალვა“
სოფუა „გლეჯვა, წყვეტა, წეწვა“ ...	სოფინი „რუდუნება“
ნასოფა, ნასოფი „ნაწყვეტი, ნაგლეჯი“	ნასოფინა „ნაამაგარი, ნაწვალები“

ჩოჩუა „ჩოჩვა, ცოცვა, სოხვა“	ჩოჩინი „ჩოჩვა, ცოცვა, სოხვა“
ჩოქუა „ჩოქვა“	ჩოქინი „დაჩოქვა“, „დაჩოქება“
დონაჩოქა „დანაჩოქი“	დონაჩოქინა „დანაჩოქი“ და სხვ.

(ქაჯაია I, II, III).

მეგრულში „კბენის“ მნიშვნელობით იხმარება „ჩამინი“. აჩამუ – უკბინა („ცემა“ ძირია გამოყენებული – წერს არნ. ჩიქობავა „შედარებით ლექსიკონში“ (ჩიქობავა, 1938, 291), მაგრამ არაფერს ამბობს **-ინ** სუფიქსის შესახებ, რომელიც მხოლოდ სახელზმნურ და კაუზატიურ ფორმებში დასტურდება და რომლის დართვამაც ჩამ – ფუძის მნიშვნელობებიდან გამოანაწევრა „კბენის“ მნიშვნელობა. **-ინ** კაუზატივის მარკერად მიიჩნია გ. კლიმოვმა (კლიმოვი, 1964, 228); შემდგომში ეს თვალსაზრისი კითხვის ნიშნით წარმოადგინა (კლიმოვი, 1998, 271). ასეთი ფუნქციადაკარგული კაუზატივის რიგის სუფიქსები დასტურდება ქართულშიც და სვანურშიც (გიგინეიშვილი, 1981, 66-74).

ზემოთქმულის მიხედვით, ვფიქრობთ, რომ „გველნაცემის“ მნიშვნელობა ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე გამოხატულია ნათესაობით-ბრუნვიანი მსაზღვრელისა და ვნებითი გვარის საობიექტო მიმღეობით წარმოებული შესიტყვეების საშუალებით : ქართულ-ზანური **\*გუელის ნა-ცემი-ი** > ქართ. **გუელის ნაცემი-ი** : მეგრ.-ლაზ. **გუერიშ \*ნოჩამი** ან < **\*ნოჩემი** (იმის გათვალისწინებით **ა-** გახმოვანების თუ **ე-** გახმოვანების

მქონე ვარიანტი გავრცელდა მთელ პარადიგმაზე) > გვერიმ ნა-ჩამ-ინ-ა (ნო- პრეფიქსის ნა- — ა პრეფიქს-სუფიქსით ჩანაცვლებით და სუფიქსურ-რი -ინ ელემენტის დამატებით).

## გამოყენებული ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

ბაგრატიონი, 1985 – დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა ლადო კოტეტიშვილმა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985.

გაგულაშვილი, 1986 – ი. გაგულაშვილი, ქართული მაგიური პოეზია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

გიგინეიშვილი, 1981 – ბ. გიგინეიშვილი, კაუზატივის ფუნქციადაკარგული სუფიქსი ზმნათა ერთ წყებასთან ძველ ქართულში, მრავალთავი, IX, თბილისი.

დეეტერსი, 1930 – G. Deeters, das Kharthwelische Verbum, Leipzig.

ვასუშტი, 1973 – ვასუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, გამ. მოამზადა ს. ყაუხჩიშვილმა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

კლიმოვი, 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

კლიმოვი, 1998 – G.A. Klimov, Etymological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin - New York.

მეგრული ტექსტები II, 1991 – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნადარეიშვილი, 1962 – ლ. ნადარეიშვილი, მიმღობა ზანურში, იკე, XIII, თბილისი.

ფანასკერტელი, 1978 – ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნა-

ლო წიგნი კარაბადინი, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები , შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მიხეილ შენგელიამ, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1978.

სარჯველაძე 1995 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები. თბ.

სვან. ლ., 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ.

ფენრიხი, სარჯველაძე, 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ.

ქაჯაია I, 2001; II, III, 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, II, III, თბ.

ქე I, 1997 – საქართველო, ენციკლოპედია, I, თბილისი.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964.

ქეგლ ახ. – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, ახალი რედაქცია, რედ. პროფ. ა. არაბული, თბ., 2008.

ჩიქობავა, 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი.

ხალხ. სიბრძნ. I, 1994 – ხალხური სიბრძნე I, მეგრული და ლაზური ანდაზები; შემდგენლები: რ. შეროზია, ო. მემიშიში, თბილისი.

## Murman Sukhishvili

### Georgian *gwelis nacemi* : Megrelian *gweriš načamina* Summary

Word combination *gwelis nacemi* (parallel *gwelis naḳbeni*) meaning **snake bite** is already attested in Old Georgian. It is also well represented in the medical books of the middle ages. These books give recommendations for snake bite treatment and offer anti-snake remedies for healing bites caused by the snakes. The information provided demonstrates that snake bite treatment tradition (and that of reptile bites in general) has been strong in Georgia.

These word combinations (*gwelis nacemi*, *gwelis naḳbeni*) containing determinatives in the Genitive case appear to be constructions derived from Proto Kartvelian. Word combination *gwelis nacemi* belongs to the level of Georgian-Zan linguistic community. The components of this word combination (snake and bite) are regular correspondences in Georgian and Megrelian.

\*guel-is na-c<sub>1</sub>em-i : Georgian **guel-is na-cem-i** : Megr.  
(Zan) \*gwer-iš no-čam-i > **gwer-iš na-čam-in-a**

Georgian **na-** prefix substitutes for Zan (Megrelian) **no-** prefix, **-in** seems to be a causative element that has been presented in single Zan forms (infinitive, participle and the forms of III and IV series).



## ერთი აფხაზური ნასესობისათვის მებრუნლი

აფხაზებს ქართველურ ენა-დიალექტებზე მოლაპარაკეთაგან ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა მეგრელებთან ჰქონდათ. ამის შედეგად აფხაზურ-მა არაერთი ლექსიკური ერთეული შეითვისა მეგრულიდან და, პირიქით, მეგრულშიც დამკვიდრდა აფხაზური ნასესობანი. ჩვენ ერთ-ერთ მათგანს განვიხილავთ.

აფხაზურ ენაში დასტურდება ლექსიკური ერთეული ა-ხო (მდრ. აბაზ. ჰო) 1. „წილი“. ჰჯარა დაჰშან ხოკ მარ იგტუ, ხოკ სარ „ორად გავყავით და ერთი ნაწილი იმან წაილო, ერთი ნაწილი მე“. 2. „კერძი, ულუფა“. სხო სტო! „ჩემი ულუფა, კერძი მომეცი!“ (ჯანაშია 1954). ბ. ჯანაშიას ამ ლექსემის ერთ-ერთ მნიშვნელობად დასახელებული აქვს ძღვენი: აჰა ახო იზნაიგეტ „ნათესავს ძღვენი მიუტანა“ (ჯანაშია 1954).

საანალიზო -ხო- ძირი ასევე მონაწილეობს ქელეხის აღმნიშვნელ აფხაზურ სიტყვაში: **აფხხოტ** „ქელეხი (ზედმიწ. „მიცვალეხულის წილი, ხვედრი“)“.

იგივე -ხო- ძირი უნდა გვქონდეს შემდეგ ლექსიკურ ერთეულშიც: ა-ხოტ (მდრ. ა-ხოტა) „წილი, ხვედრი“. ურ იხოტ იმრუიტ „მას წილი არ ხვდა“. 2. ნაწილი. ხუჯარა იშანტ ხოტკ „მეხუთედი ნაწილი, მეხუთედი“. აკტი ა-ხოტ „პირველი ნაწილი“; აღუნეი ახოტაქან „მსოფლიოს ნაწილები“; აცოეიუგ ახოტაქან „სხეულის ნაწილები“; აჰაზა ახოტაქან „მეტყველების ნაწილები“ (ჯანაშია 1954).. აკად. ქ. ლომთათიძე —თა-ს ვითარების სუფიქსად მიიჩნევს: არტა აფტუ ჰარა-სარათა მალაბ „ამ ჯგუფში ყველა თავისუფლად გრძნობს თავს, თავისუფლად არის“ (მდრ. ქართ. „შენ-ჩემობით“ არის) (ლომთათიძე 2006, 82). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ა-ხოტ-შიც იგივე —თა სუფიქსი გვქონდეს, მაგრამ ვითარებითობის შინაარსი ამ ფუძეში დარღვილია. ეს აფიქსი აღნიშნული ფუნქციით უფრო აქტიური და მოქმედი ჩანს აბაზურში: ხოთ-თა „თავისუფლად“, კაგა-თა

„გიჟურად“ (Абазинско-Русский Словарь 1967). ამავე ფუძეების —**თა** სუფიქსიანი ვარიანტები აფხაზურ ენაში ვერ დავადასტურებ.

**ხთა** მონაწილეობს ზმნურ ფუძეშიც: ა-**ხთა**-რა (იხთოუჲ) „იყო ვალდებული (ე.ი. რაღაცის გაკეთება გმართებს, წილი გაქვს რაღაც საქმეში)“.

**ხთა** უნდა გვექონდეს ვაჭრობის აღმნიშვნელ აფხაზურ სიტყვაშიც: ა-**ხაახთ**-რა „ვაჭრობა“ (შდრ. ა-**ხაახთვ** „ვაჭარი“). მას აქვს პარალელური ფორმაც: ა-**ხაჰახთ**-რა. ორივესთვის ამოსავალია აბაზ. **ხმახთ**-რა „id“. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ აფხაზურ აა-ს გარკვეულ შემთხვევებში იძლევა (ა)ჰ||ჰ(ა), ასევე მისივე წყვილელი ფშვინვიერი ლარინგალური სპირანტი (ა)ჰ||ჰ(ა) (ლომთათიძე 1976, 26). ა-**ხაახთ**-რა რთული ზმნაა. იგი მიღებული უნდა იყოს **ხჰა** და **ხთა** ფუძეების შეერთებით, რომელსაც თავში დართული აქვს ზოგადობის ა-პრეფიქსი, ბოლოში კი მასდარის მაწარმოებელი -**რა** სუფიქსი. ზმნის ბოლოკიდური ა ამოვარდნილია (ა-**ხაახთ**-რა < ა-**ხაახთა**-რა), რაც მასვილის მოქმედებას უნდა გამოეწვია. როგორც ჩანს, აფხაზის წარმოდგენით, ვაჭრობა არის „ყიდვა-განაწილება“.

განხილულ აფხაზურ ფუძესთან მიმართების თვალსაზრისით საინტერესოა მეგრულში დადასტურებული ლექსემა **ათოხუთაფა** (**ათო-ხუთ-აფა**) „მისაკუთრება, მითვისება (ქიხუთუ||ქათიხუთუ „მისაკუთრა, მიითვისა“)“. აღნიშნული ლექსემა მეგრულის ლექსიკონებში ვერ დავადასტურებ (საანალიზო ლექსიკური ერთეული ჩავიწერეთ ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჭოლაში). საფიქრებელია, რომ იგი აფხაზურიდან შეეთვისებინა მეგრულს. **ათო**- ზმნისწინა და გამოხატავს რაღაცის ქვეშ მყოფობას (ათოჭაბაკუა „დატკეპნა (ფეხქვეშ)“, ათოქიმინუა „ქვეშ-ქვეშ გაკეთება, მოწყობა, პროვოცირება, ღალატი“), **-ხუთ**, ჩვენი ვარაუდით, აფხაზური **ხთა** ფუძიდან უნდა მომდინარეობდეს, რადგანაც მეგრულს არა აქვს ლაბიალიზებული თანხმოვნები, აფხაზური ხა ფონემისაგან მივიღეთ მეგრული **ხუ** მიმდევრობა, **-აფ** თემის ნიშანია, **-ა** კი მასდარის მაწარმოებელი. მეგრულში უფრო მოსალოდნელი იყო **ხვ** (შდრ. მეგრ. **ჩემქვა** || **ჩემვა** „რძისა და ელარჯისგან გაკეთებული ფაფის მსგავსი საჭმელი“ (ჭარაია 1997), „რძეში მოხარშული ელარჯი; ფქვილის ღომი“ (ქობალაია 2010) < აფხ.

ა-ჩამქა „ყველთა და რძით გაკეთებული ღომი“ (Чирикба 1998, 131), მაგრამ მეგრულ თანხმოვანთკომპლექსებში ვ ფონემა ყოველთვის ბოლოკიდურ პოზიციაში გვხვდება (გუდავა, გამყრელიძე, 2000, 152-153), ამიტომ ფონოტაქტიკური შეზღუდვის შედეგად **ხეთ**-ს ნაცვლად მივიღეთ **ხუთ**. მეგრულში აფხაზურ ძირს სემანტიკური ცვლილებაც განუცდია: თუ საანალიზო ძირი აფხაზურში „წილს, სვედრს, ნაწილს“ ნიშნავს, მეგრულში გამოხატავს „რალაცის ჩუმად, მალულად მისაკუთრებას“, ამ სემანტიკურ ნიუანსს მეგრულში შესაძლოა **ათო**- ზმნისწინი ქმნიდეს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გუდავა, გამყრელიძე 2000 – ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში, კრებულში: რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000;
2. ლომთათიძე 2006 – ქ. ლომთათიძე, აბაზური ენა (მოკლე მიმოხილვა), თბ., 2006;
3. ლომთათიძე 1976 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, თბ., 1976;
4. ქობალა 2010 – ა. ქობალა, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010;
5. ჭარაია 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997;
6. ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954;
7. Абазинско-Русский Словарь, Москва, 1967;
8. Чирикба 1998 – В. Чирикба, К вопросу об абхазских заимствованиях в мегрелском языке, вопросы языкознания, 4, 1998;

**Natia Poniava**

## **Towards One of the Abkhazian Loan in Megrelian Summary**

The article considers the megrelian root -xut- (ato-xut-af-a) “to appropriate” is loaned from the Abkhazian language where is attested the root **ᶑ** “a part, a share, a portion; a lot”. With this meaning in the Abkhazian language is attested the stem a- **ᶑᶑta** “a part, a share, a portion”; a lot. To our mind **-ta** can be the same suffix appeared in the Abazian stems expressing condition. In our opinion Megr. **-xut-** comes just from the Abkhazian root **ᶑᶑta**. Abkhazian **ᶑ** phoneme has given **xu** phonemes order in Megrelian because it hasn't the labialized consonants.

As it seems the Abkhazian root has changed the semantic meaning in Megrelian – If in Abkhazian the given root means “part, share, portion; lot”, in Megrelian it means to part something by stealth. This semantic meaning in Megrelian maybe caused because of the preverb **ato-** which one function is to give the word insinuating action.

სოც-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდისათვის  
(ქართ. სოცნი, სოცვა, სოცნა, ქორწილი)

**ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდის კვალიფიკაციისათვის:**

**ბუდედ** მოიაზრება დარგობრივ-თემატური პრინციპით შერჩეული გარკვეული ოდენობის ლექსიკური მარაგი, რომელსაც მოეპოვება განსაზღვრული ამოსავალი ლექსიკური ერთეული ან ერთეულები (მაგალითად: „უფალისა და ღმერთის“, „სულისა და ხორცის“, „კაცისა და ადამიანის“, „ცდის (განსაცდელის)“, „შურის“ და მისთანა ბუდეებისთვის ამოსავალი ლექსიკური ერთეულები იქნება ბუდის სახელდებით მონიშნული ლექსემები).

სახელდება – **ლექიკურ-სემანტიკური** – განპირობებულია ბუდის ფარგლებში წარმოებული კვლევის საგანგებო წესით, კერძოდ: განსაზღვრება ბუდის ლექსიკური მარაგის სემანტიკური ველები (ბუდის გარეთ არსებული ამავე სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულების გათვალისწინებით); დგინდება მისი (ლექსიკური მარაგის) მაგისტრალური სემანტიკური მიმართულებები და იკვეთება ამოსავალი ლექსიკური ერთეულის ან ერთეულების გვარ-სახეობრივი სემანტიკური რაობა; წარმოჩნდება ბუდის ლექსიკური პოლისემიურობა. ყოველივე აქედან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება ამოსავალი ლექსიკური ერთეულის ან ერთეულების საგარაუდო არქესემანტიკის აღდგენა.

ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ფარგლებში არსებული ლექსიკური მარაგის კვლევა სამ საანალიზო ეტაპს ითვალისწინებს: 1) **საკუთრივ ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი**; 2) **ამოსავალი ლექსიკური ერთეულის ან ერთეულების ისტორიულ-ეტიმოლოგიური ინფორმაცია**; 3) **შესაბამისი საღვთისმეტყველო მასალის მოხმობა ეკლესიის წმიდა მამათა თარგმანებაზე დაყრდნობით**.

ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ამგვარად წარმოებული ანალიზი ახალი კუთხით წარმოაჩენს ქართული სიტყვის სემანტიკური განვითარების

ისტორიულ გზას, ბუდეში შემავალი დარგობრივ-თემატური ლექსიკის ენობრივ არჩევანს.

უკვე შესრულდა „ცდის (განსაცდელის)“ (ღლონტი 2009, 223-231), „შურის“ (ღლონტი-კობიაშვილი 2010, ბპ. 163-180) და „უფალისა და ღმერთის“ (ღლონტი 2010, 40-65) ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეების ანალიზი.

იყო ცდა ეტიმოლოგიური დაკავშირებისა: **ჯოც->ჯორც-** (გურამ ბედოშვილის ზეპირი გადმოცემით).

ამ დაკავშირების დასადასტურებლად წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია „სულისა და ხორცის“ ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში შემავალ „ხორცის“, „ხოცვის“ და „ხრწნის“ მაგისტრალურ სემანტიკურ მიმართულებათა ანალიზი, ზემოთ მონიშნული საანალიზო ეტაპების გათვალისწინებით.

### **ჯორც-ი:**

წმიდა წერილი, ადამის შესაქმე, ადამიანს სულისა და ხორცის „შეურევენელ“ ერთიან ქმნილებად შერაცხავს (დამასკელი 2000, 75, 110, 179). ქართ. **ხორცის** სალექსიკონო განმარტებებში, როგორც წესი, საგანგებოდ ფიქსირდება **ხორცის და სულის** სემანტიკური პარადიგმა:

„სხეულიანი, ხილული, მოკვდავი“ <—> „უსხეულო, უხილავი, უკვდავი“.  
მდრ.:

ერთი მხრივ — ძვ. ქართ. **ჯორცი** „სხეული; ხორცი; აგებული; ასო“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001). **„ჯორცი** („და თქუა ადამ: აწ ესე ძუალი ძუალთა ჩემთაგანი და ჯორცი ჯორცთა ჩემთაგანი. ამას ეწოდოს ცოლ“ — შესაქმე 2, 23); და მეორე მხრივ — **„კაცთა სული** — სიტყვიერი, არსება-გონიერი, უსხეულო, უცნაური, სიტყვიერიდა უკვდავი, არსება-წვლილი, უსახო, ხატი და მსგავსი ღვთისა“ (სულხან-საბა 1993);

ერთი მხრივ — **„ხორცი** სხეული („და ჯორცნი იგი ზეცისათანი და ჯორცნი იგი ქუეყანისათანი“ — 1 კორინთელთა მიმართ 15, 40); სხეული, ტანი კაცისა (შესაქმე 2, 23); ხორცი ხილისა“; და მეორე მხრივ — **სული** არსება უსხეულო, გულის-ხმიერი, მნებებელი და სიტყვიერი („სულ არს ღმერთი“ — იოანე 4, 24) (ჩუბინაშვილი 1984);

მღრ. ასევე: ქეგლ-ის განმარტებანი: **ხორცი**-ი 1. ადამიანის ან ცხოველის სხეულის კუნთოვანი ნაწილი. 2. დაკლული (მოკლული) ცხოველის ან ფრინველის სხეულის ნაწილები, რომელსაც საჭმელად იყენებენ. 3. ადამიანის სხეული. 4. ფიზიკური არსებობა („სულის“ საპირისპიროდ);

**სული** 1. ადამიანის ფსიქიკურ უნართა ერთობლიობა. 2. გონი. 3. ადამიანის შინაგანი სამყარო, პიროვნების დამახასიათებელი ფსიქიკური თვისებები (უნარი, ნიჭი, ხასიათი, გრძნობა, განცდა, მიდრეკილებანი...), რაც მის მოქმედებას, ქცევას, მსოფლმხედველობას განსაზღვრავს. 4. უსხეულო, უხილავი, უკვდავი, ღვთაებრივი (საპირისპ. ხორცისა). 5. სუნთქვა. 6. ცალკეული ადამიანი, პიროვნება, კაცი (რიცხვით სახელებთან) (ქეგლ-ი 1960). [სულის ქეგლ-ისეულ განმარტებას აუცილებელი კორექტივით წარმოვადგენთ].

როგორც ვხედავთ, **ხორცი** ქმნის სამ სემანტიკურ ველს: I. „საკუთრივ სხეული“, II. „სხეულის ნაწილი (კუნთოვანი, რბილი)“, III. „არსება, ადამიანი“.

**ხორცის** სამივე სემანტიკური ველი, ძველი ქართული წყაროების მოწმობით, შემდეგნაირად გადანაწილდება:

ბერძნ. *soma* „ცოცხალი სხეული; ადამიანი“ და ბერძ. *sarx* „id.“, ანუ **ჯორცი** „სხეული (ცოცხალი)“, როგორც „**შემადგენელი ნაწილი ღვთის ქმნილებისა, ადამიანისა**“, მცირე გამოხატვისით, წარმოდგება ნართანიანი მრავლობითის ფორმით – **ჯორცნი**:

„სული გულს-მოდგინე არს, ხოლო **ჯორცნი** – უძღურ“ (მათე 26, 41);

„ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყუდნენ **ჯორცნი**, ხოლო სულისა ვერ ჯელ-ეწიფების მოკლვად“ (ლუკა 12, 4);

„შობილი იგი **ჯორცთაგან** ჯორცი არს, და შობილი იგი სულისაგან სული არს“ (იოანე 3, 6);

„სული არს განმაცხოველებელ, ხოლო **ჯორცნი** არად სარგებელ არიან“ (იოანე 6,63).

„ვითარცა **ჯორცნი** თვნიერ სულისა მკუდარ არიან“ (იაკობი 2, 26);

„ორნივე – სული და **ჯორცნი** – ერთ-გუამ არიან“ (დამასკელი 2000, 111);

„ერთბამად იქმნა დაბადებამ **ჯორცთამ** და შთაბერვამ სულისამ“ (და-მასკელი 2000, 111).

ქრისტეს წმიდა უხრწნელ ხორცსა და ყოვლადპატიოსან სისხლთან ნა-ზიარებს სიხარულით ვულოცავთ: „საკურნებელად სულისა და **ხორცთა**!“.

ამისგან განსხვავებით, ბერძნ. kreas „მოკლულის ხორცი (მკვდარი); ხორცის ნაჭერი (საჭმელი); ტყავი, კანი; (მიმართვისას) ადამიანი“, ანუ **ხორცი**, ვითარცა „**სულისაგან განშორებული, გვამი, საჭმელი**“ – ძველ ქართულში გადმოიცემა მხოლოებითი რიცხვის ფორმით **ჯორცი**:

„და სხუანი იგი მოისრნეს მახვლითა ცხენსა მას ზედა მჯდომარი-სადათა, რომელი გამოვიდოდა პირით მისით, და ყოველი მფრინველნი განძღეს **ჯორცითა** მათითა“ (გამოცხადება 19, 21);

„უმჯობეს არს არა ჭამამ **ჯორცისამ** და არცა სუამა ღვნისამ“ (რო-მაელთა მიმართ 14, 21).

არცთუ იშვიათად მხოლოებით რიცხვშია **ჯორცი** მაშინაც, როცა იგი აღნიშნავს „ხორციელს, სულდგმულს“:

„რამეთუ ყოველი **ჯორცი** თივამ არს და ყოველი ღიდებამ კაცისამ“ (1 პეტრე 1, 24);

ან მხ. რ. **ჯორცი** „ნათესავის“ სემანტიკას იძენს: „**ჯორცო** ჩემო და დაო ჩემო“ (აბულაძე 1973), ან კიდევ შემადგენელიასაკრამენტული სემანტიკური წყვილისა – **ჯორცი და სისხლი** (ქრისტესი): „რამეთუ **ჯორცი** ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს და **სისხლი** ჩემი ჭეშმარიტი სასუშემელი არს. და რომელი ჭამდეს **ჯორცსა** ჩემსა და სუმიდეს **სისხლსა** ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს, და მე მის თანა“ (იოანე 6, 55-56).

იგივე ვითარებაა შესაბამის სომხურ წყაროებშიც.

უკვე XI საუკუნიდან მოკიდებული, მრ. რ. **ჯორცნი** უმეტესწილად თითქმის სრულადაა ჩანაცვლებული მხ. რ. **ჯორცით**.

## ჯოც-ა:

რა ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური საფუძვლები ეძებნება რიცხვში მონაცვლე ზმნათა **კლვა** (კლავს მას, მოკლა ერთი) და **ჯოცა** (ხო-ცავს მათ, დახოცა/დაჯოცნა მრავალი/იგინი) სემანტიკურ გადაწეობას? რატომ იტვირთა სწორედ **ჯოცა** ზმნამ „მრავალთა კვლის“ სემანტიკა?



ძვ. ქართ. **ვოცა** უმთავრესად სამ სემანტიკურ ველს ქმნის:

**„(აღმო)ფხვრა, მოშორება“** („მოვოცით მოივოცოს სული იგი ერისაგან თვისისა“ — რიცხუთა 15, 31);

1. **„მოსპობა, მოკვლა, დახოცვა, ამოწყვეტა“** („რომელმან ა(ღ)ვოცნეს ცოდვანი სოფლისანი“ — იოანე 1, 29; „ვითარცა დავოცნეს იგინი“ — აბულაძე 1973).

2. **„წმენდა, მოხოცვა“** („თმითა თვისითა წარჰვოცდა ფერჯთა მისთა“ — ლუკა 7, 38).

ქართ. **ხოცვა** დღემდე ინარჩუნებს სამივე სემანტიკურ ველს;

I. **„(აღმო)ფხვრა, მოშორება“:**

ძვ. ქართ. **მოვოცა** „აღფხვრა“ (აბულაძე 1973); **აღხოცვა** „აღ-მოფხვრა, მოსპობა“ (ქეგლ-ი 2007); **ხოცვა** „შემშრალება, მოშორება (ოფლისა, ცრემლისა), წმენდა (ცხვირისა)“ (ქეგლ-ი 1964).

ამ სემანტიკურ ველში ექცევა: მეგრ. **ხორცქ-** „გლეჯა, მოწყვეტა“ (რ-ს განვითარებით და მეტათეზით — ჩიქობავა 1938); მეგრ.-ჭან. **ქოს-** „ხვეტა“ (ვ->ქ) (ფენრიხი-სარჯველაძე 2000) და მეგრ. **ხოწ-**უა „თლა“, შდრ.:

ძვ. ქართ. **სუენა** „თლა“, **გამოხუენა** „კანის გაცლა“, **მოხუენა** „მოთლა“, **ხეენი** „ხის ჭურჭლის სათლელი (გულის ამოსაღები) იარაღი“ (ქეგლ-ი 1964); **ხეენა** „ხეენით თლა“ (ქეგლ-ი 1964); ამ უკანასკნელთა რიგშია: **გამოხეენა, მოხეენა**, ასევე **ხიენა** „ძვლებიდან ხორცის მოცლა, წიწკნა“ (ქეგლ-ი 1964).

II. **„მოსპობა, მოკვლა, დახოცვა, ამოწყვეტა“:**

ძვ. ქართ. **აღვოცა** „ამოწყვეტა, მოსვრა“ („ვეთქუ გარდაფენად გულისწყრომამ ჩემი მათ ზედა უდაბნოს შინა აღსავოცელად მათდა“ — ეზეკიელი 20, 13); **დავოცა** „მოკვლა, ამოწყვეტა, მოსვრა“ (აბულაძე 1973); **ვოცა** „მოსვრა, დავოცა“ (სულხან-საბა 1993). **ხოცა** „მოკვლა“ (ჩუბინაშვილი 1984). **ხოცვა** „ბევრის კვლა“; **დახოცვა** „ბევრის მოკვლა, გაწყვეტა, გაჟლეტა“ (ქეგლ-ი 1953); **ხოცვა-ჟლეტა** „ხოცვა, ჟლეტა“ (ქეგლ-ი 1964).

ამ სემანტიკურ ველში ექცევა: მეგრ.-ჭან. **სოცქ-//სროცქ-//სროსქ-** „კვდომა ცხოველისა“; ათინ. **სოწ-** „ხორცი“ (ც→წ – ჩიქობავა 1938); მეგრ. **სორცქ-, სარცქ-** „გაძღომა, გასკდომა“; მეგრ. **სორცქილ-**ი, **სარცქილ-**ი „გახეული“; ძვ. ქართ. **ვეც-**, **მ-ვეც-**ი „მხეცი; პირუტყვი“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001) და სუან. **ვაც-/ვეც/ვეც-, ვაც-ა** „ნგრევა“, **ლი-ვეც-**ე „დანგრევა; განადგურება“ (ფენრიხი-სარჯველაძე 2000). ასევე შდრ.: მეგრ. **ხირიწკ-** „ფხრეწა“; ძვ. ქართ. **დახუეწა** „გადაკარგვა“; მოხევ. **სორსლი** „სატირლად გამზადებული სახის დამანჭვა“ და მოხევ. **დახვეწა** „გაფუჭება, გაცვეთა (კაბისა)“.

### III. „წმენდა, მოხოცვა“:

ძვ. ქართ. **წარჯოცა** „გაწმენდა“ (აბულაძე 1973); **მოხოცვა** „მოწმენდა (ცხვირისა, ცრემლისა, ოფლისა)“ (ქეგლ-ი 1958), „წაშლა (ნახატისა)“ (ჩუბინაშვილი 1984). შდრ.: ძვ. ქართ. **ხუეწა** „ფხეკა“, **ხეწა** „ნართის გასუფთავება სახვეწით“ (ქეგლ-ი 1964). **ხიწნა** „ძვლებიდან ხორცის მოცლა“ (ქეგლ-ი 1964).

ამ სემანტიკურ ველში ექცევა: მეგრ. **სორცქ-** „გლეჯა“ (ჩიქობავა 1938); მეგრ.-ჭან. **ქოს-** „წმენდა, დაგვა, ხვეტა“ და მეგრ. **სოს-** „ხილის გაწმენდა“ (ფენრიხი-სარჯველაძე 2000). ასევე შდრ.: მეგრ. **სუმ-** „გვა, დაგვა“, **ხუმენს** „გვის“.

ქართველურ ენათა წარმოდგენილი ლექსიკურ-სემანტიკური მასალა აღბეჭდავს ქართ. **ჯოცა** ზმნის სემანტიკური განვითარების შემდეგ საფეხურებს:

„თლა, ცლა, წყვეტა“ —> „შლა, რღვევა“ —>  
 „ნგრევა, საობა, განადგურება“ —>  
 „კვდომა“ —> „მრავლის კვლა“ —>  
 „(და)ხოცვა“.

### სრწნ-ა, ვრწნ-ა:

**სრწნა** და **სრწნილება** სულხან-საბას მიერ საგანგებოდაა ნიშანდებული დარღვევა-დაშლის სემანტიკის ორი (მრჩობლი) ასპექტით („სრწნილებისა სახე ორსა დაჰნიშნავს“ – სულხან-საბა 1993), რომლის დროსაც ქართვე-

ლი ლექსიკოგრაფი ხელმძღვანელობს იოანე დამასკელის „გარდამოცემით“ (დამასკელი 2000):

ერთი ასპექტია – „შემტკიცებული სხეულის შემადგენელი უხილავი ელემენტების **დარღვევა, დაშლა, სრწნა**“:

„**სრწნა** დაქსნა კავშირთა და დარღვევა“; „**სრწნილება** სრწნის მოსლვა. დაჰნიშნავს სრწნილება სრულიად დაქსნასაცა და უჩინო-ქმნასა ვორცთა-სა კავშირთა მიმართ, რომლისაგან შემტკიცებულ იყოს“ (სულხან-საბა 1993);

მდრ.: ძვ. ქართ. **ჯრწნა, სრწნა** „გახსრწნა, წახდენა, გაფუჭება; დახსნილება, სრწნილება“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001); **დაჯრწნა** „დაშლა; გახსრწნა“; **დახსრწნა** „დაშლა“ (სულხან-საბა 1993; აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001).

მეორე ასპექტია – „**სულისა და ხორცის გაყრა, სიკვდილი**“:

„და კვალად და(ჰ)ნიშნავს... სიკვდილს, რომელ არს სულისა ვორცის განყოფა და ეგვეითარი“ (სულხან-საბა 1993).

აქედან გამომდინარე, **სრწნილება** და **უსრწნელობა** მიუცილებელი კომპონენტია ადამიანის შესაქმისეული ორბუნებოვნების (სული+ხორცი) გამომხატველი სემანტიკური ოპოზიციისა;

„სხეულიანი, ხილული, მოკვდავი, **სრწნადი**“ <—>

<—> „უსხეულო, უხილავი, უკვდავი, **უსრწნელი**“.

ეკლესიის წმიდა მამათა სწავლებით, **ხორცის, სხეულის, გვამის, ხორციელის, კაცის** გარდა, სრწნადი ბუნებისაა:

**საწუთრო, (წუთი)სოფელი, ქვეყანა**: მდრ. ებრ. **ხელედ** „წუთისოფელი“ < „სრწნა, უანგი“: „და იხილა უფალმან ღმერთმან ქუეყანა და იყო გან-სრწნილი“ (შესაქმე 6, 12);

**ადამისეული სამოსელი** – ადამისეული პირველცოდვა წმიდა მამათაგან ხშირადაა სახელდებული **პირველსრწნილებად**, ანუ ადამის მოდგმის წარწყმედის პირველმიზეზად: „შეჰმოსა უფალმან ადამს სამოსელი იგი სრწნილებისა და განწყუნადი“ (დამასკელი 2000).

წმიდა მამები გვითითებენ **სულის და ხორცის, სიცოცხლის და სიკვდილის** საღვთისმეტყველო-სემანტიკურ პარადიგმათა ანალოგებზე:

„ქმნა“ <—> „ხრწნილება“: „ქმნა — ვითარცა აღორძინება და ხრწნილება — ვითარცა მოკლება (დამასკელი 2000);

„შობა“ <—> „ხრწნილება“: „არსებათა შინა არს შობა და ხრწნილება“ (დამასკელი 2000).

ამასთან, **ხრწნილება** ხშირად იჩენს თავს სინონიმური წყვილებით:

„სიკვდილი“, „არ(ს)-ყოფა“ და „ხრწნილება“: „ყოფისაგან არ-ყოფად მიმართი ითქუმის ხრწნილებად“ — ამონიოსი; „ხრწნილება... არს არსებისაგან არა-არსყოფად“ (დამასკელი 2000);

„დაღპოლვა“ და „განხრწნა“, „დარღვეულობა“ და „ხრწნილება“: „ხრწნილებად ითქუმის სრულიადი დაქსნა ნივთთა მიმართ“ (დამასკელი 2000) და სხვა.

სემანტიკის შემდგომი გაფართოების შედეგია **ხრწნის** უკვე ძველ ქართულშივე ჩენილი პოლისემანტიკა: „წახდენა, გაფუჭება, შეცდენა, წარყმედა, კლება, დასუსტება, დაუძლურება“ და სხვა.

### ჯორც-ი, ჯორც-ა, ჯრწ-ნ-ა:

რამდენადაც სიკვდილი, ანუ სულის ხორცთაგან გასვლა, იწვევს ხორცის მრავლობით რღვევას, შლას, ხრწნას („მიწა ხარ და მიწადცა მიიქცე“ — შესაქმე 3, 19), — ქართულ ენაში საგანგებოდ გამოიძებნა **კვდომისა და კვლის** მორფოლოგიური ადეკვატი — **ჯორცა, (და)ჯორცვა** — სპეციფიკური სემანტიკით „მრავლის კვლა, კვდომა“.

ამ მხრივ უღრესად საგულისხმოა შესიტყვებანი: **ხორცი შეისხა**, ძვ. ქართ. **ჯორცნი შეისხნა**, შდრ.: „და უბიწოთა მათგან სისხლთა მარადის ქალწულისათა შეისხნა ჯორცნი სულიერნი“ (დამასკელი 2000, 151); „სულსა ჯორც და ძუალ არ ასხენ“ (ლუკა 24, 39), **ხორც(შე)სხმული, ხორცს დაყრის**, რომლებშიც რიცხვში მონაცვლე ზმნეები — **სხმა, (შე)სხმა, დაყრა** — ხრწნადი **ჯორცის** „მრავლობით არსებობის“ სემანტიკის დასტურად წარმოდგებიან.

ეს კი, თავის მხრივ, გვიმოწმებს, რომ **კვდომისა და კვლის** სემანტიკა აღმოცენდა არქისემიდან — „**ხორცის მრავლობით შლა-რღვევა, ხორცის ხრწნადობა**“.

ამას თვალსაჩინოდ გვიმოწმებს  
ნაცემები ქართველური ენებიდან, შდრ.:

სათანადო მო-

ძვ. ქართ. **მოვოცა** „აღფხვრა“,  
ქართ. აღხოცვა „აღმოფხვრა, მოსპობა“,  
ძვ. ქართ. აღვოცა „ამოწყვეტა, მოსვრა“,  
ძვ. ქართ. **ვოცა** „მოსრვა, დავოცა“,  
ძვ. ქართ. **დავოცა** „მოკვლა, ამოწყვეტა, მოსრვა“,  
ქართ. **ხოცვა** „ბევრის კვლა“,  
ქართ. **დანოცვა** „ბევრის მოკვლა, გაწყვეტა, გაჟლეტა“,  
ქართ. **ხოცვა-ჟლეტა** „ხოცვა, ჟლეტა“.

მეგრ. **ხორცქ-** „გლეჯა, მოწყვეტა“ (რ-ს განვითარებით და მეტათე-  
ზით),

მეგრ.-ჭან. **ხოცქ-//ხროცქ-//ხროსქ-** „კედომა ცხოველისა“;  
მეგრ. **ხორცქ-**, **ხარცქ-** „გაძლომა, გასკლომა“;  
მეგრ. **ხორცქილ-**ი, **ხარცქილ-**ი „გახეული“;

ათინ. **ხოწ-**ი „ხორცი“ (ც->წ ),  
მეგრ. **ხოწ-**უა „თლა“,  
მეგრ.-ჭან. **ქოს-** „ხვეტა“ (ვ->ქ)  
მეგრ. **ხირიწკ-** „ფხრეწა“,  
ქართ., ქართლ. **ხიწნა** „ძვლებიდან ხორცის მოცლა, წიწკნა“,  
ძვ. ქართ. **ხუეწა** „თლა“,  
ძვ. ქართ. **მოხუეწა** „მოთლა“,  
ძვ. ქართ. **გამოხუეწა** „კანის გაცლა“,  
ძვ. ქართ. **დახუეწა** „გადაკარგვა“,  
ქართ. **გადახეწა** „გადახეწა“,  
მოსხე. **დახეწა** „გაფუჭება, გაცვეთა (კაბისა)“,  
მოსხე. **ხორსლი** „სატირლად გამზადებული სახის დამანჭვა“,

სვან. **ჯაც-ჯეც/ჯეც, ჯაც-ა** „ნგრევა“, ლი-**ჯც-ე** „დანგრევა; განადგურება“ (შდრ.: ძვ. ქართ, **ჯეც-**, **მ-ჯეც-**ი „მხეცი; პირუტყვი“),

ამ მრავლისმეტყველ საანალიზო მასალასთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წმიდა წერილში შემონახული უნიკალური მიმლეობური ფორმა – **გამოჯორცვილი**:

„ზედადგი სიავი და შთაასხ მას წყალი; და შთაადგენ მას დრონეულნი, ყოველი დრონეული კარგი მისდამი: წვევი და ძუალი **გამოჯორცვილი** ძუალთაგან“ (ეზეკიელი 24, 4). [„**დრონი, დრონეული** ჯორცი დიდრონი ნაკვეთი. ასოეული, გინა ძვალ-გამოლებული ასოთაგან ჯორცი მონაკვეთი; **ქესატი** დრონი ჯორცთა“ – სულხან-საბა 1991; „ასოეულად აქნილი ხორცი“ – აბულაძე 1973; „ხორცის ნაჭერი“ – სარჯველაძე 2001].

ძველი ქართული ზმნის – **გამოჯორცვა** „ძვლებისაგან ხორცის აქნა, ათლა ნაჭრებად“ – ვნებიითი გვარის მიმლეობა **გამოჯორცვილი** „ძვლებისაგან აქნილი, ათლილი, ნაჭრებად გამოცლილი ხორცი“ უაღრესად საგულისხმოდ გვითითებს **ჯოცა** ზმნის საგარაუდო წარმომავლობასა და მის სემანტიკურ განვითარებაზე:

